ჯორჯოხი



1 2023

აჭარის მწერალთა სახლი

ISSN 0134-3459

23001

9 770134 345001

ჭოროხი

გამოცემის 65-ე წელი | იანვარი-თებერვალი | №1 | 2023 წელი

სალიტერატურო-სამხატვრო და საზოგადოებრივი ჟურნალი

მთავარი რედაქტორი

სანდრო ბერიძე

სარედაქციო კოლეგია

როინ აბუსელიძე
ცისანა ანთაძე
გენრი დოლიძე
იაშა თანდილავა
დავით თედორაძე
ლალი კონცელიძე
გურანდა ნიჟარაძე
ჯემალ სურმანიძე
ბელა ქებურია
ვახტანგ ღლონტი
თინა შიოშვილი
მაია ჯაფარიძე

ტექნიკური რედაქტორი და
კომპიუტერული უზრუნველყოფა

მალხაზ ფაღავა

ოპერატორი

მარიკა ლაშხია

დაარსებულია 1958 წელს
გამოდის ორ თვეში ერთხელ

ISSN 0134-3459

© „ჭოროხი“, 2023

რედაქციის მისამართი:
6009, ბათუმი, მელიქიშვილის ქ. №21
ტელ.: 599 91-84-80. E-mail: chorokhi.mag@gmail.com

გამომცემელი
ა(ა)იპ აჭარის მწერალთა სახლი

ჟურნალი დაიბეჭდა
სტამბა „კოლორ პრესში“.
ქ. თბილისი, ა. ენუქიძის ქ., 5

ავტორთა საყურადღებოდ:
რედაქციაში ელექტრონული სახით შემოსული ნაწარმოებები აწყობილი უნდა იყოს
შრიფტით Sylfaen, 12 pt. (კოდირება: უნიკოდი (UTF-8);
რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

შინაარსი

პროზა, პოეზია

ელგუჯა თავბერიძე – ნოველები 3
ნინო დარბაისელი – ლექსები 26
გენრიეტა ქუთათელაძე – ლექსები 39
დალი თედორაძე – თოვლის ღრუბლების დედოფალი (ზღაპარი) 53
მზია სალვარიძე – ლექსები 58
გიორგი ტუღუში – ლექსები 67
თეა ჭანტურიშვილი – ბოტეროს ფორთოხლები 79
მირანდა ერისთავი – ლექსები 81

თარგმანი

მიჰაილ ნაიმი – მირდადის წიგნი (მთარგმნელი **დაჩი მეჯიდი**) 86

კრიტიკა, პუბლიცისტიკა

მიხეილ მახარაძე – ქართველი ფილოსოფოსები ლიტერატურისა
და ხელოვნების შესახებ 89
მაია ჯალიაშვილი – როგორ ვასწავლოთ აკაკი წერეთლის „ქებათა ქება“
ღირებულებათა კონტექსტში? 102
– ტყის მითოპოეზია (უილიამ ფოლკნერის „დათვი“) 109
შორენა მახაჭაძე – ფრაგმენტები გენრი დოლიძის „მეხსიერების რადიოდან“ 110

ისტორია

ოთარ გოგოლიშვილი – რუსეთის რელიგიური პოლიტიკა XVIII საუკუნეში 118



ედგუჯა
თავგერიძე

ლოტბარის ამონამღერი

მთელი ღამე ნაქეიფრები, ზლაზვნით, პირისახის მანჭვა-გრეხვით, დილაბნელ-რიბირაბოში, თბილისის ქუჩაზე მიბანდალებდნენ. ქარში მოქანავე ლერწამს დამგვანებულები ხანდახან ერთმანეთს ეჯახებოდნენ, შეყოვნდებოდნენ, მუხლს გაასწორებდნენ, დაშორიშორებული გაივლიდნენ ცოტას და ისევ შეეჯახებოდნენ.

– ჩემს გასწვრივ და უკან ორი ნაბიჯის დაშორებით იარე – ამოილუღლუღა საშუალო ტანის, ხმელ-ხმელმა კაცმა და წინ გადადგმული მარჯვენა ფეხი მარცხენასკენ გადმოუთორკილდა.

– ვითომ, რატომ?! – არ შეეპუა მასთან შედარებით მაღალი, ზორბა ტანის, თავისი ჭკუით, ოდნავ შემთვრალი, წითურსახიანი.

– ორჯერ უფროსი ვარ შენზე და იმიტომ – აქნეული მარჯვენა ხელისკენ წაბარგანავდა. ნაქეიფრების ბარობაზე გამართულად ლაპარაკობდნენ, ფეხი ღვინოში ჩამხრჩვალებივით ერეოდათ.

– მაშინ ასის ყოფილხარ? – თვალები დაყვლიპა.

– არა, სამოცის გახლავარ, – აქნეული ხელი უცებ დაუშვა.

– ოცდაათის მეც კი ვარ, შე კაი კაცო! – დაყუდებული დაელოდა პასუხს.

– მერე სამოცში რამდენი ოცდაათია? – მთავარსარდლის კილოთი შეეკითხა.

– ორი! – ამანაც მხედრულად წამოიძახა:

– ამიტომ გმართებს, ჩემო კარგო, ორი ნაბიჯით განზე გაუხვიო და ამდენივეთი დაიხიო უკან. ორი ნაბიჯით განზე და უკან! – უბრძანა.

– უკან და განზე სიარულს ხომ არ ჯობია, – სახე გაებადრა, ჯიბეებში ჩაწყობილი ხელებით შეიმაგრა თავი, – ჩემო კარგო კაცო, უკან სიარულს არ ჯობია, წინ წავიდე და გზა გაგიკვალო, – თვალები ისე ეშმაკურად მოჭუტა, იფიქრებდი, პასუხი წინდაწინ იცისო.

– მაისია, ბიძია, იანვარი კი არა, – ეშმაკურადვე მოუჭრა, – ფედოსის სიყვარულით მინაღვერდლებულ თვალებს ოდნავ თუ გაახელ, დაინახავ, რომ მოთენდა, მართალია, კაციშვილი არაა ქუჩაში, მარა, მაინც გათენებულია, ღმერთო, ბევრი დღე გაგვითენე! – გულამოტანებით ამოაბოყინა.

– დღეზე რა მოგახსენო, წუხანდელი ღამე კი მართლა კაი იყო, – წამოიძახა ზორბა ტანისამ, – თუმცა, გეტყობა, იმდენი დალიე, ვეღარ ხედავ, ერთი კაცი ბალახვნიდან მოგვდევს, გავჩერდებით, ჩერდება, ავჩქარდებით ჩქარდება, – ფეხები ჯარისკაცივით მიატყუპა.

– შეიძლება ჩვენსავით ისიც აქეთ მოდის, – არ დაიბნა ხმელ-ხმელი.

– კი ბატონო, ვისაც საით წადია, იქით გაუტიოს, მარა, თუ წინ ერთი და იგივე გზა გვიდევს, ან ჩამოგვრჩეს, ან გაგვასწროს მამაცხონებულმა, – ბოლო სიტყვა უცნაურად დააგრძელა.

– ნუ გამოვრიცხავთ, ბნელი ღამის ეშინოდა და ამიტომ აგვეკიდა, – მარჯვენა ხელი ისევ აიქნია.

– მშიშარა კაცი მელასავით არ გამოგვყვებოდა, მოგვიახლოვდებოდა, გაგვეცნობოდა და ჩვენთან ერთად ივლიდა, – წამოიძახა გახარებულმა.

– ნუ გამოვრიცხავთ, შეიძლება გვეჩვენება ან სულაც ჩრდილია, – ნათქვამი თვითონაც ეუცხოვა.

– მოჩვენებები შენ დაგდევენ. მახსოვს, კაი შეზარხოშებულმა ცხენზე ამხედრებული მოსამართლე რომ ვერ დაინახე და გეგონა, ცხენი გელაპარაკებოდა.

– ორივე მოჩვენება მეგონა?

– მოსამართლე დაინახე და ცხენს გაუბი მუსაიფი.

– ორივეს ვუპასუხე, ცხენი თუ ვერ გაიგებდა, კაცი ხომ მოისმენდა. ახლაც ასე გეუბნები – თუ მოჩვენება არაა, მაშინ ჩრდილი ყოფილა – იფიქრა, ცხენთან ჩემს ლაპარაკს ყურს გამოაბამსო და ადევნებულ კაცზე საუბარს მიუბრუნდა.

– ორ ადამიანს თუ ერთი ჩრდილი ჰქონდა, აქამდე არ ვიცოდი! – გაიკვირვა.

– ორსაც შეიძლება ერთი ჩრდილი ჰქონდეს და ერთსაც, შეიძლება, ორი გაუჩნდეს. არაა გამორიცხული, ჩვენი ჩრდილი იყოს? – სრული სერიოზულობით განაცხადა.

– ნამეტანი გადავარდი ჩრდილებში.

– თუ ასე არაა, მაშინ, ჩვენსავით არქიელის გორაზე მილაყუნობს! – უფრო დასერიოზულდა.

– გაიაროს, ვინ უშლის?! – ხელის მოძრაობით ხელშეუხებლობა გამოხატა.

– ვინ და, საეგებიოდ, ჩვენ. მოდი, შევჩერდეთ, გაგვასწრებს, ისიც მოისვენებს, ჩვენც პატარას ამოვისუნთქავთ, – თანამგზავრს მიბაძა და პასუხის მომლოდინე დაეყუდა.

– კაი, ბატონო, შევისვენოთ.

უცნობმა გიმნაზიისკენ გაუხვია და ნიკოლაძის ქარვასლის მიდამოებში გაუჩინარდა.

– ხომ გეუბნებოდი, ხელს ვუშლით-მეთქი. – ამოიბუყბუყა ხმელ-ხმელმა.

– მაგ თავიგლეჯია, – ნათქვამი კაიხანს ვერ გააგრძელა – თუ ჩვენ არ მოგვდევდა, აქამდე გადაეხვია, – ისევ შეყოვნდა, – არა, ძმაო, ვიღაც, რაღაც, რაღაც, ვიღაც... – წაუმღერა.

– ვისი თავიგლეჯიობა გაკვირვებს შენნაირ თავიგლეჯიას, – თავიგლეჯია ისე საყვარლად თქვა, გეგონებოდა, გადაკოცნას უპირებსო.

– რატომ, ვითომ? – ფეხის წვერებზე აწეული წაეჭიმა.

– რატომ და, – ისე დიდხანს გაჩერდა, წითურსახიანმა შეუძახა.

– რატომ, რატომ, – მეორე რატომ ხმის ოდნავი ამაღლებით წარმოთქვა.

– რატომ და... – ისევ დაებლუკა ენა.

– მეფაიტონის ფედოსი არ მიხსენო, თორემ გადავირევი, – სახე გაებადრა, თვალები აუჟუჟუნდა, – რა ხალხი ხართ, ღმერთო მიშველე, თეთრი და ჯაჭვის ხიდების ჩანგრევა დაივიწყეთ, ჩემი ტრფიალი მეფაიტონის უმშვენიერესი ფედოსისადმი გახსოვთ და გახსოვთ.

– უცნაურს ძნელად ივიწყებს ხალხი. უცნაურია, აბა, რა არის, მეფაიტონისთვის შეუფერებელ, მაგრამ მაინც მის მზეთუნახავს, სხვათა შორის კანონიერად ჯვარდაწერილს, ორი ყმაწვილი გაგიჟებით ეტრფოდით, – საჩვენებელი თითი ცხვირწინ დაუტრიალა.

– მართალი თქვი, მზეთუნახავს კი არ ჰგავდა, ნამდვილად მზეთუნახავობდა, თვალებმოუბარი, მაღალი, აბრეშუმივით მოშრიალე, – ყოველი სიტყვის წარმოთქმისას ხვნეშოდა, – ტუჩბაგემწყაზარი, ჰაეროვანი, გრძელნაწნავება, გეფიცები, ფედოსის გეფიცები, ამ ქვეყნისას არ ჰგავდა.

– მგონი, ახლაც ეტრფი – ბევრის მნახველი კაცის იერით უთხრა.

– დავიწყება შეუძლებელია, უძირომზერიანი ფედოსის ცისფერ თვალებში ზღვა ილანდებოდა, ზღვა მშვიდი, მონარნარე. ღმერთი ვიყავი იმ დღეს, სადილზე თხილის გული ორად რომ გატეხა, ერთი თვითონ, მეორე მე ჩამიდო პირში.

– ხშირად ცდება სამსაჯულო, მტყუანს მართალს, ცამდე მართალს დამნაშავეს ეძახის. არც ერთი გამოსაშვები არ იყავით. ჩავლილი საქმეა, ამიტომ გეკითხები: ორი ყმაწვილი, ერთმანეთის თანდასწრებით, ერთსა და იმავე ქალს რანაირად უშლიდით გულს? – გაკვირვება ხელების იქით-აქ-ით გადაშლით გამოხატა.

– ეჰ, – ფიქრებში ჩაიძირა, – მე მეგონა, ღამით, ძილში, მეფაიტონის ბანჯგვლიან ტორებში მო-მწყვდეული ფედოსი ჩემზე ფიქრობდა. ჩემი მეწყვილე უფრო ერეკებოდა, უშნო ორფეხთან დაძინე-ბამდე ჩემზე ლოცულობსო, – იძახდა.

– თხილს ორივეს... – აღარ დააბოლოვა.

– არა, მე მარტო, თვალების ჟუჟუნით, ტუჩების გამთანგველი მოძრაობით ტეხდა თხილს, შუაზე ყოფდა, ნელა, მშვიდად, თვალების საუბრით ერთ ნაწილს მე ჩამიდებდა პირში, მეორეს – თვითონ. თხილი თხილია, ღვთიური ხილი მეგონა, – ამოიოხრა.

– ქმარი სად იყო ამ დროს?

– იქვე, – ზედმეტი არაფერი დავფქვაო, გაიფიქრა, – გვიყურებდა, გვისმენდა, ფედოსი ჩვენს ირგვლივ მიმონარნარებდა, მეფაიტონე თითქოს არც არსებობდა, რა გვექნა, გვწვავდა, ვიწვოდით.

– სიყვარულის თავ-ბოლო ვის გაუგია, ერთმანეთის თანდასწრებით ტრფობა ვერაფრით ამიხ-სნია.

– ვეტრფოდით კი არა, ყირაზე გადავდიოდით. რომ ეთქვა, რიონში გადახტითო, გაყინულ მდი-ნარეშიც დაუფიქრებლად გადავეშვებოდით, მთელი ღამე ფეხზე გაათენეთო, გავათენებდით, არ ადგეთო, არ ავდგებოდით. იმ საბედისწერო ღამესაც ერთად მივედით. მეფაიტონეს სიყვარულის ღმერთთან ეძინა, კარი არ გაგვიღო, ფრთხილად დავაკაკუნეთ, დუმილი, მოვუხშირეთ, ავახმამა-ღლეთ კაკუნი, ისევ დუმილი. მერე ვაბრახუნეთ, შენც არ მომიკვდე, არსაიდან არავის გაუცია ხმა.

ძირს ჩამოვარდნამდე, ვაყანყალეთ, შეტეხვამდე ვაყანყალ-ვაბრახუნეთ კარი. კვლავ დუმილი. აღარ მახსოვს, როდის-როდის, მეფაიტონემ ალბათ ვეღარ მოითმინა და გარეთ გამოვარდა, გაგი-ჟებულმა ჯერ მე, მერე იმას მოუქნია მუშტი.

ორივემ ავიცილეთ. მოქნევას გასწავლით-თქვა და... ორივემ ერთდროულად ვგლიჯეთ ყბაში, შე-ბარბაცებული ისევ მყარად დადგა ფეხზე. ხანჯალი დააძრო, ჩვენც დავაძვრეთ. ერთ-ორ ალაგას გაგვკაწრა, ჩვენ რამდენიმე ადგილას დავჭერით, არ გავქცეულვართ, პრისტავს დაველოდეთ. და-გვიჭირეს. მერე შენ უკეთესად იცი ყველაფერი, – ნათქვამს გული ამოატანა.

– უცნობ კაცს ქრთამი რანაირად შემომაძლიე, – თვალები დაკუსა.

– რანაირად და, ჩვეულებრივად. ალფეზამ, ერმილემ, გიორგიმ, ალმასხანმა, სხვების გასახსე-ნებლად დრო მჭირდება, – მითხრეს უქრთამოდ კაიხანს გაყურყუტებენ სატუსაღოშიო, – სახე გა-ებადრა.

– მაგნებმა რა იცოდნენ?!

– ჩვენამდე დაიჭირეს, გაიღეს ფული და გამოუშვეს.

– შენ ამბობ, რომ სასამართლოში უფულოდ არაფერი კეთდება?

– მე არა, ალფეზა, ერმილე, გიორგი, ალმასხანი, თუ მადროვებ, სხვებსაც გავიხსენებ, ამბობენ.

– შენ რომ დაგიჯეროს კაცმა, ყველანი დასაჭერი ვყოფილვართ.

– მე არა, ალკეზას, ერმილეს, გიორგის.

– აღარ ჩამოთვალო.

– რა იყო, შე კაი კაცო, ალფეზას, ერმილეს, გიორგის, ალმასხანს, იცი, რომ ყველას ვერ ვიხსენებ, რომ არ დაუჯეროს ვიღაცამ, ერთი არ აიღებს ქრთამს, რასაკვირველია, ვერ მიუტანს მეორეს, მეორეს, რაც არ აუღია, რას მისცემს მესამეს, მესამე აუღებელსა და გაყოფილს ველარ გადასცემს მეოთხეს და იცი, რა მოხდება?

– რა! – იყვირა.

– ქვეყანა დაიქცევა, დაქესატდებიან ადამიანები, კაი პურის ჭამა რომ გიყვარს, კაი მოლხენას რომ ეთაყვანები, უმადოდ ერთი წუთიც არ გამყოფოს გამჩენმა, უფულოდ ვინ რას გაჭმევს, ვინ რას დაგალევინებს, მითხარი ერთი?!

– არც მინდა!

– ძალიანაც კაი. ამიტომ აიღე, გაეცი, აიღებს, გაცემს და ასე დაუსაბამოდ. ამას არაფერი სჯობია, არ იფიქრო, ამაგს წყალში გიყრიდე, მაგრამ დამიჯერე, ასე ჯობია.

– მე რომ არა, ახლაც სატუსაღოში ეყრებოდით, – მხარზე ჩამოეყრდნო.

– კარი რომ გაეღო იმ ჩემი ცოდვით სავსეს, არაფერიც არ მოხდებოდა.

– სახლი დაუნგრიეთ, კარს ვინ ოხერი გაგიღებდათ.

– რავა, პრისტავივით მელაპარაკები.

– არ მიედ-მოედო შენებურად, თქვენთან პრისტავიც მართალი იყო, სხვებიც.

– ვინ გაგამტყუნებთ, ძალა, ხომ იცით, რასაც ხნავს. ჰო, მართლა, ის კაცი, ბალახვნიდან რომ მოგვყვებოდა, პრისტავი ხომ არ იყო, – ალმაცერად გახედა.

– სულ ჩაფრები და პრისტავები გელანდება, – მხარზე ხელი ჩამოდო, მალევე აიღო.

– არა, სიარულით ჰგავდა, – რაღაცატომ ცას ახედა.

– გეშლება. პრისტავი ჩვენსავით უცხენოდ რატომ იბოდიალებს დილაბნელში, თანაც თუ აგვედევნებოდა, ჩემთან რა ესაქმებოდა, მაგრამ მაინც. თავსაც დაგვივლიდა, თუ საჭიროდ ჩათვლიდა, დაგვიჭერდა. აუცილებლობიდან გამომდინარე გაგვიშვებდა, ერთი სიტყვითა და ამდენივე გაგებით, როგორც დაჭერას, ისე გაშვებას კანონის სათანადო მუხლი ჭირდება. აქ რაღაც სხვა ამბავია, ნუ გამოვრიცხავთ, ჩვეულებრივი ვინმე მოყიალობდა, სიბნელეში დაგვემგზავრა, დღენათელში, საითაც სურდა, იქით გარეკა, – ხელით გარეკვა გამოხატა.

– ეტყობა, ჩვენსავით აღდგომა მიულოცა ვიღაც-ვიღაცეებს და ახლა სახლისკენ გარბოდა, ისე უკაცრიელია ქუჩა, სულ ვერ იფიქრებ, გუშინ აღდგომა თუ გათენდა, ქრისტე აღდგა მკვდრეთით, – წაუმღერა.

– ნაქეიფრები ჩაძინებულია, უქეიფონი კუჭის ამოსაყორად დღისით გამოლაგდებიან. ნახავ ხვალ, რაღა ხვალ, დღეს, ჭიანჭველებივით მოედებიან ქალაქს – მარჯვენა ხელის თითები უცნაურად დაკვარჩხა.

– უკაცრიელობა იმიტომ მიკვირს, ქალაქის მოსახლეობის ნახევარზე მეტი და კიდევ უფრო მეტი აქეთ ცხოვრობს, ახალ-ახალი სახლები შენდება, – სახლებს მზერა მოატარა.

– სახლების თვალიერებას გირჩევნია, ჩოხას მიხედო, ხომ გაგიგონია, ნათხოვარს საკუთარზე მეტი მოფრთხილება ჭირდებაო, – რამდენადაც შეძლო, მენტორული ტონით უთხრა.

– არ გამიკაწრია, – ჩაფიქრდა, – არც დამიხევია, უკეთესად რანაირად მოვუფრთხილდე, – ორივე ხელისგულები ჩოხის კალთაზე დააწყო.

– პიწკად იარე, ტალახით არ დამისვარო, – ცერა და არათითი ისევ მოხდენილად გაატკაცუნა.

– ხომ არ ჯობია, გავიძრო და ზურგზე გადავიკიდო, – წაეჭიმა.

– მაგ არ მიკადრებია, მარა, მოფრთხილებით რომ არ უფრთხილდები, აქეთა კალთას ეტყობა, სად ნახე ამტოლა ტალახი? – დაემუქრასავით.

– ქუთაისში ტალახს რა გამოლევს, ჩემსას, უკაცრავად, შენგან ნანათხოვრებს რომ უყურებ, შენი ჩოხის ორივე კალთა გოზინაყივით ამოგიგანგლია, – ხელით მიანიშნა.

– ჩემი ჩემია და, რაც მინდა, იმას ვუზამ. თუ მომესურვილება, ტალახშიც ამოვსვრი. არა ბიჭო, დუმას შევეკითხები, – თავი რამდენჯერმე გადააქნ-გადმოაქნია. მიიხედ-მოიხედა და სადაც დიდი ტალახი დაიგულა, იქ გაიშოტა.

– ნათხოვარი კია, მარა, ახლა ჩემია, თუ ჩემი არაა, რატომ მაცვია, – წამოიძახა ზორბამ და გვერდით მიუწვა.

– ადექი, დაისვრები, რას უშვები ჩემ ჩოხას, ახალუხს, აზიაცკებს, რანაირად ექცევი, ადექი, ჩქარა! – ისევ ჯარისკაცივით დაუყვირა.

– შენ რანაირად ექცევი, – ჩაფიქრდა, – ახალუხი და აზიაცკები როდის მერე დაისაკუთრე? – ბრძანების ხმოვანებაში არ ჩამორჩა.

– ბოდიში, ბატონო, ისინიც ჩემი მეგონა. ჩემ ჩოხას, რაც მინდა, იმას ვუზამ, სხვისას თვალისჩინივით მოვუვლიდი, – წამოიწია, ისევ წამოწვა.

– ნათხოვარი ჩოხის დასვრა არ შეიძლებაო, პირველად გავიგონე, – სახეზე ხელებაფარებული ზორბა ტალახში ღორივით გადაგორდ-გადმოგორდა.

– ადექი, თორემ გაგათავე! – უფრო ხმამაღლა დაუყვირა.

– შენც ადექიიი... – წაუმღერა.

– მომეშველე და ავდგებიიი – მიბაძვა არ გამოუვიდა.

წამოდგნენ, ჩოხებზე დაიხედეს, ჯერ ხმელ-ხმელს, მერე ზორბას აუვარდა სიცილი. გულით იცინოდნენ, ბოლოს ხარხარებდნენ როდის-როდის ჩაშოშმინდნენ, რამდენადაც მოახერხეს, ჩოხები გაიწმინდეს და ორივენი – ქუთაისის საოლქო სასამართლოს მოხელე, სამოცი წლის ვასილ კეჟერაძე და ასაკით მონახევრე, ოცდაათი წლის ლოტბარი კასიანე მაჭავარიანი ზლაზვნით აუყვნენ არქიელის აღმართს.

* * *

„ივერიაში“ ეწერა.

აღდგომის მეორე დღეს, საღამოს ექვს საათზე, ვასილი და კასიანე არქიელის გორადან იგივე ზემო მხრიდან ქვემოთ, ქალაქში ჩამოდიოდნენ. აკონკრეტებდნენ, ზემო მხარი ქალაქის ის ნაწილია, სადაც ძველი, ბაგრატ მეფის ტაძარია აღმართულიო. ტაძარი მაღლაა, ქალაქი დაბლა, აქედან ზევით ციცაბო აღმართია, იქიდანაც, რასაკვირველია, ასეთივე დაკიდებული დაღმართი, გზები ხრიოკი და ოღრო-ჩოღროიანია. კეჟერაძე და მაჭავარიანი ძირს ჩამოსვლამდე ათი საჟენის სიმაღლიდან გადმოვარდნენ. საოლქო სასამართლოს მოხელე ვასილ კეჟერაძემ იმ დღესვე, ორი საათის შემდეგ, განუტევა სული. მაჭავარიანი ჯერ ცოცხალია, მაგრამ მორჩენის პირი არ უჩანსო.

* * *

ერთი კვირის თავზე კასიანე მაჭავარიანიც აღესრულა. ქუთაისის ამ უბნელებს – ზექედელებს კაი ხანს ახსოვდათ ხმის წაგრძელებით, რაღაც ღვთიურად სასოწარმკვეთი ამონამღერი ლოტბარისა:

გ ვ ი შ ვ ე ლ ე ე ე ე ე თ !!!

ჭიანჭველები

გერაძეთა პირველი ვაჟიშვილისთვის, ბაბუა-ბებიის – რომანოზასა და ტატიანას პატივსაცემად – როტა დაურქმევიათ. მაღალ, ფართოშუბლიან, ნატყვევარივით დამჭლეებულ როტას ფეხებშუა დაუღლული ღორი გაუძვრებოდა, ეშმაკურად მოკიმკიმე თვალებს ისე შემოგანათებდა, რაღაცას მთხოვსო, იფიქრებდი. ბავშვობაშიც, დიდობაშიც, ეკუთვნოდა, არ ეკუთვნოდა, სულ ითხოვდა. უფროსებისგან წყაროდან ცივი წყლის მოსატანად გაგზავნილები კისრისტეხით რომ გარბოდნენ, როტა თავდახრილი იდგა.

– შენ რატომ დარჩი? – ავად ხომ არააო, შიშობდნენ.

– ტყუილა რატო წავიდე?

– აბა, რას ითხოვ?!

– გასამრჯელოს. – ცას მიშტერებოდა.

– გაქრი ერთ დღეს, გასამრჯელო რა იცი, რაცხაა?!

– ვიცი, ფული ან საჩუქარია გასამრჯელო... – პასუხობდა მესამე თუ მეოთხეკლასელი როტა.

– ბროწეულის წკნელი რომ მოგხვდება კანჭებში, ის იქნება შენი საჩუქარიც, გასამრჯელოც! – უცინოდნენ.

შინაურები ანამუსებდნენ – არავის არაფერი მოთხოვოო, როტა მაინც თავისას შვრებოდა, გამორჩენის გარეშე ნაბიჯს არ გადადგამდა. მისი დახარჯული, კაპიკი რომ კაპიკია, ისიც არავის ახსოვდა. თვითონ ხარჯავდა კი არა, სხვა რომ გაისვამდა ჯიბეზე ხელს, ისიც წყინდა: ბეჟანამ ერთხელ სასადილოში შეიყვანა. როტამ ერთი როტის სამყოფი შეჭამა, მეორე როტის დასათრობი შესვა და იქიდან გამოსვლისას დამპატიჟებელს შეჩივლა:

– ამდენი ფული რას გადაყარე, ნეტაი ჩემთვის მოგეცა!

– მერე მშიერი რომ დარჩებოდი?

– სამაგიეროდ, ფული მექნებოდა.

ჯარში ვიღაც შუაზიელს ბევრი ფული აართვა, ერთი ნახევრით ორივეს სერჟანტობა გააჩალიჩა, მეორე ნახევარი, სხვები იქით რომ ითხოვდნენ ფულს, მშობლებთან გამოგზავნა.

ჩამოსვლისთანავე სამხედრო მაგიდის უფროსობა გაირტყა და გაიბღინძა სოფსაბჭოს მეორე სართულის პატარა ოთახში. მოთხოვნის ჟამი მაშინ დაუდგა თუ დაუდგა – წითორელ ბართლომეს შვილის ჯარში წაყვანის გადავადებისთვის ხუთასი მანეთი მოთხოვა.

– ხვალვე მოგიტან, ხვალ დილით შენთან გავჩნდები! – თხოვნის კილოთი დაპატარავდა ბართლომე, სოფელში ბლაყვს რომ ეძახდნენ.

დილით მივიდა. კიბეებზე ბლაყუნით მიხვდა როტა, ბართლომე რომ ამოდიოდა. გაშალა წიგნივით ბლოკნოტი, ჩარგო გიგოსავით თავი. შემოიძურწა მთხოვნელი, ხელით კარადისკენ მიუთითა, რომლის თავზეც როტას სამხედრო ქუდი იყო დასვენებული.

ჩადო შიგ ბართლომემ ფული, და, როგორც შეიძურწა, ისე გამოიძურწა. კიბეების ჩათავებისთანავე მილიციელებმა გააჩერეს, ხელები გადაუგრიხეს და მუჯლუგუნ-მუჯლუგუნით ააბუნძულეს ჩიტის გალიასავით ვიწრო როტას ოთახში.

– რა მიეცი? – დაუყვირა სამიდან ყველაზე მაღალმა, სახენაყვავილარმა მილიციელმა.

– ფული.

იმათგან ორი, ერთი – ტანმორჩილი, მეორე – ოდნავ მაღალი როტას ეცნენ, ამოუტრიალეს ჯიბეები, ფული ვერსად უპოვნეს.

– სად წაიღე, თქვი, თორემ გაგათავე! – რევოლვერი მიუშვირა დაბლებიდან მაღალმა, დასაკლავი ღორივით კისერჩამყნილმა.

– რაც არაფერი მქონია, სად წევიღებდი, ამხანაგო ბუდუ! – იცნო ზორვეთელი მილიციელი. იმ ბუდუმ ახალგაზრდობაში ტყლაპივაკელ სიძესთან იქეიფა. შუაღამეზე აიხირა, გინდათ, არ გინდათ, მივდივარო. უშალეს, არ დაიშალა. გზაში გაკოკისპირულდა. ბაჭუჭის მიტოვებულ სახლს შეაფარა თავი.

ნაშემოდგომისპირევს შეცივდა, ბუხარი დაანთო. ჩაეძინა. სახლს მოდებული ცეცხლის სიმხურვალემ გააღვიძა. ჰკრა ფანჯარას ხელი, გადმოხტა, აბრიალებული ცეცხლისკენ არც გაუხედავს. ჩაიფერფლა ბაჭუჭის ორსართულიანი, ორვერანდიანი სახლი. ბუდუ ადგა, არავინ არაფერი მიმიბლანდ-მომიბლანდოსო და მილიციაში დაიწყო მუშაობა.

– ვის მიეცი ფული? – ახლა ბართლომეს დაუქაჩა მაღალმა თვალები.

– ამას, როტას!

– სად წაიღე?! – ხელი მოუქნია.

– რაც არ მქონია, სად წავიღებდი?

– აბა, მივეციო?!

– მივეცი, რას ჰქვია, არ მივეცი?!

– რისთვის მიეცი?

– ჩემი შვილი, მურთაზა, მაისამდე ჯარში რომ არ წეიყვანოს.

– მოგცა? – ეშმაკურად გაუღიმა.

– არა, რას ბრძანებთ?!

– ბრძანებას მოგალანდებ – სიმწრით გაიღიმა – აპა, იტყუება?!

– რას ჰქვია, ვიტყუები, მურთაზას გეფიცებით, მივეცი, რაჟიკომ, კოწიამ, ივანემ, შეიძლება სხვებმაც, წინა კვირაში მიცეს, მაშინ არ მქონდა, ჩემ ქვისლს გამოვართვი, მოვუტანე.

– ტყუილი, ცამდე ტყუილი! – ბლაყვს უტეხად მიაშტერდა – არაფერიც არ მოუცია!

– არც რაჟიკოს, არც კოწიას, არც ივანეს მოუცია წინა კვირაში ხომ? – წაუსისინა კისერჩამყნილმა.

– არაფერი, რას ამბობთ, ცილს მწამებს ამხანაგი ბართლომე.

– არც იმათ, არც ამას არაფერი მოუცია?

– იტყუება, მივეცი!

– რისთვის მიეცი?

– რისთვის და, გაისამდე მურთაზას ჯარში არ წავიყვანო.

– რატომ არ უშვებ ჯარში?!

– ნამეტანი მსუქანია, რუსეთში გოუჭირდება. ამ ზამთარში ვერ დავამჭლევებ, გაზაფხულზე მუშაობით წელს გოვუთრევ, მეიკლებს კაი გვარიანად და გამხდარს გოვუშვებ, აპა, კალთაზე კი არ გამევიბამ.

– რა უყავი ფული? – ბეჭებაწურულ როტას მარჯვენა ბეჭზე დაკრა.

– ხომ ნახეთ, ხურდის მეტი არაფერი მიდევს ჯიბეში.

– შენ რომ მიეცი, თუ შეხედე, სად შეინახა, – მაგიდას მოატარა მზერა სახენაყვავილარმა.

– რო შემევედი, რაღაცას ჩაჩერებოდა, ხელით მანიშნა შკაფის თავისკენ, შემოვბრუნდი, იქ, ქუდში ჩავდე.

– სად ? – დაიბღავლა.

– ეგერ, როტას ქუდში.

მაღალმა იქით გაიხედა, ქუდში ქაღალდში გახვეული რაღაც რომ დაინახა, გაეღიმა, დასტაცა ხელი, ცხვირწინ დაუტრიალა როტას.

– ეს ფული არაა? ახლავე დაფქვი, რისთვის ჩაგიდეს ქუდში?!

– რა ვიცი, ამხანაგო კაპიტანო, ბართლომე რომ შემევიდა, გასაწვევების განრიგს ვიმახსოვრებდი, მთავრობის ბრძანებაა, ქაღალდებში ნაკლებად ჩავიხედოთ, დავიზეპიროთ სიები. მარჯვენა ხელის ცერით ვანიშნე, გარეთ გადი-მეთქი. სულ არ დამინახავს, შკაფის თავზე, ქუდში რა ჩადო, – გაჩერდა, – რატო ჩადო...

– ქუდს რატო არ კიდებ?

– შკაფი უფრო ახლოა.

– ეს ფული, – ქაღალდი შემოაცალა, – არ იცი, ბართლომემ რომ მოგიტანა?!

– რას ბრძანებთ, რომ ვიცოდე, დავმალავ?!

– მალავს, თქვენი ჭირიმე, მალავს, იქითა კვირაში რაჟიკომ, კოწიამ, ივანემ მიცეს, მე დღეს მოვუტანე.

– შენ თუ იცი, ამას გვერდით რომ მიუჯდები! – დაეჩემა მაღალი.

– მე რატომ?

– რატომ და, ქრთამი მიეცი.

– მივეცი, ხომ არ ამიღია, რაჟიკომაც, კოწიამაც...

– გაჩუმდი! – აღარ დაამთავრებინა.

ორივე წაიყვანეს. როტა იძახდა, შემოვიდა, გარეთ გასვლა ვანიშნე. რაცხა საცხა ჩადო, სულ არ დამინახავსო. ბიჭის ჯარისთვის მივეციო – უკვე მიკნავებული ხმით ამბობდა ბართლომე. მოწმე არავინ იყო, რაჟიკო, კოწია, ივანე აღარ გამოკითხეს, ნამეტანი დიდი დანაშაული გამოდის, ჩვენც აგვიწევენ ყურსო – დღენახევარი აწვალეს, ჰკრეს პანღური, ორივე გამოყარეს გარეთ.

სამსახურში დაბრუნებულმა როტამ საბჭოს თავმჯდომარეს გამარჯობა არ უთხრა. არ ჩაუქცევია იმას ნაღველი ფიქრით, რატომ არ მომესალმაო. საქმეზე ელაპარაკებოდნენ, გამარჯობას უკავებდნენ ერთმანეთს. ორ თვეში სამხედრო მაგიდის უფროსობას თავი მიანება, იმ სკოლაში გადავიდა სამხედროს მასწავლებლად, სადაც მასზე ერთი წლით უფროსი ბადრი იორდანიჩი დირექტორობდა. მოწაფეობისას აშინებდა ფრიადოსან ბადრის, მესამე კლასში გადახვალ, ფრიადები კი არა, ოთხებიც მოგენატრებაო. გადადიოდა როტა მეოთხეში, ბადრი – მესამეში და ისევ ფრიადებით. ასე გაგრძელდა სკოლის დამთავრებამდე, უმაღლესში ჩარიცხვაზეც დააშინა, ყველა საგანი რომ ჩააბარო, ქულებს დაგაკლებენო. ბადრიმ სკოლაც, ინსტიტუტიც წარმატებით მოილია და ახალგაზრდა მასწავლებელი მალე გადირექტორდა.

როტას ფულის მოთხოვა სკოლაშიც არ მოუშლია. მოსწავლეთა მშობლებს სასურველი ნიშნის დაწერაში ოცდახუთ მანეთს, მაშინ მანეთობა იყო, თხოვდა, აძლევდნენ.

ერთხელ საელიოს ეკლიანში კარტის თამაშში წაასწრო დამამთავრებელ კლასელებს. იმათ გაქცევა არ იკადრეს, იდგნენ, როტა ამუნათებდა:

– მოსწავლე და კარტი?! – თვალებს ჭუტავდა, – ბადრი იორდანიჩთან რომ მიგიყვანოთ, ყველას გაგრიცხავთ, არ მიგიყვანოთ, ხვალ იგივეს იზამთ. დირექტორს არ ვეტყვი, თქვენ მშობლებს სათითაოდ ჩამოვუვლი, გაიგონ, რა გზასაც ადგახართ! – სათვალეებიან ფრიადოსანს მკლავში წვდა, შენ ცალკე მოგელაპარაკებიო, ისეთი რამ უთხრა, ყველა დაარწმუნა, როტა თავზე კი არ წადგომიათ, სადღაც იქვე იყო ჩამალული.

– კარტი არასდროს ითამაშო, სათვალეებში ხედავენ, რაც გიჭირავს ხელში. მოტყუებისაა, ბიჭო, ეს თამაში, გიყურებდნენ, მოგიგებდნენ, აბა, რას იზამდნენ!

თითომ ხუთ-ხუთი მანეთი მოკრიბა, სათვალეებიანმა კაპიკი არ დადო. მიუტანეს, ჩაიჯიბა.

სამოსწავლო გილზები მწყრის საფანტით დაატენინა და იმის მაგიერ, ბავშვებთვის სროლა ესწავლებინა, თვითონ ნადირობდა. გაუგო ბადრი იორდანიჩმა, დაიბარა, ისე მოუწყო საქმე, სკოლაში

აღარ დაედგომებოდა. წამოვიდა, ერთხანს კოლმეურნეობაში ბრიგადირობდა, ვიღაცებს აწერდა ტყუილ შრომადღეებს, იღებდა ფულს.

იქიდანაც ჰკრეს პანღური, დაჯდა სახლში. მის კარ-მიდამოს სამი მხრიდან ტყე ესაზღვრებოდა, მეოთხედან – სოფელი. სახლის მონახევრე გიგლას სისხლს უშრობდა. არაფერს თვითონ არ აკეთებდა, გიგლას მისახედი იყო ყველაფერი. ერთხელ იმხელა მოთოვა, გადმოსათოვლი გახდა სახლები. შეიკრიბნენ ჯანიანი ბიჭები, თავიდან ბერუას, მერე კოწიას, მერე გიგლას სახლი გადმოვთოვლეს. მოადგნენ როტას, აგვიშვი სახურავზე, გადმოვთოვლავთო. მომეცით ფული, აგიშვებთო. მთოვლავებმა ერთმანეთს გადახედეს:

– შენსას ვთოვლავთ, რა ფული მოგცეთ?! – დაიძახა გიგლამ.

– მერე ვინ გთხოვათ, ნუ გადმოთოვლავთ!

– შენი სახურავი რომ ჩაიქცეს, ჩემიც გაფუჭდება.

– ესე იგი, ჩემთვის კი არა, შენთვის თოვლავ!

აღარ გააგრძელეს, გადმოთოვლეს.

ერთ მშვენიერ დღეს ვერტმფრენმა ჯერ ტყის თავზე იფრინა, როტას სახლსაც რამდენჯერმე გადაუგრუხუნა, მერე თავი ვეღარ შეიმაგრა თუ რა დაემართა, ჯერ ერთი, მერე მეორე, ხის კენწეროს წაკრა, ჩაეშვა მინდორზე. ჩაშვებისთანავე ოთხი კაცი გადმოხტა. მდუმარედ შემოუარეს ხეების შუაგულში გიგანტური ფრინველივით ჩაბუდრებულ ვერტმფრენს.

ყველა აფორიაქდა.

– რაღაც ამბავია, თორემ დაყვირებით მაინც დაიყვირებდნენ! – ამოიღო შეჯგუფულ სოფლელებიდან ბერუამ ხმა.

– მართლა რაღაც მოხდა? – თავი გააქნია როტამ.

– წავიდეთ, რა ჩვენი საქმეა! – ხელი ჩაიქნია კოწიამ.

– სად წავიდეთ, შეიძლება მტრის ვერტმფრენია! – გახედა როტამ.

– მტრის ვერტმფრენს ეწრის მინდორზე რა ჯანდაბა უნდა! – ისევ თავისი თქვა კოწიამ.

– თურქეთი ორ ნაბიჯზეა... – კი არ თქვა, ჩაიჩურჩულა როტამ.

– ორ ნაბიჯზე, აპა?!

– ვერტმფრენისთვის შეიძლება, ორი ნაბიჯიც არ იყოს! – უფრო აჩურჩულდა.

– აპა, რას აპირებ? – თვალები დაკუსა გიგლამ.

– მივიდეთ, გავიგოთ, რა ხდება?

– რომ გვესროლონ?

– ჯერ დავზვეროთ, იარაღს თუ დავინახავთ, მთავრობას გავაგებინოთ.

– მაგი ჯობია ყველაფერს.

– ჯერ დავჩიჩმოთ, წიაღელედან მოვუაროთ!

– არა, საბჭოს თავმჯდომარეს გავაგებიოთ, იმან იმტვრიოს თავი.

– რა გავაგებიოთ, ვერტალიოტი დაჯდა, საკაიკაცოდ არ ჩანან მინდორში დაშვებული-თქო?

– ჰო, რა მოხდა?!

– არა, წიაღელედან შემოვუაროთ!

გორადან წელში სანახევროდ მოხრილები დაეშვნენ. ეწრის მინდორთან ხოხვაზე გადავიდნენ, მიხოხავდნენ კაი მზვერავებივით. როტა, ბიჭო, შენ მოგეცა ჩემი ცოდვა – ჩურჩულებდა კოწია, – რომელი მზვერავი მე ვიყავი, დავტეულიყავი ჩემ ტყავში, თავ-პირის დაპოტნას ხო გადავრჩებოდი.

– აპა, ბიჭო, რავა დოვუჯერეთ! – ამოიგმინა ბერუამ.

ის იყო, მინდორში დაშვებულ ვერტმფრენს მიუახლოვდნენ, გადმოხტა ფორმიანი:

– არ გაინძრეთ, გესვრით!

გაქვავდნენ.

– რა გვარი ხარ?! – მიუშვირა პისტოლეტი როტას.

– რა გვარი ვარ და, რა გვარი ვარ და, მოძგვერაძე.

– მოძგვერაძე ყოფილა, ჩვენ გერაძედ ვიცნობდით! – სიმწრით ჩაჩურჩულა კოწიამ გიგლას.

– გასწორდი!

როტა მკვდარივით წამოიმართა.

– გასწორდი, გასწორდი! – სითბო გაურია ხმაში.

– რა გვარი ხარ?

– რა გვარი ვარ და, რა გვარი ვარ და ჩაბერაძე.

– ჯერ ჯიბეები ამოაბრუნე, მერე ხელები ზევით – შესძახა.

თითქოს თითები გაეყინა, თავიდან შარვლის, მერე კიტელის ჯიბეები ძლივსძლივობით ამოატრიალა.

– რა გვარი ხარ? – ისევ შეეკითხა მოახლოებული მფრინავი.

– რა გვარი ვარ და, რა გვარი ვარ და, შებერაძე.

ამხანაგო შებერაძე, თქვენ და თქვენი რაზმი დაუყოვნებლივ დაუბრუნდით დისლოკაციის ადგილს, შეუბერეთ, სანამ შეგიბერავდეთ, არავისთან არაფერი წამოგცდეთ, თორემ! – აღარ დაამთავრა.

როტა და მისიანები კისრისტეხით გავარდნენ. ერთ საათში უკან მარტოდმარტო მიბრუნებული, საჯდომზე ხელებდაწყობილი მფრინავის წინ იდგა და ევაჭრებოდა:

– არავინ არაფერს იტყვის, მაგრამ...

– რა, მაგრამ?

– რა მაგრამ და ყველას გავაჩუმებ.

– არ გააჩუმებ და...

– კი, მაგრამ სიჩუმე არაფერი ღირს?

– ფულს ითხოვ?

– ბევრს არა, ხუთას მანეთს, სამაგიეროდ, ვერავინ ვერაფერს გაიგებს.

მფრინავმა ისე მოუქნია, ორი ყირა გააკეთა, წამოდგა, გაიქცა.

– იცოდეთ, ამას ასე არ დავტოვებ, არ შეგარჩენთ, არა! – ყვიროდა, თან ცეცხლმოკიდებულივით არბოდა აღმართზე.

* * *

ამასწინათ როტას ეზოში გათამაშებულ სცენას ღობის ჭუჭრუტანიდან ვუყურებდი.

– რა გვარი ხარ, ბაბუა? – დასდევდნენ თეთრწვერა როტას შვილიშვილები.

– რა გვარი ვარ და – ბიჭივით შეხტა – რა გვარი ვარ და, მოძგვერაძე.

– მოძგვერაძე ბაბუა, მოძგვერაძე ბაბუა! – შემოარტყეს წრე.

– არა ვარ მოძგვერაძე! – ქუხს, თან ჯოხს ურტყამს მიწას.

– აპა, რა გვარი ხარ? – კნაჭა, ცისფერთვალება გოგო დიდივით ყვირის.

– რა გვარი ვარ და – ცას ახედა – რა გვარი ვარ და, ჩაბერაძე!

– ჩაბერაძე ბაბუა, ჩაბერაძე ბაბუა! – ზოგი აღმა, ზოგი დაღმა გარბის, ორ წამში ხელს ჭიდებენ ერთმანეთს, ისევ არტყამენ წრეს.

– ჩაბერაძე ბაბუა, ჩაბერაძე ბაბუა!

– არა ვარ ჩაბერაძე! – ხმაში დაღლა ეტყოდა.

– აბა, რა გვარი ხარ?

– რა გვარი ვარ და, რა გვარი ვარ და, შებერაძე!

– შებერაძე ბაბუა, შებერაძე ბაბუა!

– არც შებერაძე ვარ!

– აბა, რა გვარი ხარ?

– რა გვარი ვარ და, კვარაკვახაძე!

– კვარაკვახაძე ბაბუა, კვარაკვახაძე ბაბუა! – გვარი რაც უფრო ეუცნაურებათ, მით უფრო ხმამაღლა ყვირიან.

ბიის ჩრდილში როტას ოთხმოცი წლის მინადორა შალის ძაფს ართავს, ჯანიანი ქალივით ატრიალებს თითისტარს, ხან მოჟრიამულეებს მიჩერებია, ხან თითისტარს, მერე, ნამეტანი რომ აჟივილხივილდნენ, როტას გასძახა:

– როტა, ბოშო, ნურც შენ გადეირევი, ნურც ბოვშებს გადარევ!

– როტა, ბოშო! როტა ბოშო! – ხალისობენ შვილიშვილები.

გაარღვია შვილიშვილების წრე, შუაგულ ეზოში, ქვის სკამზე ჩამოჯდა:

– მოდით, ბაბუა, მოდით! – შესძახა მუხლებზე ხელებდაწყობილმა.

მიცვივდნენ შვილიშვილები.

– ჰა, შენ, ბაბუა, ლარი, ჰა, შენ, კნაჭა, ლარის ნახევარი, ჰა, შენ, ჰა, შენ! – ღმერთო, მაღალო, როტა ფულებს არიგებს. იცვლება დრო, იცვლებიან ადამიანები. ძირს დავიხედე, როტას ვინ ჩივის, რამდენიმე ბატალიონი შემომსევია.

ქარის ფრთები

სამნი – ძმები, მიხეილ და პეტრე გოკიელები და მათ კომპანიაში იმ დღეებში გაბუღალტრებული დავით ჯაფარიძე გადარეულ-გაგიჟებულ ქარს, ბუხარს მიფიცხებულები, საგულდაგულოდ დახურულდარაბებიანი ოთახიდან აკვირდებოდნენ.

ზმუოდა და კიოდა ქარი.

– გედეონ ასლანიჩი მომკვდარა. – სხვათა შორის თქვა პეტრე გოკიელმა.

– ღმერთო მიშველე, რამ მოკლა საწყალი? – შეიცხადა მოზუზუნე ქარით შეშფოთებულმა მიხეილმა.

– სიკვდილმა, სხვა რა მოკლავდა, – ცოტა ხნით მომკივანი ქარის ზათქებას მიაყურადა და პეტრესნაირი უდარდელობით გააგრძელა დავით ჯაფარიძემ... – სხვების შეწუხებასა და შევიწროებაში მოათავა ალვის ხესავით აწოწილმა წუთისოფელი.

– მაშინ სუნთქავდა ბედნიერად, როცა სხვებს უჰაერობაში ამყოფებდა, – რაღაცატომ თვითონაც შეისუნთქა თუ რაღაც დაყნოსა, ვერ გაიგებდი, – არც გული ჰქონდა, არც ნერვები. – ცხვირის ნესტოს თითი მიაჭირა, კაი გვარიანად დაიქშუტუნა, მაგიდის უჯრა გამოწია, რაღაც ქაღალდები გამოიღო და საანგარიშოს ქვებს რახა-რუხი დააწყებინა.

– ღმერთო მიშველე და გედეონ ასლანიჩსაც უშველე, აქამდეც მკვდარი მე-გო-ნა, – ბოლო სიტყვის წარმოთქმისას ენა დაეხორკა მიხეილს, ქარმა ისე დაიზრიალა, დარაბებს შემოგლეჯს და შემოვარდებაო, გეგონებოდა.

– რა თქვი? – კისერი დაიგრძელა პეტრემ.

– ღმერთო მიშველე და მკვდარი მეგონა, ცოცხალი ყოფილა. – „ღმერთო მიშველეს“ ისევ არ უღალატა მიხეილმა.

– მკვდრად დაბადებულს სიკვდილისა აღარ ეშინოდა, ეგონა, სულ იქნებოდა. – ხელი იმხელაზე გაიქნია, კინაღამ პეტრეს გაულაწუნა. შეყოვნდა, უფრო დამაჯერებლად გააგრძელა – ნათქვამი არ ჰქონდა ვინმეს რაიმე, გედეონ ასლანიჩმა უკვე იცოდა. მაგის რიონის ნაპირივით დაგრძელებულ ყურებს – მარჯვენა ყურზე მოიკიდა ხელი და გაწელა. – არაფერი გამოეპარებოდა, ცოდნოდა, ვინ ოხერი, ვინ კიდე მომჩივანი, მარა, სხვებს ეუბნებოდა, ათასნაირად გადაასხვაფერებდა, თავს ბოლოში, ბოლოს თავში იტყოდა, მოყვრებს დანასისხლად გადაკიდებდა, თვალებში მოციცინე ცოლქმარს დააშორებდა.

ზეპირ მეჭორეობას აღარ დაჯერდა და ხომ გაგიგონია, უსაქმური კაცი ერთ ადგილას მახათს იყრიდაო, მწერლობას მიჰყო ხელი. – რაც იცოდა, გადმოაფრქვია დავითმა.

– ღმერთო მიშველე, ხო, ქაღალდს აფუჭებდაო, ამბობდნენ. ნეტა, ბამბის საწმენდში რა ხდება, ეს ქარი თუ შევარდა, ჩვენს ნარჩევსა და გაპენტილს კავკასიონს გადააცილებდა, ღმერთო მიშველე, ქარის მეტი რა მინახავს, მაგრამ ამნაირად გადარეული, შეუწყვეტლივ მოზუზუნე და მომკივანი არასდროს ყოფილა, – უზნის ჯოხი დარაბას დაუღირა. – თქვენ ისიც გეცოდინებათ, ასლანიჩს როდის აბარებენ მიწას, გამიგონია, ვინმეს სიკვდილის დროს ამოვარდნილი ქარი დასაფლავებამდე არ ჩადგებაო, თუმცა კალმის წრიპინით იმდენს გაუწამა სიცოცხლე, სანამ ისინი დაუკურთხებდნენ, ორმოცი დღეც მიილევა. – ქარი ოდნავ ჩაყუჩდა, სული მოითქვა და ისე აღმუვლდა, მიხეილმა ღმერთო მიშველე, ღმერთო მიშველეს ძახილით ორჯერ გადაიწერა პირჯვარი.

– მასე გეგონოს, გედეონი ზოგს ანგელოზი ეგონა, – დავითისკენ გაიხედა პეტრემ. უნდოდა, რაღაც ენიშნებინა, მაგრამ ისე თავჩარგულიყო ქაღალდებში, ვერ მოახედა.

– ღმერთო მიშველე, გედეონ კეთილად გასახსენებელი და ანგელოზი?! – თავი გადააქნია მიხეილმა.

– დავით, რას ჩაყვინთე ამ ქაღალდებში, ხომ ხედავ, ასლანიჩებითა და მოასლანიჩოებით გამიწყალა გული, ნეტავ სულ არ მეხსენებია, თქვი რაიმე. – გამოაჯავრა პეტრემ.

– რა გითხრათ, რა მოგაწონოთ, მადლობა ღმერთს, უჩინოდ არ დამტოვა. სიმართლე რომ თქვას კაცმა, არც დიდი გამოიმეტა, ჯერხნობით ტიტულიარნი სოვეტნიკობას დამაჯერა, მაგრამ ჩვენში პირველი საქმე მაინც ჩინია, სიმდიდრისა და გამავლობის დიდ-პატარობას ადევს ფასი, თორემ ჩინი ჩინია... იმსახურე წყნარად და წახვალ წინ, ჩინს ჩინი, ჯამაგირს ჯამაგირი მოემატება – წამოდგა, დარაბა გამოაღო. ქარი გლეჯდა გარეთ ყველაფერს.

– ჩინის ტრფიალი დაგვიფსებს თვალებს, სიცოცხლეს ჩინი ურჩევნია ზოგიერთს. – გაბრაზდა პეტრე.

– მირჩევნია და რა ვქნა, თუმცა, ხანდახან, ნასადილევს, რა გინდა სულო და გულოს – სუკის მწვადების, ზურგიელის, ძვლებსაკვნეტი ვარიების, კუპატის, ათასი სხვა რამისა და შენგან მოწონებული ციცქა-ცოლიკაურის მირთმევის მერე, – სახე გაუცისკროვნდა. – დივანზე რომ წამოვწვები, ისეთი ტკბილი ფიქრები მომდის თავში, ისე ეგზომ ბედნიერია ცხოვრება, დაწინაურებას, ჩინისა და ჯამაგირის მომატებას გულსაც არ ვაკარებ. მაგრამ იმავე გულს, ცოლის ახირებები რომ არ მიგანიერებდეს, ჩემზე ბედნიერი კაცი დუნიაზე არ იქნებოდა – მტვრის ბუღში არაფერი ჩანდა გარეთ.

– ცოლს რაღას ერჩი?! – ასლანიჩის სიკვდილზე მომეტებულად შეიცხადა პეტრემ.

– მაგას ვერჩი, თუ ვერჩი, აიჩემა, ახალი კაბა, ახალი კაბაო, მაგის აჩემება და ბუნების გადარევა ერთი და იგივეა, სანამ თავისას არ გაიტანს, არც ერთი ჩაყუჩდება, არც მეორე. – ჯერ პეტრეს, მერე მიხეილს გახედა – აიხირა და ვუყიდე, სხვა რა მექნა. ღმერთო, მეგონა გადავრჩი, მოვისვენე, თურმე

მაშინ დაწყებულა ჩემი ჯოჯოხეთი. ახალი კაბით თეატრში უნდა წავიდე, სასწრაფოდ ბილეთებიო, გავიქეცი, მოვუტანე, განა მარტო მიშვებო, ჩემთვისაც შევიძინე, მტერს არ ვუსურვებ, იქ დღე დამადგა, – ორივე ხელი თავზე შემოიდო. – სხვა დროს ცალკე მოგიყვებით.

სახალხო სეირნობაა, ახალი კაბით წავალო, საქველმოქმედო საღამოა, იქ უჩემობა გაგონილაო, ჩემი ბურბუშელა კნეინა დავესკასავით დამატარებს აქეთ-იქით. – სამტვერეთში რაღაცას მიშტერებოდა.

– ღმერთო მიშველე, ქალს საქვეყნო სარბიელზე გამოუგდიხარ და ემდური?! – დავითის მზერას გააყოლა თვალი მიხეილმა.

– საქვეყნო სარბიელი კი არა, გაბაშვილის გორაზე ამოსული ზღმარტლი! მართალს ამბობენ, მთელ არხს გაიყვანდა გემებისთვის ადამიანი იმ სიტყვების, ოფლის, ძალისა და სისხლის დახარჯვით, რაც პატარა საქმეზე იხარჯება. ატეხენ ვაიუშველებელს, გაიკრავენ ჯიბეზე ხელს, აკრებილი ფული მერე სადღაც ქრება. შენახვისა და ჩამოხიკვის ამბავი წყვდიადით იმოსება. ბოქაულის სამმართველოში თაგვებს შეუჭამიათ ქაღალდის ფული – იძახის ვიღაც მწერალი. – მომღიმარი სახე უშნოდ დაუნაოჭდა.

– კეთილი და პატიოსანი, დავით ბატონო, მიგიხვდი რაც დაგმართნია. ქერქი მიგიტოვებია და ცხოვრების შესაფერად შემოსილხარ, ალბათ, სხვებზე ამბობ, თორემ სუკის მწვადები და ზურგიელი ვინ მოგაშავა. ცივი მჭადით გიხმება კუჭი. – ქარივით მიაყარა პეტრემ.

ყველანი გაყუჩდნენ, ნამეტანი მომივიდაო, – გაიფიქრა პეტრემ.

– ბოქაულის სამმართველოში ფულების გაქრობის ამბები ღმერთო მიშველე და გედეონ ასლანიჩს მართლა ეცოდინებოდა, – ძველებურად აჭიკჭიკდა, თითქოს საწყენი სულაც არაფერი თქმულა. – გაღმა მშვიდობით გასული და სასუფევლის დამკვიდრების მოწადინე, თვითონაც ხომ ბოქაულობდა.

შორაპნელი გურგენიძე დევივით რომ შემოვარდა ქალაქში და ყველაფერი აურდაურია, ზოგს ქუდი წაართვა, ზოგს თავში წაუტყაპუნა, – ხელით აჩვენა წატყაპუნება. – ზოგსაც ცოცხალ-მკვდარი კეთილად მოუხსენია. გედეონ ასლანიჩი, ღმერთო მიშველე და მაპატიე, იდგა თურმე სირაჯივით და იკრიჭებოდა. – ეშმაკურად დააელამა თვალები, თეძოზე შემოიწყო ხელები და მიაყურადა, ქარი უფრო ღმუოდა, მომეტებულად მძლავრობდა. საცაა, დაუპატიჟებელი გურგენიძესავით სახლში შემოვარდება და ყველაფერს აურდაურევსო. – გაიფიქრა.

– მაგ ამბავზე მთელი ქუთაისი იცინოდა. ბოქაული იდგა და ფერმის ბაღიდან სობოროსკენ დაძრულ ბუზებს ითვლიდაო, – ქირქილებდნენ. – თვითონაც იღიმოდა. – გურგენიძე ეტლში ჩამხტარა და კუჩერისთვის უბრძანებია, ყველა ქუჩა დამატარე, მთელ ქუთაისს სიმღერ-ღრიალით დავივლი, აქაურებს ჯანზე ყოფნის ამბავს გავაგებინებო. მეეტლეს ისე შეშინებია, ფეხები აკანკალებია, მაგრამ უარი ვერ უთქვამს. მეორე მეეტლესთვისაც უბღავლია: შენი ცარიელი ეტლი ჩვენ უკან არიხინე. – ქარმოზუზუნე ქუჩებში მოღრიალე გურგენიძე დაუდგა წყენაგავლილ დავითს თვალწინ და ტანში გააჟრჟოლა.

– ღმერთო მიშველე, ღმერთო მიშველე, მეორედ მოსვლაა, მეორედ მოსვლა, – აქით-იქით გააქნია უზნის ჯოხი. – გეუბნებოდი, ქარიან ქალაქში ბამბის საქმე ხეირს არ დაგვაყრის-მეთქი, – პეტრეს მიაშტერდა. – არ ირწმუნე. ღმერთო მიშველე, რა მემართება, გედეონ ასლანიჩი და გურგენიძეც წყალს წაუღია.

– რაღა იმ შეუჩერებელ-დაუოკებლის ქალაქში შემოგლიჯინება და რაღა თავაწყვეტილი ქარის ბამბის ქარხანაში შემოვარდნა. – ჯოხით თითქოს უხილავ მტერს შეუტია მიხეილ გოკიელმა.

– ქარს გატანებულ ბამბასავით მეცოდება ის მეეტლეები, რომლებმაც იცოდნენ, გურგენიძეს ფულს ვერ მოთხოვდნენ, თუ მაინც შეკადრებდნენ, სცემდა, თავ-პირს დაუმტვრევდა ან ხანჯლით

დაჩეხდა, – ხომ მისმენენო, ჯერ პეტრეს, მერე მიხეილს გახედა. – პირველ მეეტლეს მოუკურცხლავს, მეორეში ჩამხტარა და მიეწიე, თორემ შენც დაგჩეხავ და ცხენებსაცო. ნაწვიმარ, სველ ეტლზე გადმოზნექით მდგარა მოძალადე, ფეხი წასხლტომია, გადმოვარდნილა და ტალახში გაშხლართულა. მეეტლე გაქცეულა. ხანჯალამოღებულ გურგენიძეს მთელი გიმნაზიის ქუჩა გაურბენია, თეთრ ხიდზეც გასულა, მაგრამ ქარივით გაქროლებულ ეტლს ვერ დაწევია. – დააბოლოვა ამბავი დავითმა.

– შენ გადამრევ თუ გადამრევ, სად ჩვენი ბამბის ქარხანა და სად მოძალადე გურგენიძე, რომელსაც სხვათა შორის, იმ დღეს არანაკლები აურზაური ქუთაისის სადგურზე აუტეხავს. – პეტრემ კიდევ ერთხელ დაამუნათა დავითი.

– გედეონ ასლანიჩი აცხონე ღმერთო, კაი სიცილი იცოდა ნაბოქაულარმა. – მხიარულად გაეპასუხა ჯაფარიძის გვარის კაცი.

– ღმერთო მიშველე, ღმერთო მიშველე, რა შარიანი და ქარიანი დღე გაგვითენდა. გურგენიძეო, გედეონიო, ვერ გამიგია, რა ჯანდაბამ გააფრაკათ, მე თუ მკითხავთ, ამქვეყნად ყველამ თავთავისი ლუკმა ჯობია იკმაროს, დიახაც, ჯობია, მაგრამ ვის ესმის?! არიქა, დავიღუპეთ, რკინიგზააცდენილ ქუთაისს ბათუმისა და სოხუმის ოლქები ჩამოაცილეს, საგუბერნიო ფარგალი დაუპატარავესო, – ხელით ჯერ დიდი წრე შემოხაზა, მერე პატარა. – განა, პატარა ლხინი უფრო გემოჩასატანებელი არაა?! არც გადამეტებაა, არც გადაჭიჭინება, ინტელიგენტების სიმრავლეც არ შეგიხუთავთ გულს, ჭამე და სვი შენებურად. ამათ კიდევ დილ-დილობით ლაღიძის წყლების დალევა ჰგონიათ ინტელიგენტობა და ქუთაისლობა. ჩვენებურებში ძნელად ნახავთ განათლებულს, დილიდან შუაღამემდე ლაღიძის წყლებთან რომ არ იდგეს, ორი-სამი ბოთლი წყალი არ დალიოს და ქალაქის ამბები ერთი თითის აწევით არ გადაწყვიტოს. – სარკმლის მინას მიადო ხელი მიხეილმა.

– მასეა და რას იზამ, გეგონება, ბროლივით წმინდა ყინულში გაცივებული წყალი მწუხარებას უფანტავთ, ერთი იძახის, ქუთაისი გაბედნიერდებოდა, რკინიგზა ოსეთის გავლით რუსეთში რომ გადასულიყო, მეორე არ ეთანხმება და უმჯობესად ლიანდაგის მეორე ხაზის თბილისამდე გაყვანას მიიჩნევს. მესამე პოლიტექნიკუმს ნატრობს, მეოთხე აბანოების გამართვას ურჩევს დაღონებულ და დამტვერილ საზოგადოებას, მეხუთე, ქალაქის ირგვლივ ბაღები გავაშენოთ და ქუთაისი სააგარაკო ადგილად ვაქციოთო, ეჯუჯღურება დანარჩენებს. ვიღაცა ელექტრონის კონკას და შადრევნებს თვლის საუმჯობესოდ. – დაზეპირებულივით ჩამოარაკრაკა პეტრემ.

– პატრონი არა ჰყავს აქაურობას, ჩემო ძმაო, ღმერთო მიშველე და ქუთაისის ელვასავით მელოტთავიანი, ჭკუა-გონების საუნჯე ხმოსნები ქალაქის აშმორებულ ტბად გადაქცევას ისე გულსაკლავად და თავზარდამცემად შეუწუხებია, რომ გამოუანგარიშებიათ, რა დაუჯდებათ ყოველი ქუჩის ისე მორწყვა, როგორც დიდი წვიმებისას ირწყვება, – უზნის ჯოხით მორწყვა გაითამაშა. – საქმეებში თავიან-ფეხიანად ჩაყურყუმალავებულ რომელიღაც ხმოსანს კაპიკობით დაუთვლია, რა ეღირება ბუზების გაწყვეტა ქუთაისში. პირველ რომელიღაცას, მეორე რომელიღაცაც არ ჩამორჩენია, – მართლა სირაჯვივით იკრიჭებოდა. – მისთვისაც ზეციურ ხმას ჩაუბერავს და ტალახში ჩაფლული და ჩაწკვარამებული ქალაქის ბედს ისე აუმღელვარებია, რომ დაუთვლია, რამდენი დაჭირდებოდა ისეთი ფარნის გაბაშვილის გორაზე დაკიდებას, მზესავით რომ გაენათებინა ქალაქი, მესამე რომელიღაცას იმაზე უმტვრევია თავი, ქუჩების ხის იატაკით მოპირკეთება გამოეთვალა. – მხრები აიწურა.

– პატრონი არა ჰყავს კი არა, არც დღე, არც ღამე ძინავთ ქუთაისზე მოდარდეებს, თვლიან, ანგარიშობენ, დახარჯვაზე ნურას უკაცრავად. ზოგი ანათებს, ზოგი აბნელებს, დამბნელებლებს გამნათებლებისა უკვირთ, გამნათებლებს – პირიქით. – თავისი სათქმელი თქვა პეტრემ.

– ღმერთო ჩემო, იმაზე სულ გადაირიენ, – ჩაეჭრა მიხეილი, – რაისათვის დაწვრილმანდნენ და დახურდავდნენ ახალგაზრდები და სტუდენტები, საიდან გადმოიღეს უცნაური ჩვეულება, სარფია-

ნად მიყიდონ საცოლეთა მამებს თავი. გასათხოვარი ქალების ფულიანი მამები, მეყასბეები, მედუქნეები, ვაჭრები, ვაჭრუკანები და მისთანები, მაჭანკლების მეშვეობით ახალგაზრდებში ავრცელებენ ხმებს, თუ რამხელა მზითვს უმზადებენ თავიანთ სასიძოებს. რაც უფრო დიდია მზითვი, მით უფრო სწრაფად პოულობენ საქმროებს თავიანთი ქალებისთვის. დიპლომიანი საქმროს საშუალო ფასი სამი ათასიდან იწყება და მიდის ზევით. მეტს გადაიხდი, უცებ გაათხოვებ, იწუწკებ, – დაგიგვიანდება. – დავითისკენ გაიხედა. ხამუშ-ხამუშ საანგარიშოს აჩხაკუნებდა.

– მართალია, დღევანდელი ახალგაზრდები მუქთად დაკატაობენ, მუქთად ჭამენ და სვამენ, მუქთად ცხოვრობენ, მუქთადვე კვდებიან. არც ღმერთი წამთ, არც ეშმაკი, არც თავისი, არც სხვისი, არც მშობლიური ქვეყანა, არც უცხო, არც დედამიწაზე არიან, არც ცაზე, არც წყალში, არც სამოთხეში, არც ჯოჯოხეთში, არიან ყველაფრისგან გარიყული, უჰაერო სივრცეში. – თითქოს რაღაც მძიმე ტვირთი მოიხსნაო, ისე ამოიხვნეშა პეტრემ და დარაბას მიეყრდნო.

– შავ სუდარაშია გახვეული ქალაქიო. ტყუილია. ასე რომ იყოს, ვარსკვლავები აღარ გამოჩნდებოდა. არადა, ჩანს, ვუსტვინოთ მთვარეს, ხელმოჩრდილულებმა ვუჭვრიტინოთ მზეს და ვთვალოთ ვარსკვლავები. – არ ჩამორჩა მიხეილი.

– გაიგე, დეკემბრის გამაისება მოუნდომებიათ. დაუმთავრებელ კრებებს ქრისტეშობისთვეში დავაბოლოვებთო. სად ვარდყვავილიანი მაისის სიკეკლუცე და მშვენიერება და სად ქრისტეშობისთვის სიკუშტე და მიუკარებლობა. – ვერ გაიგებდი, რატომ გაიბადრა.

– იცინე, იცინე, ღმერთო მიშველე, შავი ზღვა გადარეულა: სამ წელიწადში ერთხელ თევზთა მეფის საკრებულო ხარკი ქუთაისმა უსამართლოდ დაგვაკისრა, ბატონყმობა მოისპო და გვეგონა, ზუთხის ხარჯი და ბეგარა სათაკილო შეიქნებოდა, მაგრამ მოსპობის მაგიერ, წელიწადში ორჯერ ითხოვენ.

ქუთაისის მოთხოვნილების დაკმაყოფილება რომ ღირსად ვიცნოთ, რაც უბეში ზუთხი შეგვიფარებია, ყველა მათი ლუკმა შეიქმნებაო. – გამარჯვებულის იერი აღებეჭდა სახეზე.

– ვიცი, ძმაო, ისიც ვიცი, ილაჯგაწყვეტილ ქუთათურებს რიონი მოვლენიათ მხსნელად, ზღვიდან ჩემს ტალღებში შემოცურებულ ზუთხს მოგართმევთ, ოღონდ იკრებეთ და ილაპარაკეთ, ვარდობისთვესა და ქრისტეშობისთვეს, გიორგობისთვეც და სხვებიც რომ დაუმატოთ, ზუთხი ყელამდე გექნებათო.

– რიონია ჩვენი დამრჩენიც და გადამრჩენიც, რა უჭირს, მაისის ხორცთევზით აზურგულებულ სუფრებს, დეკემბრის სამარხვო სანოვაგეც რომ მივუმატოთ, რანაირი გახრეკილიც არ უნდა იყოს, მაინც ღვთის შობის თვეა. მარხვა ადამიანთა დამამშვიდებელი, ცოდვათა მონანიების გრძნობის აღმძვრელი და ჭკუა-გონების გამომაფხიზლებელია. – ენად გაიკრიფა პეტრე.

– რასაც თქვენ ამბობთ, იგივეს თქვენზე სხვები გაიძახიან. – თავაუწევლად წამოიძახა დავითმა.

– ღმერთო მიშველე, ღმერთო მიშველე, – ჩვეულებისამებრ ავიშვიშდა მიხეილი, – ყველაფერი კაი, მარა, რას ამბობენ ჩვენზე. – ანერვიულება დაეტყო.

პეტრემ ფურცლები გამოართვა, გადაათვალიერ-გადმოათვალიერა. თვალი თვალში გაუყარა და მიაყვირა.

– რას, რას ამბობენ?!

– რას და, ჭკვიანი გოკიელები რამ გადარია, მაღაზიები არ იკმარეს, სასტუმრო გახსნეს. ისიც ეცოტავათ და ჩარექოვის სახლში ბამბის საწმენდი ქარხანა მიუმატეს. ერთ მინუტში ათ თუმანს რომ შოულობენ, ნეტა, უფრო მეტი რაღად უნდათ. შავ ზღვაში მართლა არ იქნება იმდენი ზუთხი, იმათ რომ ფული დაუგროვდათ. დაუგროვდათ და გადაირივნენ. უფულოები ჯობდნენ ფულიანებს. ისე, როგორც მდინარის ზუთხით ამოვსებაა დამღუპველი, კაციშვილის ფულით ავსებაც საშიშია.

– თევზს ჰაერი და კვება ეჭირვება, ფულს გაძღოლა და მშვიდობიანად დაბინავება. ვიცი, არ ირწმუნებთ, არადა, უფულობა ჯობია დიდ ფულობას. უფულო, კუჭს რომ ამოივსებს, მშვიდდება, ფულიანს გაძღომის შემდეგ ეწყება შფოთი და დავიდარაბა. ფული მანამაა სასურველი, სანამ სახლს აავსებდეს, აავსებს და სუნთქვას შეგიხუთავს, გულს გაგიჩერებს მისი სუნი.

– ღმერთო მიშველე, ღმერთო მიშველე, უფულოები რომ ვიყოთ, ბუღალტერი რაღად გვეჭირვებოდა. – გაღიზიანება ვერ დამალა.

– ფული არ გაქვს, გინდა?! იშოვი ან გაგიჩნდება, მაშინვე გაფორიაქებს. არადა, ყველას წყალსა და ღვინოზე უფრო წყურია, ჰქონდეს ფული, თანაც, რაც შეიძლება, ბევრი. იმას ვერ ხვდებიან, როცა ბევრი ექნებათ, გულს მოუშხამავთ. – გააგრძელა დავითმა.

– ნუთუ ვერ ხვდები, იმ ტოტს ჭრი, რომელზედაც ზიხარ. – პეტრეს თვალები ეშმაკურად აუციმციმდა.

– ფულს დიდი კუჭი, დიდი მადა მოყოლია. იმის ამოყორვას უნდება მთელი სიცოცხლე, ანუ ფულს ფულს ამატებ, ის ბატონობს შენზე და არა შენ მასზე, ჯიბეში ორი შაური რომ გიჭყავის, რაც გინდა, იმას უზამ, სახლი და კარი ფულით რომაა ამოვსებული, ყოველწამს უნდა წმინდო აშმორებული ჰაერი, ანუ ფული დაასაქმო, ერთი ათად, ათი ასად აქციო. სხვანაირად შეგიწირავს და ისე შეგანჯღრევს, ჯანშერყეული ყულაბის ამოვსებაზე სულაც აღარ იფიქრებ. – მიხვდა, ნამეტანი მომივიდაო და გაჩუმდა.

– ღმერთო მიშველე, მტერი აგერ გვყოლია, ჩემო პეტრე და შორს ვეძებდით, ღმერთო მიშველე, ღმერთო მიშველე, უმადურებითაა ქვეყანა სავსე, იმასაც ამბობენ, ძმები გოკიელოვების ბამბის საწმენდ ქარხანაში მანქანა, უპატრონოდ ნამუშევარა. ნოქარს შეუნიშნავს, რომ მანქანის ქვეშ ჩაიყარა და ბურკაში შეერია გაურჩეველი ბამბა. უთქვამს ზინა იმედაძისთვის, შემძვრალიყო მანქანის ქვეშ და გამოეკრიფა ბამბა. ბავშვი მართლაც შემძვრალა, მოუგროვებია გაურჩეველი ბამბა და ამოუყრია ზევით, მაგრამ ამ დროს მანქანის კბილები ტანისამოსში მოდებია და მარჯვენა მკლავი ჩაუთრევია. ხუთი წუთი ტრიალებდა, მაგრამ სხვა მუშებმა ვერ გამოგლიჯეს. ბოლოს ძლივს გამოათრიეს მანქანაში ჩავარდნილი ერთიანად გასისხლიანებული მსხვერპლი, რომელიც თოფურიას საავადმყოფოში წაუყვანიათ, ქირურგს უთქვამს, ხელი უნდა მოიჭრასო.

– ეს ძმები გოკიელოვების ქარხანაში მუშის დასახიჩრების მეორე შემთხვევაა, – ჩამოართვა სიტყვა პეტრემ, – მანამდე წნეხი გასკდა. მოხუც მუშას, გლახუა ოქროპირიძეს ხელებზე მოხვდა და დაასახიჩრა. ის მუშაც თავის ხარჯით მკურნალობს, ამბობენ, მუშაობას ვეღარ შეძლებსო.

– აი, რანაირად გვიწყალებენ გულს. ღმერთო მიშველე და გაზეთებმა სულ დანაყეს ჭკუა, ამის დამწერს რომ კაცი მოუსმენს, გომართელთანაა მისაყვანი. – ქარის სიგიჟე აქამდე აღარ შეუმჩნევია, ქარიშხალივით აგუგუნებამ ისე შეაკრთო, ცალი თვალი დარაბისკენ გააპარა.

– პეტრე არ ვიყო, მაგის დამწერს გურგენიძეზე უარესად ვუთავაზებდი, საიქიოს მოვანატრებდი, მაგრამ არც სახელს, არც გვარს ამხელენ, უცნობს რა ვუყო, თუმცა მიყუჩებაც არ ივარგებს.

– ხო, ისე გვლანძღავენ, ფულით ვერ ძღებიანო, ღმერთო მიშველე, პატარა ბავშვებს ამუშავებენო. წელან უცებ ავპილპილდი, დავითის მადლიერი უნდა ვიყოთ, რაც სხვებისგან გაუგონია, არ დაგვიმალა და მოგვახსენა.

– ჰოდა, დავწეროთ და გავაგზავნოთ; – გლახუას, იგივე ოქროპირს, ბამბის წნეხვისას კბილი მოუტყდა მანქანაზე, ცადა, გასწორება, მაგრამ კბილმოტეხილმა ვერ დაიკავა და ხელი დაიშავა. ყოველდღე ჩვენი ხარჯით ვმკურნალობთ, ხელი თანდათან ურჩება, გამცდარი დღეების ქირაც სრულად მივეცით.

– აჯობებს, გლახუას დავაწერინოთ, რაც მოხდა და როგორც მოხდა, ღმერთო მიშველე, ტყუილს მართალს, მართალს ტყუილს არქმევენ. – ჩაეჭრა მიხეილი.

– ჰო, წერა-კითხვა იცის, თუ ვთხოვთ, არ დაიზარებს.

– ისიც ტყუილია, თითქოს მუშებად მცირეწლოვანი ბავშვები გვყავდეს. ზინა იმედაძე აკულინა პლატონოვის ქალს მოყვა. როცა ნოქარმა თხოვა, დაუყოვნებლივ დაეტოვებინა ბავშვს ქარხანა, აკულინა შეეხვეწა, საღამომდე დარჩესო. ყველას გამორჩენია, როგორ შეძვრა ბავშვი მანქანაში და ხელი შეყო ხერხთან, რომელმაც მისი მკლავი ჩაითრია. მემანქანემ იმწამსვე გააჩერა მანქანა. ტყუილს იგონებენ, ათი წუთი ვერ გამოსტაცეს ხელიო – მიხეილს „ღმერთო მიშველე“ ერთხელაც არ უთქვამს.

– რა გული გაგვიძლებდა, ბავშვისთვის არ გვემკურნალა, წავიყვანეთ თოფურიას საავადმყოფოში, დღესაც ორი ფერშალი უვლის. ყოველდღე ურჩება ხელი, შეიძლება, ორი თითი ვერ აამოძრავოს, მაგრამ სად ეს და სად მარჯვენის მოჭრა.

– ისე აკულიანასაც დავაწერინოთ და ისიც ვაფრინოთ რედაქციაში.

– ჰო, კაი იქნება, ჩვენ ჩვენი ვთქვათ, ურწმუნოები მაინც არ დაიჯერებენ, მაგრამ გზაჯვარედინზე შეჩერებულებიც ხომ არიან.

– დავაწერინოთ, დავაწერინოთ.

– ჩვენც დავწეროთ, თავი კი არ ვიმართლოთ, ის ვთქვათ, რაც მოხდა.

ამ დროს მიხეილის პატარა შვილიშვილი შემოვარდა ოთახში.

– ბაბუ, ქარს ფრთები აქვს?

– აქვს, ბაბუ, აქვს, განა უფრთებოდ იფრენდა და იქარბორბლებდა?!

– რომ არ უჩანს, ბაბუ?

– განა, რაც მიმალულია და არ ჩანს, არ არსებობს? აქვს, აქვს ქარს ფრთები.

მენავე სომხები

„დღევანდელი „დროების“ №74-ში დაბეჭდილია ანბავი, რომ მებაღე იმერლებს ნავი გადაუბრუნდათ და სამი მათგანი კიდეც დაიხრჩო“ – წერს აკაკი 1882 წლის 17 აპრილის №78 „დროებაში“. ოთხი ნომრის წინანდელ გაზეთში, ე. ი. №74-ში მებაღე იმერლებზე არაფერია ნათქვამი, არც იმავე ანუ 17 აპრილის №78-ში, აკაკის უსათაურო წერილის (შემდგენლებს „ერთი შემთხვევის გამო“ რომ დაურქმევიათ) გარდა, ეს ტრაგიკული შემთხვევა არსადაა ნახსენები. ჯერ ერთი, თუ იმდღევანდელ გაზეთში იბეჭდებოდა რაიმე, ნომერი რაღა საჭირო იყო, ან უცებ შეიძლება იფიქრო, რომ 78-ის ნაცვლად 74 წერია და უბრალოდ კორექტურული შეცდომაა. მაგრამ სადღაც რაღაც ხომ უნდა ეწეროს იმერელ მებაღეებზე?! როგორც ეტყობა, აკაკის წერილი ოთხი ნომრით ადრე უნდა დაბეჭდილიყო, მასთან ერთად უნდა გამოქვეყნებულიყო ინფორმაციაც მომხდარის შესახებ, მაგრამ არც ერთი არ დაბეჭდილა მაშინ, დაიბეჭდა ოთხი ნომრის მერე, ინფორმაციის გარეშე და წერილის დასაწყისს გაზეთის თანამშრომლებმა ყურადღება აღარ მიაქციეს.

დღევანდელ №74-შიო და იმდღევანდელი უკვე სამოცდამეთვრამეტე იყო, ამბავია დაბეჭდილიო და – არ იყო დაბეჭდილი, თუმცა აკაკის სტატია მომხდარს მაინც ყოველნაირად ჰფენდა ნათელს.

„ძალიან კარგი იქნებოდა ისიც ეცნობებიათ, როგორ და რა მიზეზით მოხდა ეს მარცხი?“ – ამბავი არ უცნობებიათ და მარცხის მიზეზებსა და მის აღწერაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო. ალბათ, „დროების“ რედაქციამ აკაკის წერილი ინფორმაციადაც და მომხდარის მიზეზებზე ამომწურავ პასუხადაც ჩათვალა. სამი სტრიქონის დაწერას რაღა აზრი ექნებოდა, აქ ფაქტიც იყო გამჟღავნებული, მიზეზებიც გამხელილი.

სამი იმერელი მებაღის დახრჩობის ამბავმა ჩემი თვალით ნანახი ერთი შემთხვევა მომაგონაო, – აგრძელებდა თხრობას აკაკი.

რამდენიმე კვირის წინათ თურმე ვერადან მუშტაიდში ნავით გადაჰყავდათ სხვადასხვა წოდების ხალხი. მენავეებს შუაწყალში გაუჩერებიათ ნავი და იქ მყოფთათვის თითო აბაზი მოუთხოვიათ, ამტყდარა ჩხუბი მენავეებსა და ხალხს შორის. გადამყვანები წყალში გადაყრით ემუქრებოდნენ მგზავრებს. მაშინაც იგივე მოხდებოდა,– თუ ერთს იქ მყოფთაგანს ხანჯალი არ ამოეღო და მით არ შეეჩერებინა მენავეები, უეჭველია, ნავი გადაბრუნდებოდა, იმოდენა უმანკო სული დაიღუპებოდა და თქვენს გაზეთშიაც ისეთივე ცნობა იქნებოდა მოყვანილი, როგორიც დღეს არისო.

არადა, გაზეთში არანაირი ცნობა არ გაჭაჭანებულა. ვერ ვიტყვით, განზრახ მალავდნენ მომხდარს თუ არა, ის კი ნაღდად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამბის აკაკისეული ახსნა ბევრს არ დაეხატებოდა გულზე.

მგზავრებს ნავში ჩასხდომამდე არაფერს სთხოვდნენ, შევიდოდნენ შუა წყალში და მერე დაიწყებდნენ ფულის აკრეფას. ამ დროს, რამდენიც უნდა მოეთხოვათ, უნდა გადაეხადათ, აბა, ცურვით რომ ნდომოდათ მეორე ნაპირზე გასვლა, ნავში სულაც არ ჩასხდებოდნენ.

აკაკი ფიქრობდა, სამი იმერელი მებაღეც ამიტომ დაიხრჩობოდა, შუა წყალში გასულებს მოსთხოვდნენ იმდენის გადახდას, რამდენიც უნდოდათ, ამათ არ ექნებოდათ, მენავეებთან რას გახდებოდნენ, იქნებ ცურვაც არ იცოდნენ საწყლებმა, გადაყრიდნენ ისინი წყალში და მორჩა.

მაშინ, ალბათ, ვერ ან არ იშიშვლა ვინმემ ხანჯალი და სამი იმერელი მებაღე დაიხრჩო...

აკაკის წინათ მომხდარი გამოუკვლევია: „როგორც იქვე შევატყვეთ, მოიჯარადრე და მენავე სომხები თურმე ყოველთვის ასე ექცევიან, ვისაც კი დაიბრიყვებენ. ჩვენს შენიშვნაზედ მოიჯარადრემ ურცხვად გვიპასუხა, რომ ქალაქს იჯარას ვაძლევ და ჩემი ნებაა, მანეთიც რომ ავიღოო“.

„ტაქცია მხოლოდ ფორმისათვის გვიწერიაო რაღა“.

მოესურვებოდათ – მანეთს აიღებდნენ, მოესურვებოდათ – უფრო მეტს, როდის ყოფილა, სომეხს გადასახდელი თანხა შეემცირებინოს, პირიქით, ზრდიდა და ზრდიდა. დღევანდელი აბაზი ხვალ ორი აბაზი გახდებოდა, მერე სამი და ასე შემდეგ. უფლებას ქალაქის გამგეობა აძლევდა, ნავით გადაყვანა იჯარით ჰქონდათ აღებული.

ტაქცია ანუ ის ოდენობა თანხისა, რომლის ზემოთ გადასახადის გაზრდა კანონით შეუძლებელი იყო, სომეხ მოიჯარადრეს არ ანაღვლებდა, რამეთუ ქალაქის გამგეობა მის მხარეს გახლდათ.

ქალაქის გამგეობა თავის კერძო ანგარიშსაა გადაყოლილი, – წუხდა აკაკი. ქალაქის სარგებლობას იმას ეძახიან, რაც ხალხს აზარალებს, გაჭირვებაში ამყოფებს, აღატაკებს. ამის დამამტკიცებელ ფაქტებს უამრავს მოვიყვანდი, მაგრამ მერე იმით გაგვაჩუმებენ, ნაციას ეხებაო.

სომეხმა ყვლიფოს ქართველობა, ნავით გადასვლის გადასახადი, როგორც უნდათ, გაზარდონ, ვინც ვერ გადაიხდის, მტკვარში ჩაყარონ, დამხრჩვალან, კისერიც უტეხიათ. თუ რამეს იტყვით, სომეხი ერის შეურაცხყოფად მივიჩნევთ, ამ ხალხის მოძულედ გამოგაცხადებთ და ნავით კი არა, ქალაქში ფეხით სიარულსაც აგიკრძალავთო.

აკაკის ეს წერილი „დროებაში“, როგორც ვთქვით, 1882 წლის 17 აპრილს დაიბეჭდა. იმავე წლის 5 მაისს გაზეთ „შრომაში“ გამოქვეყნდა ლექსი „ზარი“, რომელიც სომეხთაგან ქართველობის გადათელვის თემას ეხმიანებოდა. ა. გაჩეჩილაძემ გაარკვია, რომ აკაკის ეს პოეტური თხზულება პირველად „დროებაში“ მიუტანია, მაგრამ ცენზურას აუკრძალავს და არ დაბეჭდილა. სულმნათმა მგოსანმა იქნებ ამის შემდეგ წააწერა ეპიგრაფად – აღა-მახმად ხანისაგან ტფილისის აოხრების დროს – ვითომ იმ ვითარებას ასახავდა, იმდროინდელი ამბებია არეკლილი თხზულებაში და არა დღევანდელიო, მაშინდელი სახალხო ლექსია (ასეც ჰქონდა მიწერილი ამ ლექსს) და თანადროულობასთან არაფერი აქვს საერთოო.

უნდა ვიფიქროთ, გაზეთ „შრომაში“ ამნაირი, მწერლისაგან ნაცადი და ხშირად გამოყენებული შენიღბვის გამო დაიბეჭდა, თორემ მასში გამხელილი სიმართლის გამოისობით კაი ხანს ვერ იხილავდა მზის სინათლეს.

ლექსი დასაწყისიდანვე ზარის, გრგვინვის, მოთქმით, მოძახილის ინტონაციით, თავს დამტყდარი ვაების ამოძახილით იწყება:

„ქვეშ დედამიწა გვისკდება,
მაღლიდან გვატყდება მეხი,
ერთის მხრით სპარსი მოგვადგა
და მეორედან სომეხი“.

სპარსის მაგიერ, ალბათ, რუსს გულისხმობდა. ბუნებრივია, ვერ დაწერდა, ვერ გაამჟღავნებდა, თორემ იმ დროს სპარსს თავისი გაჭირვებოდა და საჩვენოდ არ ეცალა. რუსი მტკიცედ შემოსალტოდა სანატრელ მამულს, დაპატრონებოდა, განაგებდა, გამგებლობდა, სომეხსაც მისი წყალობით მოეკიდებინა ფეხი, მეორე მხრიდან ის შემოხლართვოდა, კისერში წაეჭირებინა ქართველობისათვის ხელი და მეტი უბედურება რაღა იქნებოდა, ზემოდან დამეხილს ქვეშ გამსკდარი დედამიწა გვიქადდა ჩანთქმას.

მომდევნო სტროფში ალვის ხეს ადარებს მშობლიურ ქვეყანას. მამათა სისხლით მორწყული, მამულის სამშვენისი ალვის ხე უნდათ წამოაქციონ, ორივე მტერი შეერთებული ძალით, ხერხით, ცულით მისდგომიან და მალე დასცემენ ძირს, ძირფესვიანად ამოგლეჯენ, მის ხსენებასაც ამოძირკვავენ. ქართველი კი:

„მამების სისხლით მორწყული
ალვის ხე, ქვეყნის მშვენება,
უნდათ, რომ წამოაქციონ
და მოსპონ მისი ხსენება.
ცული და ხერხი უჭირავთ
მათ ხელში შეერთებული,
ქართველი განზე გამდგარა,
შესცქერის პირდაღებული“.

განზე გამდგარი, პირდაღებული, ჩინზე გადაგებული ქართველების წყალობით ბოგინობდა რუსი, ფესვებს იმაგრებდა სომეხი...

ქართველთა ეს თვისება არაერთხელ გაუკილავს. თითქოს მტრის დასანახი თვალი ახვეოდეთ, მოყვარედ მიეჩნიოთ მტერი, ერის ამოძირკვა რომ ეწადა – აქედან აყრიდა ძირძველ ხალხს და სომხებს დაუთმობდა აქაურობას. საღაციდან მოხეტებული, აქ დასახლების წყურვილით აღტკინებული სომეხი ფეხქვეშ ეგებოდა რუსს, მისი წყალობით ყოყლოჩინობდა, ყვლეფდა ქართველობას, რომელნიც, ვითომც არაფერი, განზე გამდგარნი, პირდაღებულნი შესცქეროდნენ, როგორ იქცეოდა მამული, როგორ თანდათან გადადიოდა უცხოთა ხელში.

ტანჯვის ატანით, მოთმინებით სამშობლო არ გათავისუფლდება, – გვეუბნებოდა აკაკი, – პირიქით, უფრო ჩაეფლობა მონობის ჭაობში, დღეს თუ ბაწრით ვყავართ მიბმული მტერს, ხვალ ჯაჭვით მიგვაბამენ, მკვიდრად ჩაგვეჭიდებიან, ამ კურთხეული მიწიდანაც გაგვყრიან, გვიბრძანებენ და ჩვენივე ნებით შეგვასმევინებენ საწამლავს:

„რაც ძალადობით წაიღეს,
ვინ დაგვიბრუნებს ნებითა?
ვინ ნახა თავისუფლება
ტანჯვით და მოთმინებითა?!
არ სჯობს, რომ კაცმა გმირულად
ბრძოლაში სული დალიოს,
ვიდრე სხვის ნება-ბრძანებით
მან საწამლავი დალიოს?
აი, რას ამბობს რუსთველი,
სულმნათი, ყვავილოვანი,
„სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა
სიკვდილი სახელოვანი!“

იყვნენ აკაკის დროს (მერეც) ისეთები, მოთმინებას რომ ურჩევდნენ ქართველობას, ტანჯვის ატანას ჩასჩიჩინებდნენ, – ვიყოთ მომლოდინენი, ვიომოთ სხვის ომებში, მივიღოთ წყალობანი, ჩინები, მედლები, გავძლიერდებით და მონობის უღელს გადავიგდებთო. აკაკი პრინციპულად ემიჯნებოდა იმათ განზრახვას, ვერც ძალით წართმეულის ნებით დაბრუნება წარმოედგინა, ვერც გალიის თავისუფლება გაეგო და რუსთველივით ნაძრახ სიცოცხლეს სახელოვან სიკვდილს ამჯობინებდა. რამეთუ ასეთი შეძახილი არ ავიწყებდა ქართველებს წარსულს, დღენიადაგ საბრძოლოდ განაწყობდა, ფხიზლად ამყოფებდა, რომ ერთი მხრიდან მომდგარ რუსსა და მეორე მხრიდან მოჯარულ სომხობას არ გადაექელა.

წალეკვას უქადნენ რუსნიც და სომეხნიც...

იქნებ აკაკის „ზარი“ გამოძახილი იყოს სომეხი მენავეების თავგასულობისა, ის წერილი და ეს ლექსიც ერთ დროს, უფრო ზუსტად (გამოქვეყნებაც რომ ვიგულისხმოთ), ორი კვირის, სავარაუდოა, უფრო ნაკლები დროის ინტერვალშია შექმნილი.

ქვეშ დედამიწა გვისკდება, ზემოდან მეხი დაგვეცა, ერთი მხრიდან – რუსი, მეორედან კიდევ – სომეხი მოგვდგომია;

მოეპრიანებათ, მანეთს დაუწესებენ საწყალ ქართველებს ნავით გადაყვანაში, მოესურვებათ, უფრო მეტს, სულაც წყალში გადაყრიან, დაახრჩობენო.

ჰგავს, ძალიან ჰგავს ლექსისა და წერილის განწყობილება.

ასე მგონია, რაც ერთში ვერ თქვა (უფრო სწორია, არ შეიძლებოდა, რომ თქმულიყო), მეორეში წამოიყვირა:

ამ ამბებიდან თერთმეტი წლის მერე თბილისის საბჭოში დედაწულიანად სომხები მოკალათდნენ. დავით მიქელაძემ ქართველთა „სასტიკი დამარცხება“ (სტატიის სათაურია) დაარქვა ამ ფაქტს. ვითომცდა რატომ არ იყო წაგებული ომის ტოლფარდი?! იმ დროს ხმალ-ხანჯალს აღარ იქნევდნენ, თუ იქნევდნენ და რუსის დასამკვიდრებლად, მტრის გასაძლიერებლად, ქართველებს ერთ-ერთი ბრძოლის ველი – არჩევნები დარჩენოდათ და იმასაც პირწმინდად აგებდნენ.

დავით მიქელაძემ წერილი ცნობილ ანდაზაზე ააგო: ან არ ვარგა ნავში ჯდომა, ანდა მენავესთან ბრძოლა. ამ ანდაზაში ნავი საქართველოა, მენავეები – ქართველები. სტუმრად გადმოხვეწილი სომხები ან არ უნდა ჩამსხდარიყვნენ ნავში (არ გაჩერებულიყვნენ ჩვენს მამულში), ანდა მენავესთან (ქართველებთან) ბრძოლა არ უნდა წამოეწყოთ.

აკაკის წერილში – პირიქით, მგზავრები ქართველები არიან, მენავეები – სომხები, დავით მიქელაძე სომხებს ურჩევდა, თუ საქართველოში გინდათ ცხოვრება, ქართველებს არაფერი დაუშავო-

თო, აკაკი კიდევ – შემზარავ სურათს ხატავდა – როგორ დაიხრჩო სამი იმერელი მებაღე იმის გამო, რომ სომეხმა მენავეებმა შეუძლებელი მოითხოვეს.

რაც უნდოდათ, იმას შვრებოდნენ: ისინი მასპინძლებად, ქართველები – სტუმრებად გადაქცეულიყვნენ.

აკაკი ვერც ლექსში, ვერც წერილში მალავდა ბოღმას.

ხმას ამოიღებ და სომეხ ერს შეურაცხყოფა მიაყენეო.

გვახრჩობენ, ვალების ყულფს გვიჭერენ, ულუკმაპუროდ გვტოვებენ, მამულს გვართმევენ, სტუმარი მასპინძლად გვექცა, არ მოვეწონებით, მტკვარში გადაგვყრიან. ამ დღეებში სამი იმერელი მებაღე დაიხრჩო. ნეტავ რამდენს ელოდება ასეთი ბედისწერა. გაზეთში კიდევ პატარა ცნობას დაბეჭდავენ, მიზეზს სულაც არ იკითხავენო, – ასკდებოდა გულს აკაკი.

ის პატარა ცნობაც რომ არსად დაუბეჭდავთ?!

გოცირიძის კვანტი და კლდიაშვილის ლობიო

აკაკი საქართველოს ყველა კუთხის შვილთა ხასიათს იცნობდა, იმერლებს – განსაკუთრებით. ცუდს არავის, ბუნებრივია, იმერლებსაც არ პატიობდა – ხშირად დასცინოდა, ხშირად ესარჩლებოდა. ხალხში გაგონილი ამბებით კომიკურ სცენებს თხზავდა. იმერელი მზარეულისაგან პოვრობის ძიების სასაცილო სცენა გავიხსენოთ: რა გახსენება უნდა? მწერალი კომიკურ ფერებში გვიხატავს, თუ როგორ გახდა გაუთვითცნობიერებელი იმერელი ტუსაღი. ჩვენ ვეცადოთ, დიალოგის ფორმით გადმოვცეთ მწერლის მონათხრობი.

– ღმერთმა მოგცეს, კაი მზარეული მე ვიყავი, მარა პოვრობის არაფერი გამეგებოდა.

– მზარეული თუ იყავი, პოვრობის სწავლას რაღა უნდოდა?!

– მასე გეგონოს შენ?! ისეთი მზარეული ვიყავი, კლდიაშვილის ლობიოსაც ქე ვაკეთებდი.

– კლდიაშვილის ლობიო ხომ ლობიო არაა, შე კაი კაცო!

– ჰო, ისეთი მზარეული ვიყავი, ვაგლახათ ხელს ვერავინ წამამკრავდა, სანამ სიყვარულმა არ გამამკრა გოცირიძის კვანტი.

– სად სიყვარული და სად გოცირიძის კვანტი?

– გამოგკრავს და ნახავ. მეზობლის გოგო მომეწონა, მოვეწონე, შემიყვარდა, შევუყვარდი, მარა ცოლობა კი მიატკაზა – პოვარი რომ იყო, გაგყვებოდი, მზარეულს რაფერ გამოგყვეო.

– ვითომ რატომ?! რა დიდი განსხვავებაა პოვარსა და მზარეულს შორისო?

– მაი, იმას კითხე. მეწყინა, მარა, რა უნდა მექნა? სიყვარულისაგან გოცირიძის კვანტგამოკრულს იმერეთში აღარ დამედგომებოდა, დავკარი ფეხი და მოვადინე ფხეკა თბილისში.

– რავა სუყველა თბილისში გარბიხართ.

– ნუ გაიქცევი შენ. იქ ჩემი ბიძაშვილი იყო ვიღაც გენერლის მლადში კასტრულშიკის სტარში პოპოშნიკად. ასეთი იყო მისი ადრესი და იმას მივაშურე. ვიფიქრე, მლადში პოპოშნიკად მაინც ამიყვანსთქო, მაგრამ არ დამიხვდა: სადღაც გადაკარგულიყო. იქნებ სტარში კასტრულშიკი გახდა, რა ვიცი.

– რას შვრებოდი მერე მარტო იმოდენა ქალაქში?

– რა უნდა მექნა? დავყიალობდი აღმა-დაღმა უსაქმურად.

– მასეთები გვიტეხენ იმერლებს სახელს.

– ტყუილია. ერთხელ დილიდან საღამომდე რომ ვიღოღიალე, აღმა რომ ავყევი, დაღმა ჩამოვყევი და ისევ უკან ანუ აღმა აღმართს ავუყევი, ვიღაც ლამაზი ქალი შემხვდა, გამიცინა და ჩვენს შორის ასეთი საუბარი გაიმართა.

– ზრასტი.

– ღმერთმა ნუ მოგაკლოს ნურც „ზდრასტი“ და ნურც ჩემი „პაჩტენია“.

– შენი „პაჩტენია“, – იცინის.

– რა გაცინებს შე კარგად სამყოფო, – წინ დავიხედე, ყველაფერი წესრიგში მქონდა.

– კაი ახალგაზრდა ჩანხარ.

– ვიცი, რაც ვჩანვარ, მაგრამ თქვენ თვითონ ვინ ჩანხართ?!

– შენ ხილი ნახე, მებაღეს რად კითხულობ.

– განა ხილი მებაღესი არაა.

– მებაღეც შენ იქნები და ხილით პირის გამსველებელიც, მოდი ახლოს.

მივედი. თორნის პურივით ამამეკრა გვერდით. ხან იქით გამაქანა, ხან აქეთ, კინაღამ გული წამივიდა. სად ეს და სად მე – ან მე აღარ ვარ მე და ან ეს არ არის ის, ვინც არის-მეთქი.

– რამ გაგაბრუა, ვერ ხედავ, შენისთანა ტანწერწეტა არავინაა, ყველა კოლოტივითაა დასივებული, გეგონება, ეს-ესაა ახლა მოუკუპრავთო.

– მართლა და, სად მე და სად – ესენი, უი დედა, რა უშნო ცხვირები აბიათ, ზედაც არ შეაფურთხებს კაცი.

– მომეცი ხელი.

მომიჭირა, მოვუჭირე.

– გინდა, დიდ-უბეს გიჩვენებ?

– იმე, რას ბრძანებ, სად უნდა მიჩვენო?!

– მუშტაიდში. იქ ზაოდსაც ნახავ, თქვენებურ ლორთქიფანიძეს აქვს მოწყობილი.

– ვიცნობ მაგ ლორთქიფანიძეს, მირზოევის ქარვასლის ყიდვაც უნდა, ჭკვიანი კაცია.

– ნება შენია (მუგუზალივით ცხელი ხელი ჰქონდა, სადაც მომკიდა, დამწვა და დამფუტკრა).

– ჩავჯდეთ კონკაში (თითო შაურით მთელი თბილისი სიგრძით გევისრიალეთ).

– აგერ მუშტაიდიც.

– კაი, დაგემართოს (დუნიის ოდენა ადგილი ხალხით იყო სავსე, ამოდენა თემობა ძნელი წარმოსადგენია, ისხდნენ ქალები და კაცები ერთად, არეულ-დარეულადაც და ფლურჩამდნენ სასმელს).

– რა დავლიოთ?!

– რაც გესიამოვნებათ!

– პივა მოვითხოვოთ!

– მოვითხოვოთ! (შუა სმაში ვიღაც კაცი ამოგვიჯდა გვერდით. მიუჩოჩდა ჩემ ქალს. მიეტმასნა და მიეტმასნა, მიიხუტა, მიიზიდა, მერე ხელით ფოთარი დაუწყო).

– ჰმუუ, – დავიყვირე.

– ზახრუმალა, – მიპასუხა.

– რა არის ეგ ზარხუმალა?!

– რა არის და იმერული ხიზილალა.

– ჰოდა, მე განახვებ ხიზილალას (ფეხზე წამოვხტი მოთმინებაგალეული).

– ოჰ, შენი (ისიც წამოხტა ფეხზე ზოზმანით).

აღარ ვაცალე შეგინება. ვბერტყე ფაშვზე წიხლი და სულ ბარაბანი დავაკვრევინე. იმანაც მომიქნია, განზე რომ არ გავხტომოდი, ზიარებასაც ვერავინ მომასწრებდა.

– მაშინ წახდეს ჩემი ტარიელობა! (დავიყვირე და ხანჯალი ვიშიშვლე).

– რა ტარიელიც ხარ, გეტყობა!

– აბა, ჩემო ხანჯალო, შენი გამჭედის ჭირიმე (დავიღრიალე და ზურგის ქვემოთ რომ ვშვლიპე, სუკის პირთან მოადინა წკეპა, – იმას კაი დღე ვაყარე, მაგრამ სხვები შემომეხვივნენ გარს და მეორე დღეს სლედოვატელთან ამოვყავი თავი).

– რაო, სლედოვატელმა?!

– რაო და ერთი წელი მახეხინა ციხის კედლები. ასე დამთავრდა ჩემი პოვრობის ძებნა და ვინც მზარეულობას წუნობს, ღმერთმა უარესიც ნუ მოუშალოს.

მინაწერი:

აკაკის „ტუსაღი იმერლის ნაამბობის“ გადმოცემისას ვეცადეთ, არაფერი დაგვეკარგა. რა გამოვიდა, შენ განსაჯე ჩემო მკითხველო.

რა გვეტუსაღიმერლებოდა?!

რადა, მლადში კასტრულშიკის სტარში პოპოშნიკი ხომ კარგია. ქართულად, ალბათ, ასე იქნება – უმცროსი მექოთნის უფროსი დამხმარე, ისე მე თუ მკითხავთ, მექოთნესა და მექვაბეს მეკასრულე სჯობს. მერე რა, რომ ქართული სიტყვა არაა. თუმცა ორივეს აკაკის დაწერილი სჯობს, ზუსტად გამოხატავს იმერლის დამოკიდებულებას, თანაც ეს მლადში კასტრულშიკის სტარში პოპოშნიკი ადრესია. მეტი სასაცილო რაღა გინდა?!

გოცირიძის კვანტი ადვილად შეიძლება ამოიცნო – მთელ იმერეთში სახელდავარდნილ ვაჟკაცს, დათუნა გოცირიძეს უკავშირდება, საოცარი კვანტი სცოდნია, მისი კვანტით მიწას დანარცხებული სამარისხელა ადგილს ტოვებდა თურმე. აკაკის „დათუნა გოცირიძედან“ არც ისე უცნობია მკითხველთათვის. ჰოდა, იქ კვანტზე არაფერი უთქვამს და აქ გაამხილა ხატოვან სიტყვა-თქმად ქცეული ფრაზა.

კლდიაშვილის ლობიო?!

კლდიაშვილის ლობიო ახლა კლდიაშვილებსაც აღარ ახსოვთ. არც აკაკი წერს სადმე, რატომ ჰქვია და რანაირი იყო ზოგიერთთათვის ეს დალოცვილი მცენარე. ერთი რამ დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ – გასაკეთებლად ძნელი ყოფილა, ვინც მისგან კერძს მოამზადებდა, მართლა მზარეული ეთქმოდა.

ერთი ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიურში ამოვიკითხე. კლდიაშვილის ლობიოს მწყრის საფანტივით წვრილი, თანაც მაგარი მარცვლები აქვს. ყველა წყალი ვერ ხარშავს, უნდა იცოდე, როგორი წყალი მოხარშავს, როგორი – არა. კლდიაშვილები თესავდნენ ადრე და ახლა იმ ადგილს ნალობიარი ჰქვია – ამბობს ერთი მთხრობელი.

ასეა, როცა იცი, ადვილია ყველაფერი.

აი, რატომ დასცინოდა თურმე აკაკი კლდიაშვილის ლობიოს!..

ის მთხრობელი აცხონოს ღმერთმა.

ჩამწერიც...

ნინო დარჯაისელი

ჩამქრალ ვარსკვლავთა მაძიებელნი

(ჩემთაობელებს)

კოსმოლოგები ირწმუნებიან,
ზოგი ვარსკვლავი ისე შორსაა,
ჩაქრა და მოკვდა რახანია,
მისი ნათება ჩვენს ცაზე კი დიდხანს რჩებაო.
რაღაც ჭიპლარი უხილავი გვაკავშირებს
ვარსკვლავებს და ადამიანებს.
და კიდევ მეტი,
ვარსკვლავია – თითოეული ადამიანი.
ზოგი ჩამქრალად იბადება,
ჩამქრალად კვდება,
ზოგი – ბჟუტავს,
ზოგი – კაშკაშებს და კვდომის მერეც
უსასრულოდ ცაზე გვინათებს.

ბითლზი,
პრესლი და კიდევ სხვები,
მუსიკალურ წარმოსახვათა ნახევარბინდში მელოდიურად მოხრიალენი,
თუ იდუმალად მომღიმარნი ოთხკუთხა ყდიდან
და არა მხოლოდ მომღერალნი,
შორეულად მობუბუნენი მანიკურით დაწებებული ბაბინებიდან,
კასეტებიდან, დისკებიდან,
სადღაც ნათხოვარს
ფაქიზი ნემსის დადებამდე ხავერდის ციცქნა ნაკუწებით
სუნთქვაშეკრულნი ნაზად რომ ვწმენდდით და გვაბოდებდა;
რომ გვინათებდა საბჭოური ყოფის წყვდიადებს.

როგორ ვუსმენდით,
ჯგუფურ ორგაზმში ჩავარდნილები!

მერე ვიღაცა საიდუმლო ხმით მეათასედ გვიზიარებდა,
იცით, ეგენი დაიშალნენ,
აღარ არიან,
ქალის ბრალია;
ან პერედოზით გაიპარა,
ან დაიღუპა კატასტროფაში და
მერე ვიღაც ორეულით ჩაანაცვლეს,
ეჭვი აქვთ, მაგრამ დანამდვილებით არავინ იცის!

ჩვენი ჭორები,
(ან სიმართლეს ვინ გვაღირსებდა,
სამოცდაათის დასასრულის,
ოთხმოციანის დასაწყისის საბჭოთა ბავშვებს),
ჩვენი მითები,
შორ უცხოეთზე წარმოდგენებით დასახლებულნი!

დღეს ყველაფერი ყველამ ვიცით,
მოკვდნენ მითები,
იმათ ადგილას სხვა,
ახლები იბადებიან
ელექტრონულნი,
ვირტუალურნი,
უბადლონი,
მაგრამ ისინი ჩვენნი ვერასდროს გახდებიან,
რადგან არიან ჩვენშემდგომის იმათშემდგომი და კიდე უფრო იმათშემდგომი თაობისანი,
ვარსკვლავურ ომებს ჩვენ რას გავუგებთ,
ხოლო თაობებს
გვაკავშირებს შეუცნობელი, მარადი მითი,
ცაზე რომ ზოგჯერ აკაშკაშდება და ისე დაბლა ჩამოიწევს,
რომ გეგონება, ფეხისწვერებზე აწევაც კი გეყოფოდა
ხელშესახებად
და თუ არა ჩანს ზოგჯერ ხოლმე საავდრო ცაზე,
მუდამ იგრძნობა,
ისმის,
მუდამ იგულისხმება.

გუშინ ელვისის ერთადერთი ქალიშვილი გულით მომკვდარა...
(ვიდრე გული არ გაჩერდება,
„ვეჯიც“ რომ იყოს,
ადამიანს ცოცხალი ჰქვია).
დღეს – ბითლზის დღეა.
ჩვენთვის – დიდი,

ჩვენთვის – ცოცხალი
და ჩვენმომდევნო,
ახლობელი ახლებისათვის – ტკბილი,
თბილი და მშობლიური,
როგორც უქმეში ჩვენთან დარჩენა, ჩახუტება,
რამე ისეთი,
წასასვლელად კართან მისულებს მუდამ რომ რჩებათ და რომ მივაწვდით,
რომ წაიღებენ აღზრდისმიერი მადლიერებით
იერსავსენი.

მითი?
რა მითი?
არამითი?
თავს-ღა ვიქცევ ახლა ამითი.

კატინა

მევალეები მოგვდგომიან ისევ, კატინა!
მოახლეს უხმე,
გააფრთხილე,
უთხრას,
ბატონი შინ არ ბრძანდება და არც ის ვიცით, დაბრუნებას როდის ინებებს,
ჩვენ – არაფერი დაგვიბარაო.

კატინა, მზითვის ოქრო-ვერცხლი – მზითვისა არის,
ხელის ხლება არ შეიძლება.
მე კი მამისგან ამოტოლა ვალები დამრჩა,
რით გავისტუმრო,
ეს სიამაყე რომ დამეძლია
და შენს გენერალ მამას მართლა დავთანხმებოდი,
თავაზიანად კარიერული კიბისაკენ რომ მიმიძღოდა,
ზედსიძეობის დამამცირებელ ზედწოდებას რომ მოვრეოდი...
მაგრამ კატინა, არის რაღაც,
რაც უარაფრო, მაგრამ ამაყ კაცს არ შეუძლია.

და ურჩევნია,
გააუკვდავოს ჰანგი ერთი,
პიანინოზედ აჟღერებული,
ანდაც საყურე,
ბიბილოსთან რომ ირხეოდა,
როგორც პეპელა.

კატინა, არის ოცნებები და იმედები,
ხელი კიდევაც რომ გიწვდებოდეს,
ასრულებით არ უნდა მოსპო!
გესმის, კატინა,
დაე, ჩვენ შორის პოეზია იყოს საზღვარი,
გამტარი ღარიც,
ზიარჭურჭელიც,
ჩემს ლექსში დარჩე შენ დაუფრჭვნელი,
მარად უცვლელი,
დაუცლელი,
კვლავ ხმანარნარი,
დაუმჭნარი,
უსაბაბო და უღაბაბო,

გესმის, კატინა!
მე პოეზიამ წამიერი შენი ხატება
სამარადისოდ დამახატინა.

წარღვნა

ერთხელაც, როცა წარღვნამ უკვე გადაიარა,
და კიდობნიდან მიწას როცა დაუბრუნდა
ადამიანი
და მასთან ერთად ცხოველთა და მფრინავთა და
მხოხავთა და
მცოცავთა და მთელი სამყარო,
ნოე დათვრა და
ტანთგახდილი
უგონ-უგვანოდ,
უმწეოდ ეგდო.

და რა იხილა ძემან მისმან,
სახელად ქამმა,
ძმებს უხმო თვისას
და
დაანახვა
იმისი სირცხვილ-სარცხვინელი
და მაშინ თურმე სამარადისოდ დაწყევლა მამამ...

ყველაზე მეტად
მე მეშინია წყევლის ამგვარის.

ანგელოზობას ვით შევიძლებდი ადამიანი,
სატყუარისთვის იქნებ უარი ბევრჯერ არც მითქვამს,
მაგრამ
ყოველთვის,
უკიდურეს საცდურს როცა შევეყრებოდი,
მახსენდებოდა
წარღვნა,
ნოე,
წყევლის შიში
და ფიქრი,
ფიქრი – შეგონება,
ჩემს უკეთურ არსებაში
ვერცხლის ზოლივით ჩატანებული,
რომ
არის რაღაც,
რაც არასოდეს,
არასდროს უნდა ჩაიდინო
და არც სხვისი არ მოიწონო,
არც გაუჩუმდე,
რადგან რაც ხდება,
ამსოფლის უფალს ყველაფრისათვის დასჭირდება პატიოსანი – მდუმარედ მცქერი.

ყორანს – ვერასდროს,
მხოლოდ მტრედს მოაქვს ზეთისხილის ტოტი – ნისკარტით
და ისიც – არა პირველ ჯერზე,
მოგვიანებით,
მაგრამ ხომ მოაქვს!

ზეთისხილი – მომწარო,
მაგრამ მაწიერი,
მძიმე ხილია.

დ-ომი-ნო

თქვენ თუ გინახავთ ან ოდესმე გაგიგონიათ,
უსაქმურობით მოწყენილი მეხანძრეები
ზარის ლოდინში დომინოს როგორ თამაშობენ?
(თუმცა ის დროა, ვიღას რაღა ეთამაშება?)

წრედ შემომსხდარნი,
ფართოდ გაშლილი ხელისგულებით

ძველ მაგიდაზე დაყრილ შავ ქვებს მიმოურევენ,
დაირიგებენ,
მერე გახსნიან თავ-თავისას,
ერთს ჩახედავენ
და აი, ასე,
ახალი ხელის დაწყებამდე
პირდაპირ ქულებს ითვლიან და აწერინებენ,
შემდეგი ხელის დასარიგებლად ქვებს ასარევად აბრუნებენ,
ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

როცა ომია,
იარაღის ბიზნესი ყველგან იფურჩქნება ცეცხლის ყვავილად,
მთლიანად ჰყვავის და
სტატისტიკას ერთი, დიდი ზეიმი უდგას:
ყოველდღიურად,
აქეთ თუ იქით,
სამხედრო ძალამ ან რა ზარალი განიცადა,
რა დაიკავა,
წინ რა მანძილით წაიწია,
ვის სად მოუხდა უკან დახევა,
(ცხადია, მუდამ გეგმიური,
სტრატეგიული!)
ცალკე ითვლება,
მშვიდობიანი მოსახლეობის ზარალმა რამდენს მიაღწია...
როგორი არის მსხვერპლის საერთო რაოდენობა,
და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.
და თან საქვეყნოდ,
ყველაზე დიდი მგმობელია ომისა იგი,
ვინც მას აჩაღებს
ან განაგრძობს,
სურს გააგრძელოს!

ო, განა არა!
როცა სჭირდებათ,
შენც – გახსენებენ რიტორიკულად,
მაგრამ მართლა კი ედარდები,
შენ დედაო, სამშვილიანო,
იღბლიანი ჟურნალისტის კამერამ რომ დაგაფიქსირა,
შემოძონძილი,
ტუჩმკვნეტავი,
სისხლგამდინარი
წინ კოჭლობით როგორ მიიწევ,

თან ერთი ბავშვი ზურგზე გკიდია,
ხოლო მეორე – ფეხაუდგმელი – ხელში როგორ გყავს ატატებული,
მესამეს – მოზრდილს,
შეუძლია თვითონ გამოგყვეს,
კაბის ბოლოზე ჩაჭიდებული პატარა მუჭი მაგრად ეჭიროს,
რომ არ გაგისხლტეს,
იქნებ და ერთად გააღწიოთ სამშვიდობოსკენ!

აი, ეს არის ომის მთელი ანატომია!
თვითონ არ იცი, საით გარბიხარ
ცეცხლმოდებული ტყიდან ნადირი.
უჭერობას და შიმშილს ეჩვევი,
შენ – იკარგები ან გეკარგება,
შენ – დაბლა კვდები
ან გიკვდება,
ხოლო შენ ზემოთ,
შუაში – ვინმე – იჭყლიტება,
მოყოლილი სხვების თამაშში
და მერე ზემოთ,
ზემოთ და ზემოთ,
ნელდება ექო ცეცხლოვანი პირამიდულად,
ხოლო სულ ზემოთ,
პირამიდის წვეროზე სხედან ზარის ლოდინში
მოწყენილი მეხანძრეები
ქვებს არიგებენ,
დახედავენ,
ქულებს ითვლიან,
მერე ხრიალით მიმოურევენ და
ახალ ხელსაც დაარიგებენ.

ინტერმისია

ხმაკრიალა ვიოლინომ
ჩელოს ჩააბარა ბანი.
აი დარდი, თუ მრავლობენ
იუდანი, ბარაბანი!

არა – დოლი, დოლი – არა!
გული არის ბარაბანი
და ხმიანობს წარამარა
ფრთების ოფლში განაბანი.

მე ვარდები მომელიან,
თანაც ერთი-ორგან ია,
აქ ბასუნი – რომელია?
ეს ვენები – ორგანია.

ო, მაესტრო, ნუმც მომასწრო
იმ დღეს, როცა არ ვიქნები!
ცათა შინა კი არ წავალ,
აქ ჰანგებად დავიქნები.

ო, მსმენელებს ალბათ სურდათ,
ამ დარბაზში დაესვენათ,
გადაიქცა ყველა სმენად
მთლად სამყარო იქცა ვენად,
ამ ბარბერმა გაუბერა,
თავი გაიბეთჰოვენა!

სადაც რამე გულს ეხება,
ყველგან ისმის ბეთჰოვენი.
მე ბეთჰოვენს
მე ბეთჰოვენს
ვერასოდეს ვეთხოვები!

ორკესტრი. პაუზა

ფრანგულ საყვირებს, ნერწყვით ავსებულს მუხლზე ირტყამენ ორკესტრანტები.
სძინავს პიკოლოს ისტერიულს,
და კონტრაბასთან აბაასდა დინჯი ბასუნი.
ვიოლინოსთან ისმის ვიოლა,
ვიოლამ საქმე გააიოლა.

მე გიმეორებ: – ის, რაც კარგია მუსიკაში, პოეზიაა.
მხოლოდ მან იცის, რას განიცდის წამსვლელ-დამრჩომი.

რომელი უფრო საბრალოა,
იკითხა ვინმემ?
– დამრჩომისაა გული იგი პოეზიისა,
ტირის უგონო, იქნებ კვნესა შენ გაუგონო;
წამსვლელისაა გონი იგი,
გონი უგულო
არ დაედევნო, ცივი ცეცხლით გადაბუგულო!

თუკი წასვლაა,
წასვლა უნდა იყოს ასეთი:
უცებ ადექი,
დაგუბებული – ლოყების ბერვით,
ამოისუნთქე,
ხმა აღარ დაძრა,
შეტრიალდი,
და გაეშურე!

წყალმა წაიღოს და მეწყერმა გადაუაროს,
რაც წინ მიმავალს უკან დაგრჩება.
ხოლო ვინც გრჩება,
დაე, ჰქონდეს იმას კუნძული,
პალმის ხეებით,
ზეთისხილით,
მწვანე მდელოზე მოწანწკარე ალმასებით,
ბატკნით და ეჟვნით,
ხოლო დროდადრო,
ღამღამობით, ციურ მანანას რომ ჩამოთოვს,
შემდეგ თოვამდე სავსე ჰქონდეს
გობი და ქვაბი.

ცხოვრება ჩვენი – გაძლებაა.
უძლებ, თუკი ხარ ადამიანი
და თუ მხეცი ხარ, აქეთ გიძლებენ.
თუ ანგელოზი – ზემოდან უნდა დასცქეროდე,
როგორ უძლებენ და ვერ უძლებენ სხვები ერთმანეთს.
სამივე ერთად შენში თუა – ვინმე სხვას არა,
უნდა ადგე და საკუთარ თავს თავად გაუძლო...

ჰოდა, მეც ვუძლებ
და ნურავის ნუ გეწყინებათ,
როცა უეცრად გავექცევი თავქუდმოგლეჯით,
რადგან ცხოვრება ერთი გაბმული გაძლებაა,
მაგრამ გაბმული როცა ძალიან დაიჭიმება,
გასაწყვეტად როცა წკიპზეა,
მაშინ ცხოვრება – გაქცევა და გადარჩენაა.

აი, ამ ერთხელ კიდევ გადავრჩი!
წინ – მზერავ ჩემო!
ყურო ჩემო – ახალ ხმას მიჰყევ!
დაე, დროდადრო

გამოცდილი პერკოშენისტის მოზომილობით
ნიავს მოჰქონდეს სუნთქვა შორი,
წანწკარი,
„მე-ეეე!“
ჩამოდგეს ჟამი
და ჟღარუნობდეს
ტამბურინზე კიდევ ეჟვანი!

სეკვოია

(მოანას ხსოვნას)

რა გითხრა, ნინველაო,
რა ჭირი დაგიამო,
ყველა დაიჯერე, რაც გითხრა გადიამო?
კარგად დაიხსომე, ეს სიბრძნე ძველიაო:
მეგობრის დაკარგვა – ყველაზე ძნელიაო,
ღალატი ისააო შენთვის სამუდამო,
მარტო თუ გტოვებენ ორნი სამიდანო;
ბიჭს თუ აგაცლისო ძველი მეგობარი,
ზურგსუკან გლანძღავსო – პირში მაქებარი;
ხელში მოგიკვდება, ენა ექარგება,
რამეს წაიღებს და გადაგეკარგება;
ვითომ შემოგავლებს იმ თავის ჩარჩულ თავს,
შენსას – თუ კარგია, ჯღანებში ჩაჩურთავს,
თავისას ახარებს და მტერს ახარხარებს?

არა, ნინველაო!
როცა გიგანტების ახლოს დაიღლები,
კლდოვანზე მავალი ოფლად დაიღვრები,
ველარ გასწორდები, თუკი დაიხრები,
დაღლით გიცახცახებს კუნთები და მხრები,
როცა სეკვიოას ახლო დაუჯდები,
გაფცქვნილი კვერცხების ჭამით დამუნჯდები,
მშრალ ლუკმას ბოთლიდან წყალს რომ დააყოლებ,
საათს რომ დახედავ და აზრს დააყოლებ:
დროითი სხვაობა – შვიდი საათია,
იქ უკვე ხუთია, ჩვენთან რომ ათია.

– მორჩა ემპათია, რა შეღავათია!
ალბათ მოილია ყველამ სიმპათია.
მჯერა, ცა მოელის,
მჯერა, სულმნათია,

ფრთები ეძლევათ და ზეცა სულ მათია...
ახლა – დახურული მისი კასკეტია,
იმ გორგოლაჭებით ძლივს გამოეტია,
ვის დაახსომდები ჩვენება, ცხადი ან?
ახლა – დარბაზიდან ყველანი გადიან,
ახლა – კატაფალკა და ზღვა მანქანების,
ჭედვა იმისთანა, ვერ გაექანები,
ყველანი ნელ-ნელა მიდიან,
მიდიან,
ტრასაზე – ხიდია,
ჰო, დიდი ხიდია, მერე სასაფლაო.
ძველი სასაფლაო,
ისეთი მოვლილი,
იფიქრებ, სიკვდილმა ყოფა მოთაფლაო.
იქ მწვანე ტენტია და ტენტქვეშ სკამები,
ერთმწყობრი, ერთფერი და ნაკამკამები
და ჭირისუფლები პირველნი სხდებიან.
დამთავრდა, ხვდებიან!
აი, ყვავილებიც –
ვარდები მარადი – ხავერდის, შავები
და კალა ლილია, ცოტაც კამელია,
თეთრი შროშანები,
უასაკო ია –
ახალ ბორცვს აყრია.
ცერმწვანე* მოანა – ყვავილთა მოენე!
მოანა, მანდ ალბათ ისეთი ჰავაა,
ისე საამური, ვით შენი ჰავაი,
ჰავაი,
ჰავაი!

(– ეჰ, რა ვქნათ, ასეა,
ბანანი შენ გქონდეს,
რუგზაკი სავსეა.
გაგიფცქვნი მანდარინს, მჟავე გეამება...
როგორ არ მინდოდა, ბაასი გამება!)

და დგას სეკვოია –
სამათასწლოვანი ხე უზარმაზარი,
დამწვარი, საზარი...
ძირს ყრია წიწვები.

* ცერმწვანე – ინგლ. იდიომი (green thumb) – პირი, რომელსაც მცენარეთა მოვლა კარგად გამოუდის.

თუ დიდხანს იდგები,
ბევრჯერ დაიწვები
და თუ დაეცემი,
იწვები,
იწვები არავის საფერი.
იცი, იქ ვაია,
გულში – აქ, ვოია,
მაგრამ არაფერი!
სადაც გაიხედავ,
ყველგან – სავალია,
ყველგან – მწვერვალია,
ღიმილი – ვალია,
არა, სეკვოია?
არა, სეკვოია!

სარაბანდა*

(ციკლიდან „ეტიუდები“)

ერთ ლამაზ ქალს ერთ სოფლად სდევდა მთელი ბანდა,
მაგრამ გული იმ ქალმა ქალაქს დააბანდა,
ბოზად არ დადიოდა ის უბან-უბან და
ბინიან კაცს ყვარობდა. ამბავს ვამბობ, ანდა
ჭორს გიამბობთ. ჩასული კარგად დაიბანდა,

მერე ჩანთას გახსნიდა, სავსეს სასმელებით,
სოფლის ნობათს ელოდა კაცი გამალებით
და თვრებოდნენ სიტყვებით, გულში ნამალებით,
ბულბულებით, მტრედებით, ცისკენ ფრთამალებით...
განა ინტიმს ასეთ დროს ვინმე ვემალებით?

კაცს ელაგა საქალოდ წვრილი საჩუქრები:
პომადები, ფანქრები, ლურჯი მინანქრები...
რად ვერ სჯაბნის უფიქრალს ასჯერ ნაფიქრები,
თუკი სიყვარული ხარ, ასე რატომ ქრები,
ბოლოს თუკი მწარდები, რაღად გვეშაქრები!

რას კარგავდა რომელი? იადვილეს ყოფა.
მერე კაცი გაცივდა და იავადმყოფა,
წამით არ უფიქრია ქალის უარყოფა,

* სარაბანდა – გენეტიკურად, ესპანური ჩქარი, წყვილის ეროტიკული ცეკვის სახეობაა.

მაგრამ შვილმა მიხედა. შვილებს რა ეყოფა,
ანდა წილი იმათი ვისთან გაიყოფა!

ქალმა მალე ამ ყოფით ველარ იბიბინა.
ბიჭიც წამოეზარდა და დასჭირდა ბინა,
დახმარების სათხოვად კაცთან მოირბინა,
შეახსენა, თუკი რამ ფიცი ადებინა,
კაცმა – შვილის გეგმები გადაადებინა...

ქალი სადღაც წავიდა, გზა იპოვა მან და
აი, ასე დასრულდა ჩვენი სარაბანდა!

გენრიეტა ქუთათელაძე

რეკვიემი დეკნილთათვის — 2022

* * *

როგორ ხარ, როგორ?
– როგორ ვიქნები, ვარ და არცა ვარ,
ხომ სულერთია შენთვის როგორც ვარ...
ისე, კაცს რომ შეხედავ, უცებ მიხვდები, როგორაც არის...

* * *

მე გაპატიე,
მიღალატე როცა პირველად,
მლანძღე კიდეც ისე უშვერად,
მე კი არაფერი ვთქვი,
პატიება უსიტყვოდ და უხმოდ მწამს რადგან,
ეს იყო ალბათ ჩემი გამოცდა –
სულგრძელი ვიყავ თუ არა...
მეორედაც გაპატიე,
ცილი როცა დამწამე,
კვლავ გავჩუმდი, ჰო, წავიყრუე,
შემეცოდე შურმა რომ გაგაგულისა...
მაგრამ ჩემი სიჩუმე
შენ არ ჩათვალე გულმოწყალებად.
მესამედაც გამიმეტე,
გადამამტერე უცნობ-ნაცნობნი,
შეთხზე არაკი რამ საკვირველი,
ვითომ მონსტრი ვარ...

კიდევ გავჩუმდე?
არა, არ გავჩუმდები,
ვერ წაგაქეზებ ავი საქმისკენ,
პირდაპირ გეტყვი:
თუ გაფრთხილებას ყურს არ დაუგდებ,
თუ გააგრძელებ ისევ მზაკვრობას,
თავს დააბრალე რაც მოგივა...
უცხვირპირო ვის რად უნდიხარ.

* * *

– განა რას ვითხოვ შენგან ამის მეტს –
იყავ კეთილი, სამართლიანი!
– ოო, შენ გგონია, რომ ცოტას ითხოვ?
გეთხოვა ფული ანდა სხვა რამე,
გაგიყოფდი, გინაწილებდი.
სიკეთე და სამართალი სად არ ვეძებე,
და ვერსად ვპოვე,
სხვებიც ეძებდნენ...
ახლაც ეძებენ...
– ძალიან კარგი, ვინც ეძებს, პოულობს კიდეც!

* * *

რამდენი თვალი მიმზერს ზეციდან?
ათასი? მილიონი თუ მილიარდი?
ცაზე ვარსკვლავი ვის დაუთვლია, მე რომ დავთვალო...
სამაგიეროდ ენა ვისწავლე ვარსკვლავებისა,
სხივებით მოწერილ ბარათებს ვკითხულობ ისე,
როგორც ფსალმუნებს დავითისას
და მეც ვმშვიდდები –
ვუახლოვდები ზეცას თანდათან!

* * *

გახუნდა სიტყვა, წაერთვა ფერი,
უსაზღვროებას ვერ შეენივთა,
ვერ გავიხსენე, აქ როდის მოველ,
ვიყავ? არ ვიყავ?

ალბათ, არ ვიყავ...
ციდან ვარსკვლავმა ჩამომძახა:
– დაბრუნდი სახლში...
და მეც წავედი.

* * *

– ფიქრებს აგროვებ? – მეკითხება და კვდება სიცილით,
– სასაცილო ხარ, ჭკუას აწი რაღას ისწავლი,
ან როდის გქონდა, რომ დაგკარგვოდა,
ახია შენზე...
– შენ რას გაიგებ, ჩემო კარგო, ფრინველის ვნებას,
ცაში არასდროს არ გიფრენია,
სხვა ხიბლი აქვს ზეცაში ნავარდს...

* * *

ღმერთის ჩრდილი ხარ?
მზეში რომ ხარ, ალბათ ამიტომ,
ეს სითამამე სულიწმინდის საჩუქარია,
ხედავ ხვალესაც
და ოცნებების ცისფერ ფარდაგებს
დუმილით აფენ...
ვინც გესტუმრება მაგ საზღაპრეთში,
ბედნიერია!

* * *

პირადი სივრცე,
პირადი „მე“,
ჰო, კი, ბატონო მნიშვნელოვანია,
თუ გაგაჩნია...
თუ არ გირღვევენ,
თუ არ გზღუდავენ,
თუ დაფიქრებას არ გიშლიან...
თუ საკუთარი თავის შეცვლას არ
გთხოვენ...
როგორ უყვართ ადამიანებს
სხვათა ჭკუის სწავლება...
არა, ბატონებო, არა,

სულ ტყუილად იწუხებთ თავს,
სიზიფეს ლოდს უფრო აიტანთ
მწვერვალზე,
ვინემ სხვას ჭკუას ასწავლით.

* * *

სიჩუმე ყვირის,
სიჩუმე რეკავს,
სიჩუმეს გული ამოვარდნია
და დამსგავსებია კაცს მეამბოხეს,
რომელიც ახლა თავის სიჩუმეს
სულ მალე გაექცევა და ზარებს შემოჰკრავს,
სიმართლეს იტყვის...

* * *

ეს ჩიტი, პატარა, თეთრგულა ჩიტი,
ჩემი აივნის არის სტუმარი,
რა ღაბუაა და საყვარელი,
ჭიკჭიკებს როგორც შარშან ამ აივანზე
ჭიკჭიკებდა ერთი მერცხალი,
მე ვუსმენ რიდით და მოკრძალებით,
...რა ლამაზი ენა აქვთ ჩიტებს.

* * *

მიიცვალა კაცი,
დიდი, დიდზე დიდი,
სიცოცხლეში ვერ დანახული,
არდაფასებული,
ვერ გაგებული...
ღრმა და ფაქიზი გულის პატრონი,
ინტელექტით გადავსებული,
მაგიური სიტყვის ოსტატი,
უხილავი ფერების დედამიწაზე ჩამომტანი,
დიახ, სწორედაც პოეტი ფერმწერი,
ავტორი სამყაროს მუსიკისა –
მისი ლექსებიდან რომ ისმის...
გარდაიცვალა? არა, ის დაიბადა!

* * *

როცა მინდორში გავახილე ცისფერი თვალი,
მზემ ერთი შეკვრა სხივი მაჩუქა
და მეც წელში გავსწორდი, წამოვიმართე და მზეს გავუღიმე...
– რა ლამაზია, – თქვა ვიღაცამ და უცებ მომწყვიტა,
მიმისაკუთრა...
და უცებ დავჭკნი,
არა, ამ მიწის გარეშე ვერ გავიხარებ.

* * *

ფოთლები, ყვითელი ფოთლები,
წყდებოდნენ ჭადარს და ცვიოდნენ ძირს,
ფარფატით, ფრთხილად...
დავხედე ფოთოლს,
გასცრეცოდა დარდისგან სახე,
ცრემლი უჩანდა გულისპირში,
ტიროდა ფოთოლი,
ყვითელი ფოთოლი...

* * *

მთვარე? – ოცნებების სათავე,
მთვარე – სევდიანთა რჩეული...
ჰო, ასე იყო წარსულში...
ახლა? ახლა პოლიგონია კოსმონავტების...
...მე მაინც მთვარეზე ვაგროვებ ფიქრებს...

* * *

მე მოვდიოდი გზაზე მარტოდ,
სულ მარტოდ,
წუხდნენ ხეები,
დასტიროდნენ ტოტებს დალეწილს,
ელვის მათრახით ზურგაჭრელებულთ
ცეცხლი ეკიდათ...
რა საშინელი ამინდი იყო,

დელგმა და თქეში სულს მიწუხებდა....
ასე მეგონა, აპოკალიფსი ახლოვდებოდა.
მინდვრის ყვავილებს გასცრეცოდათ
სახეზე ფერი,
აღარც ბალახი ბიბინებდა წინანდებურად,
ვინ იცის, ამ მწვანე ფარდაგს
ფეხი დაადგა ალბათ რამდენმა...
შემომყურებდა ფერწასული,
სურნელი კი შერჩენოდა პირველყოფილი
და ეს სურნელი
მგზავრობით დაღლილს
მაფხიზლებდა და ძალას მმატებდა
გავხედე ჩემს გზას –
ძლივს მოსჩანდა მტვერსა და ჯანღში,
არა, არ იყო ეს გზა უსაფრთხო...
შორით დავლანდე ხროვა მგლებისა,
მათი ყმუილი თავზარსა მცემდა,
ყურისწამღებად ჩხაოდა ყვავი
და ეს რაღაც ცუდად მენიშნებოდა.
გავფრთხილდი მერე,
გამოვისხი მე ასი თვალი,
ვიცვალე გეზი
და გზას ხალხმრავალს გავუყევი
არცთუ ხალისით...
კი, გაკვალული გზა შედარებით უსაფრთხოა,
ასჯერგავლილი,
მაგრამ ახალს რას დაინახავ?
სულს რით აივსებ?
ვერც დარდს გაუმხელ ნაძვებს და ფიჭვებს
და ვერც ჩიტების ჭიკჭიკს მოისმენ...
ყვავილებს კი, ყვავილებს
გზისპირას ფერი შეცვლიათ,
ასე მგონია, დარდები მოსძალებიათ;
სჯობს ისევ გაუკვალავი გზებით ვიარო!

* * *

მე რახანია მკვდარი ვარ უკვე,
თვით მკვდართა შორის ალბათ უმკვდრესი,
რადგან ათასჯერ გარდავიცვალე,
დამარხვით კი დღეს დამმარხეს,

დღეს პირველად ჩამფლეს მიწაში,
ცრემლიც უხვად დამადინეს და არც სახოტბო სიტყვები
დანანებია ჩემთვის ბევრ ვინმეს:
აი იმათ, სწორედ იმათ,
სიცოცხლეში რომ ათასჯერ მომკლეს
ავი სიტყვით და საქციელით,
შურით, დასმენით, გაუტანლობით,
გულგრილობით,
უყურადღებობით,
წაყრუებით,
გამიზნული დუმილით,
არშემჩნევით,
ფარისევლობით – ყალბი ღიმილით,
შენიღბული სიძულვილით, სიყვარულის დეფიციტით...
ჰო, ახლა ყველაფერს ვეღარ ვიხსენებ,
არა, არც მინდა რომ გავიხსენო,
სიცოცხლეშივე ვაპატიე მავანს და მავანს,
ღმერთმა შეუნდოთ მათი ცოდვები,
საკუთარ თავს კი, საკუთარ თავს ვერ ვაპატიე,
რომ ბოროტებას არ დავუდექი როგორც სალი კლდე.
ჰეი მანდ, ცოცხლად მყოფებო,
სანამ მზეს ხედავთ,
სანამ თქვენს გვერდით დააბიჯებს თუნდაც ერთი ალალი კაცი,
გაუფრთხილდით სიცოცხლეს თქვენსას,
ღირსებას თქვენსას,
თქვენ საკუთარ თავს – ბუნების გვირგვინს.

* * *

– ჩამოსულია, აქაური არ არის, არა,
მაგას ჩვენი ზნის რა გაეგება,
ან რა ადარდებს,
რა ენაღვლება;
ჰოდა, სიყვარულსაც არ იმსახურებს!
– შენ ასე ფიქრობ?
ოო, რა ცუდად გიცვნია კაცი,
კაცი, რომელიც საოცრად მღერის,
კაცი, რომელსაც საოცრად უყვარს
და ლექსებს მისცა თავისი სული...
დაუგდე ყური და ერთხელაც იქნებ,
გადმოგხედოს ღმერთმა მოწყალე თვალით

და ის დაინახო და გაიგონო,
ნატრობ რასაც მთელი სიცოცხლე,
გულის თვალებს თუ აგიხელს უფალი,
მჯერა, იხილავ სასწაულს –
როგორ მაღლდება კაცი თანდათან ზეცის კიბეზე,
ჰო, ჩამოსულია და თავის წიაღს უბრუნდება
სამყაროს შვილი, ძეი უფლისა...
შენ კი, სხვა ქალაქიდან ჩამოსული გეგონა იგი.

მე გადავლახე კარმანის ხაზი

ამ დილას ფიქრმა გამომაფხიზლა
და გულში იწყო უხვად გაკვირტვა,
უცებ ვიგრძენი, შიში გაიქცა,
როს ფიქრის რაშზე ამხედრებულმა
მე გადავლახე კარმანის ხაზი,
ახლოს ვარ მზესთან!
დემონს კი, დემონს არ ვეპუები,
ახლა რომ წყრომით ჩამიდგა კვალში,
ამონთებოდა თვალები რისხვით,
ბაგეს სწყდებოდა სიტყვები ავი,
დღეს გასცრეცოდა სახე ცისფერი,
ღრუბლის ბალიშზე მზეს მითვლემოდა...
და უცებ, უცებ,
მე გავიგონე კვნესა ვარსკვლავის,
წლებით დახუნძლულს
დრო განაჩენით ემუქრებოდა –
ის გაქრებოდა ცარგვალიდან და ჩანაცრდებოდა.
მწყდებოდა გული,
როგორ მწყდებოდა,
ბოლოს ხომ დამიწდებოდა ჩვენი გულებიც.
ჰოდა, ამ ფიქრებს გიზიარებ შეწუხებული,
ხომ დღესავით ნათელია,
როს დააკაკუნებს კარზე სიკვდილი,
რეგალიები ნაირ-ნაირი და სიმდიდრე მთელი,
წლებია რომ აგროვებ და თავს იწონებ,
განქარდება ვით თოვლის ფიფქი,
ციფრულ ხანაში ვინ გაგიხსენებს
ამ დოვლათისთვის;
წლებს ფოთლებივით წახვეტავს ქარი,
წაშლის წვიმა ნაკვალევს ბევრის,

მათ შორის ჩვენსას...
მაგრამ ჩემი სული აქ დარჩება
და გაიყვავილებს
(ამას ვგრძნობ და ცხადად ვხედავ),
რადგან ვწუხდი, მტკიოდა რადგან,
რადგან მიყვარდა,
დიახ, მიყვარდა, ვწუხდი, მტკიოდა
ხეც და ბალახიც, მიწა და წყალი,
ბავშვი, მოხუცი, დევნილი თუ მიუსაფარი;
მთას მოხვეული ნისლებიც კი შვებას მგვრიდა,
თქეში წვიმისა ჩამესმოდა, როგორც გალობა...
და ერთხელაც,
როცა უჩემოდ ამოვა მთვარე,
ერთი ვარსკვლავი მაინც მომისაკლისებს
(მისი ყურება მიყვარდა ცაზე)
და ძებნას დამიწყებს...
მიპოვის კიდეც –
მინდორში ამოვენთები ვით ყოჩივარდა...
ჯვარი წერია, ჩემო ქვეყანავ,
შენს მინდვრებს მარად!

წერილი მეგობარს

ეს შიში, სულში რომ ჩამისახლდა,
მე მანადგურებს და შევიცვალე, რად გაიკვირვე?
კი მაგრამ, შენ ამდენ უარყოფით ინფორმაციას როგორ უმკვლავდები?
ეტყობა იცი, როგორ შევცვალოთ სასიკეთოდ ჩვენი ცხოვრება.
არა, რეცეპტს კი არ გთხოვ, უბრალოდ, გვასწავლე,
როგორ გავძლიერდეთ პიროვნულად?
არ მითხრა ახლა, შენ არაფერი გეშველება,
რადგან ბედი შენი გენეტიკურად განსაზღვრულია
და მემკვიდრეობის არასასურველ მახასიათებლებს ადვილად ვერ დაძლევო.
წინააღმდეგობის გადალახვაში ოპტიმიზმი მთავარიაო –
ესეც მიბრძანე და კიდევ: სასიცოცხლო ენერგიას
და ადამიანის მოქმედებას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს
ადამიანის ფსიქოტიპიო...
როგორ ფიქრობ, არ მსურს სასურველ ფსიქოტიპად გარდაქმნა?
ადამიანის ცხოვრება დედამიწაზე ტანჯვა იყო და ასეა დღესაც,
ამ საუკუნეში, ამ ზეტექნოლოგიურ საუკუნეშიც,
ჩვენდა სავალალოდ, უსამართლობით,
ომებითა და ტერორიზმით რომ გვანადგურებს.

ნუთუ არ დასრულდება ეს კოშმარი და როდის?
მაიმედებ, ხომ ხედავ, ზეცის კარი იხსნება,
მეცნიერები ალაპარაკდნენ ფარულ მატერიაზე,
„ღვთიურ ტალღებზე“, ე. ი. მიკროლეპტონები რეალურია
და მათში უმაღლესი ღვთიური გონია კონდესირებული?
ჰოდა, განა ეს გონი დაუშვებს სიცოცხლის იავარქმნასო?!...
...და მაინც, ბევრი რამაა ჩვენს ირგვლივ ენიგმატიკური,
გამოცანები კიდევ ბევრია ამოსახსნელი.

* * *

ეს ჩემი ჩიტი,
ჩემი აივნის სტუმარი ჩიტი,
ნაცრისფერფრთება და თეთრგულიანი,
მთელი ზაფხული და შემოდგომა ჭიკჭიკს იწყებდა უთენია
და მზის ამოსვლას აყოლებდა თავის ხმას ციურს...
ჰყვებოდა ამბებს იმ მთისას და გადაღმა სოფლის...
როგორ ესროლა ერთმა ბიჭმა,
ონავარმა და უბირმა ბიჭმა შურდული და რომ ააცდინა,
გამწარებულმა იღრიალა და ხეს ტოტები სულ დააგლიჯა...
იმ ხეს და სოფელს გაუუცხოვდნენ მერე ჩიტები...
დეკემბრის ბოლოს სამი ბეღურა რომ შემოფრთხიალდა აივანზე
და ყვავილებში კენკვა დაიწყო,
გულს მომეფონა – კარგად გამოიზამთრებენ და გალაღდებიან-მეთქი,
ვფიქრობდი, თურმე ამაოდ...
ახალი წლის ღამის ხმაურიანი, ყურისწამღები ბათქა-ბუთქის მერე
სულ გადაიკარგნენ ჩიტები...
ბევრსაც ალბათ გული გაუსკდა...
რა ეგოისტი ხარ ადამიანო,
რამ შეგაძულა ბუნება ასე,
რამ დაგაბრმავა,
რამ დაგიხშო გულის კარი, რამ?! ასე სანამდე?!

* * *

– მოძალადე ხარ, მოძალადე,
წადი, მომშორდი!
– მოძალადე? უცნაურია,
კი მაგრამ, როდის შეგეხე,
განა ოდესმე მომიქნევია მუშტი
მე შენთვის?

– მუშტი არა, მაგრამ სიტყვებით, სიტყვებით ხომ იძალადე...
– სიტყვებით? რაღაც არ მახსოვს,
როდის გითხარი ავი სიტყვები?
– პირდაპირ არა, მაგრამ ირიბულად ხომ თქვი ათასჯერ,
როცა ცდილობ, დაამცირო ჩემს ირგვლივ ყველა,
ილაპარაკო მათ ცოდვებსა და შეცდომებზე,
როცა იცინი და გსიამოვნებს სხვათა ძაგება
და რეცეპტივით იძლევი შენიშვნებს,
როცა გამუდმებით სხვას ჭკუას ასწავლი,
სწორედ ამით შეურაცხმყოფ და ძალადობ ჩემზე,
ბეწვს რომ ხედავ სხვათა თვალში
და საკუთარში დირეს ვერ ამჩნევ,
როგორღა გენდო და კვერი დაგიკრა?
არა, ამას ჩემგან ვერ ეღირსები...
სხვათა ღირსებას პატივს უნდა სცემდეს როგორც საკუთარს
კაცი ყოველი
და სანამ ამას ვერ გაიგებ და გაითავისებ,
გულს ვერასოდეს დაიმშვიდებ,
იქნები მუდამ აგრესიული და მოძალადე, სხვათა მკილავი...
და ადრე თუ დაბერდები, ნუ გაიკვირვებ.
ღმერთმა გიშველოს!

* * *

ვყოფილიყავ თუნდაც სამყურა,
მინდორში მაინც ვიყვავილებდი,
ვეყვარებოდი მზეს და მთვარეს,
სხივებს მომფენდნენ,
შემიყვარებდნენ უპირობოდ და უსასრულოდ.

* * *

სხვისი გაკიცხვა უმეცართა ჩვეულებაა;
გავითავისე ცოდნა რამდენიც,
შევიცვალე საბედნიეროდ,
აღარ ვგმობ არვის
და არც არავის არ განვიკითხავ...
მადლობა ღმერთო, რომ ამავსე შენი წყალობით...
და ცხადი გახდა, – სხვას რომ გაუგო,
არ გაკიცხო, არ განიკითხო,

და მიუტევო,
უნდა გახდე გულით სავსე და სავსე გონებით,
გაათავისუფლო მონა საკუთარ თავში...
კი, შეიცვლება ქვეყნად ყოველი,
თუ კაცი სულის ბორკილებს დაძლევს...
– შენ შეიცვალე, – მესმის ძახილი,
გწყალობს ზენაარი, ხედავ?!
ჰო, შევიცვალე,
შევიმეცნე და გულში ვახარე
მცნება მრავალი,
რა მდიდარი ვარ...
გიკვირთ? ნუ გიკვირთ,
ეს კანონია თავად ბუნების –
ცვლილება რაოდენობრივი
იწვევს ცვლილებებს თვისებრივს...
ახლა სამყაროს მუსიკაც მესმის!

* * *

წვიმა არ იყო და მაინც წვიმდა,
მზეს ჩაჰქრობოდა სხივი ნათელი,
სადღაც, მინდორში ჭრელ პეპელას
ფრთა მოეკვეცა ყვავილის გულში,
კვდებოდა ჩუმად და შეუმჩნევლად,
ცისფერ ცრემლებს ღვრიდა ყვავილი,
მე გავიგონე კვნესა კესანეს...

* * *

რა საუცხოოდ გათენდა, ღმერთო,
გამომეცხადე როცა ამ დილით,
კარებთან იდგა ლერწამა გოგო,
ხელში ყვავილით...
– თქვენთვის დავკრიფე ეს ყვავილები,
გამოანათებს მზე მშვიდობისა,
არ დაიდარდო, გამოიდარებს, –
მითხრა ღიმილით.
ათასი სახე რომ გაქვს უფალო,
ასჯერ ათასი გამოცხადებით,
ასჯერც დავრწმუნდი: –

იაც ხარ, ვარდიც, ხეც მსხმოიარე,
პეპელა ჭრელი, ღაბუა ჩიტი...
ვინ, ვინ ჩამოთვლის!
მთელი ბუნება სულია შენი,
ფერად ნაირი და უსასრულო,
წყარო სიცოცხლის!

* * *

რაც თავი მახსოვს,
ნირუცვლელია,
სხვის თვალში ბეწვს ხედავს,
აგრესიული (ნამდვილი ენერგოვამპირი)
ყვავივით დამჩხავის თავზე და სევდას მიღვიძებს...
ჯერ კიდევ მაშინ, ქარს რომ ვჯობდი სილაღესა და სისწრაფეში,
დონდლოს მეძახდა,
არც ჩემი ქცევა მოსწონდა
და არც საუბარი.
– რამდენს ლაქლაქებ,
სად პოულობ მაგ სიტყვებს ნეტა,
ახლა მასე ვინ ლაპარაკობს?
ანდა ვინღა წერს?
– რა ტანადია, – თქვა ვიღაცამ, რომ დამინახა;
– შენ და ტანადი? – გაიკვირვა და გაიცინა,
– რა გამხდარი ხარ, რა გეშველება;
მომემატა როცა ასაკი, როცა დავქალდი და რომ იტყვიან,
ხორცი შევიბი, სულ ამიხირდა:
– რამ გაგასუქა, დაიცავი ზოგჯერ დიეტა;
ერთხელაც, აღარ დავტოვე უპასუხოდ და წყნარად ვუთხარი;
– შენ თავს მიხედე, მე რას მიყურებ,
როგორიც ვარ, ვიყო ასეთი,
არ ვნაღვლობ სულაც,
მთავარი არის გულში რა მიძევს,
არავინ მძულს, არ მშურს არავის,
სუყველა მიყვარს...
– ვაი შენს პატრონს,
ვერ ხარ ჭკუაზე,
ღმერთს ეჯიბრები,
ყველა რომ გიყვარს,
ყველას რომ წყალობ და ეფერები?
ისე იცოდე, უაზრო გამცემი არც უფალს უყვარს.

– ჰო, კარგი, კარგი, შენსას არ იშლი,
როგორაც გსურდეს, ისე იწამე,
მე რა გამგე ვარ, დაგიწესო ჩემი ნორმები...
– არ მჯერა შენი, არ ხარ გულწრფელი,
ვითომ კეთილი? როლს თამაშობ...
ტკბილმოუბარი?
არა, უფრო პირფერი ხარ,
თავს ვის აწონებ?
რა ვუპასუხო, აზრი არ აქვს,
მას სურს ასე დავინახო თავი,
სულ გამომწოვოს სულის ძალა და ყველა უნარი...
გვიან მივხვდი, სხვათა გაკიცხვა
მრავალთათვის სულის პურია;
ჰოდა, სხვის მოსაწონს რას გააკეთებ.
სჯობს თავს საკუთარი თვალით შევხედოთ.

დაღი თედორაძე

თოვლის ღრუბლების დედოფალი

(ზღაპარი)

დიდი ხნის წინათ ერთ ტრიალ ადგილას, ხრიოკი, ქვა-ღორღით დაფარული მინდორი იყო. მუდამ მოწყენილი და სევდიანი მინდორი თვალს აყოლებდა ჩიტებს, პეპლებს, ბუზებსაც კი და ოცნებობდა, რომელიმე მათგანი, ცოტა ხნით მაინც გაჩერებულიყო მასთან.

ერთხელ თვალებს არ დაუჯერა. მიწის სიღრმიდან ჯერ შარი-შურის ხმა მოესმა, მერე უცებ, მწვანე ჯეჯილი ამობიბინდა. ჯეჯილი თვალის დახამხამებაში გაიზარდა, თავთავი გაიკეთა და ქარვისფრად აელვარდა. ცოტა ხანში უშველებელი მუხის ხე გაჩნდა. მუხას სამი ფუღურო ჰქონდა. ფესვებთან ახლო ფუღუროში ზღარბი დასახლდა ოჯახით. შუა ნაწილში ციყვებმა დაიდეს ბინა, ხოლო სულ ზედა ფუღუროში ბუ შებრძანდა, ისიც ოჯახით. ცელქმა ნიავმა – ერიჰაამ! – შესძახა და ჩამოუქროლა, ააშრიალა გაბედნიერებული მინდორი.

მზე ჩავიდა თუ არა, ბინდი შემოიპარა ფეხაკრეფით და ჯეჯილის ფესვებთან ლურჯი, კამკამა ყვავილები წამოიზარდა. ყვავილები ისე ციმციმებდნენ და ანათებდნენ, გეგონებოდა ვარსკვლავები ციდან მიწაზე გადმოსახლდნენო. ამ საოცრებას მწვანე კალიების გუნდი დაემატა, ვიოლინოებით ჯეჯილის ფოთლებზე ჩამომსხდარი ულამაზეს მელოდიას რომ აჟღერებდნენ. მუხის ხის ფუღუროს ვერანდებზე გამოსული ბუები, ციყვები და ზღარბები ტკბებოდნენ საოცარი მელოდიით და საოცარი სილამაზით.

ამ დროს კი სახლში დაღლილი ბრუნდებოდა თოია, თოვლის ღრუბლების დედოფალი, რომელსაც შორეულ ქვეყანაში მოუწია სასწრაფოდ გამგზავრება. ახალი წელი დგებოდა და თოვლის ბაბუას მოულოდნელად გამოეძახებინა, რადგან ახალ წელს თოვლთან ერთად უნდოდა პატარების გახარება.

თოიას ულამაზესი მელოდიის ხმა მოესმა. ძალიან მოეწონა. გაუკვირდა საიდან მოდისო და უცებ, თვალი მოჰკრა ქარვისფერ თავთავებში ლურჯად განათებულ ყვავილებს. გაოგნდა. სად არ ემოგზაურა, მაგრამ ასეთი სილამაზე არსად ენახა. გახარებული დაეშვა მინდვრისკენ. კალიებმა იცნეს თოია. ხედავდნენ როგორ მოფრინავდა თეთრ კაბაში და პუანტებში გამოწყობილი დედოფალი და ვიოლონოს ჟღერადობას ფლეიტა და ჰობოი დაუმატეს. ნიავმა დაუქროლა ყვავილებს, ზღვასავით ააღელვა, ააშრიალა და თავთავებზე დაშვებულ თოიას ხელი შეაშველა.

ცეკვავდა და ცეკვავდა თოია. ხან ცაში აიჭრებოდა, ხან ისევ ყვავილებზე დაეშვებოდა, თავთავიდან თავთავზე ნაზად დგამდა თავის პაწია, კოხტა ფეხს. თავთავებიც თავის ფრთხილად მოქნევით ატყორცნიდენ თოიას ცაში. მერე ხელს შეუშვერდნენ, დაიჭერდნენ, კისკისებდნენ

და ცეკვავდნენ მთელი ღამე. კალიების ორკესტრი კი არ იღლებოდა და ახალ ახალი მელოდიებით ავსებდა რეპერტუარს. როგორც კი ირიჟრაჟა თოია თავის სამფლობელოში გაფრინდა. ყველა თავის სახლს დაუბრუნდა და მინდორმაც დაიძინა.

ასე გრძელდებოდა ყოველ ღამე. მუხის ხის ბინადრები ადრე ავახშმებდნენ შვილებს და ვერანდაზე ჩამომსხდარი ელოდებოდნენ ღამის საოცრებებს. ერთ დღეს, ცაზე ლურჯი ღრუბლების უფლისწული ლუჯა გამოჩნდა, რომელსაც თოია ერთხელ ენახა, შეყვარებოდა და მას შემდეგ ყველგან დაეძებდა. დაინახა საოცარ სამყაროში მოცეკვავე და თვითონაც დაეშვა ლურჯ ფრაკში და თეთრ პერანგში გამოწყობილი. თავი დაუკრა, გაეცნო და ხელი გაუწოდა. თოიასაც მოეწონა მოხდენილი უფლისწული, რომელსაც საოცრად ლურჯი, მეტყველი თვალები და კეფამდე დაყრილი ლურჯი თმები ჰქონდა. დამეგობრდნენ თოია და ლუჯა და ბედნიერად ატარებდნენ დროს.

ერთ დღეს ლუჯას საქმე გამოუჩნდა. სიცხისგან გადამწვარი სოფელი თურმე, დიდი ხანია წვიმას ელოდა. ლუჯა თოიას და მეგობრებს დაემშვიდობა, მალე დავბრუნდები არ მოიწყინოთო – უთხრა და სოფლისკენ გაფრინდა. სოფლის თავზე მოქცეულმა დაინახა მოსახლეობა გარეთ გამოსული, ცისკენ ხელაპყრობილი იდგა და წვიმას ელოდებოდა. ლუჯას უნდოდა მალე დაემთავრებინა საქმე და თოიასთან გაქცეულიყო, მაგრამ მიხვდა თუ იჩქარებდა და კოკისპირულ წვიმას დაუშენდა, მოსავალს გაანადგურებდა. ამიტომ, ჯერ ჟუჟუნა წვიმა დაუშვა, მიწა გააგრილა, დაალბო. მერე შხაპუნა, მსხვილი წვეთები დაუშინა და გააცოცხლა ყველაფერი. ბავშვები ფეხშიშველა დარბოდნენ და მხიარული ყიჟინით იკლებდნენ იქაურობას, უფროსები მადლობას უხდიდნენ მათი მოსავლის გადარჩენისთვის.

ამ დროს კი მინდორზე საშინელება ხდებოდა.

თურმე, მინდვრის ქვეშ, ქვესკნელში სამთავიანი, ბოროტი კუ ბინადრობდა. მას საუკუნეების მანძილზე ეძინა. იმდენად დაუნდობელი ყოფილა, ყველას და ყველაფერს ანადგურებდა. იქ მცხოვრები ბევრი ადამიანი გადაუსანსლავს, ბევრი ვაჟკაცი დასახიჩრებულა მასთან ბრძოლაში. შემდეგ მთელი სოფელი სხვაგან გადასახლებულა. მას შემდეგ იმ ადგილს არავინ გაკარებია და გავერანებულა კიდეც. კუს კი ეძინა სიმშვიდეში და ახლა ხმაურისგან გამოღვიძებული, გაღიზიანებული ქვესკნელიდან ამომძვრალიყო.

კუს სასახლის ხელა ბაკანი, უშველებელი ტორები და ბასრი ბრჭყალები ჰქონდა. სამ თავზე, სამ-სამი სხვადასხვა ფერის თვალი ბოროტად უელავდა, შუა თავზე სისხლივით წითელი, ხოლო აქეთ-იქეთ ნარინჯისფერი და ყვითელი.

ქვესკნელიდან ამომძვრალმა თვალები ირგვლივ მოავლო. კარგად დაინახა აბიბინებული მინდორი, კალიების ორკესტრი და მოცეკვავე თოია. ცოტა ხანს უყურა. მოეწონა თოიას საოცარი ცეკვა, მელოდიამ მოაჯადოვა, თვალები ცრემლებმა დაუნამა, თითქოს რაღაცას იხსენებდა, მაგრამ ბოლოს ისეთი ხმით დაიღრიალა, კინაღამ ცა ჩამოიქცა. მუხის ხეზე ყველაზე მაღლა მდგომმა ბუმ კივილი მორთო: – ჩქარა, დაიმალეთ ურჩხული გვიახლოვდებაო და შვილები ფუღუროში შეყარა.

ბუს კივილზე სამთავიანი კუ დაიძრა. ფეხის ყველა გადადგმაზე მიწა ზანზარებდა. ლურჯმა ყვავილებმა თავი მიწაში ჩარგეს, პურის თავთავებმა ფოთლები შეიკეცეს და ყვავილებს გადაეფარნენ. მწვანე კალიებმა წრე შეკრეს და თოია შუაში მოაქციეს. ციყვებმა და ზღარბებმაც გადამალეს შვილები და ბუსთან ერთად ვერანდებზე გადმომდგარი ყვიროდნენ: – ჩქარა, ჩქარა, ფუღუროში შემოდით!

თოია ცაში აიჭრა, დაინახა გამძვინვარებული კუ, როგორ აბრიალებდა თვალებს და მათკენ მოიწევდა. შეეძლო გაფრენილიყო, მაგრამ მეგობრები არ მიატოვა და დაუძახა: – აბა, მწვანე კალიებო, ფუღუროში ჩავიკეტოთ, მომყევით! იქ ვერავინ ვერაფერს დაგვაკლებსო – და გაფრინდა.

ამ დროს სამთავიანი კუ უკვე შუა მინდორზე იყო შემოსული. პურის თავთავებს უმოწყალოდ

თელავდა. დაინახა მუხის ხისკენ გაფრენილი თოია, გრძელი ორკაპა ენა ისარივით ესროლა, წელზე შემოხვია და ქვესკნელში გაუჩინარდა.

წუთით გაირინდა ყველა. ხმის ამოღებას ვერავინ ახერხერხებდა. ამ დროს ციდან ლუჯა დაეშვა. დაინახა გაჩანაგებული მინდორი და გახევებული მეგობრები. მიხვდა, რაღაც ცუდი მომხდარიყო და თოიას დაუწყო ძებნა. ყველაზე ადრე ბუ მოეგო გონს. მიფრინდა ლუჯასთან და მოუყვა რაც დაემართათ.

ლუჯას ფერი ეცვალა. – დაიღუპება, ნამდნილად დაიღუპება ქვესკნელში. თოია თუ დაიღუპება თავს არ ვიცოცხლებ – ჩურჩულებდა. შემდეგ ცისკენ აღმართა ხელი და უცებ, რკინის აბჯარი, შუბი და ხმალი ჩამოსრიალდა. საბრძოლო ტანსაცმელში გამოწყობილი წასვლას აპირებდა რომ – ჩვენც მოვდივართო მოესმა და სასწაული მოხდა. ხმლებად გადაქცეული პურის თავთავები კალიებმა დაიჭირეს ხელში, ბუმ, ციყვმა და ზღარბმა შვილები ფუღუროში ჩაკეტეს, ხმლები აიღეს და წინა რიგში ჩადგნენ, ხოლო შუქურად გადაქცეული ლურჯი ყვავილები გვირგვინად დაედო მეგობრებს და გზა გაუნათა.

მეგობრებისგან შექმნილი არმია ქვესკნელისკენ დაიძრა. ნიავი ყველაფერს გულის ფანცქალით თვალს ადევნებდა და მიხვდა, თუ არ იჩქარებდა ცუდად დამთავრდებოდა ყველაფერი. ბევრი აღარ უფიქრია და თოვლის ბაბუასთან გაფრინდა.

თოვლის ბაბუა მთოვრის მთაზე ცხოვრობდა. მთა ისეთი მაღალი იყო, წვერი ცაზე ჰქონდა მიბჯენილი. ნიავი როცა აფრინდა მთოვრის მთაზე, თოვლის ბაბუას ტკბილად ეძინა. ეტყობოდა ბევრი ეშრომა, რადგან ირგვლივ ლამაზ ქაღალდებში გახვეული უამრავი საჩუქარი ეწყო. იქვე, პატარა სავარძელში ულამაზესი ფიფქია მოკალათებულიყო და თვლემდა.

მეორე დღეს ახალი წელი დგებოდა.

ფიფქიამ დაინახა ნიავი და ხელით ანიშნა ჩუმად ყოფილიყო, დაღლილი თოვლის ბაბუა არ გაეღვიძებინა. ნიავი გამწარებული რაღაცას ანიშნებდა და შრიალებდა. შარი-შურზე თოვლის ბაბუას გაეღვიძა. თვალების ფშვნეტით ნიავს მოსვლის მიზეზი ჰკითხა. ნიავმა უამბო ყველაფერი და ისიც დასძინა: – თუ თოვლის და წვიმის ღრუბელი დაიღუპება, ყველა ახალი წელი უთოვლოდ მოვა, აღარც წვიმა იქნება და სამყაროც განადგურდებაო.

თოვლის ბაბუა ცოტა ხანს დუმდა. მერე ამოიხვნეშა და თქვა: – ნიავო, შენ კარგი ამბავიც მომიტანე და ცუდიც. კარგი ისაა, რომ კუ ცოცხალი ყოფილა. ის, კეთილი მწვანე კუების უკანასკნელი შთამომავალია, რომელსაც ულამაზესი ოჯახი ჰქონდა. ბოროტმა ჯადოქარმა დააშორა ოჯახს და მისი მიზნების განხორციელებისთვის სასტიკ, დაუნდობელ ურჩხულად გადააქცია. გაანადგურებინა სოფელი და ქვესკნელში დააძინა, რადგან თუ დაჭირდებოდა, ისევ გააღვიძებდა და გამოიყენებდა. კარგია, რომ ჩვენ ვიპოვეთ, მაგრამ ცუდია თუ ვერ მივუსწრებთ. კუ გაანადგურებს თოიას და ლუჯას და სამყაროს დასასრულიც დადგება.

– თოვლის ბაბუა, მე მგონი ეს ნიშანია მწვანე კუს გადასარჩენად. – დაიძახა ფიფქიამ და ფეხზე წამოიჭრა.

– რა ნიშანი? – ჰკითხა თოვლის ბაბუამ.

– ას წელიწადში ერთხელ, როცა ვარსკვლავები გაფერმკრთალდება და მთვარე ჩასვლას იწყებს, სისხამ დილით, ცის და მიწის გასაყართან ჩნდება მთვარის ყვავილი, მხოლოდ ერთი წუთით. თუ ჩვენ მოვასწრებთ და ერთ ფოთოლს მოვწყვეტთ, მისი სასწაულმოქმედი ძალით შეგვიძლია კუს ჯადო მოვხსნათ.

– და, ეს როდისაა. მანამდე ხომ დაიხოცებიან ჩვენი მეგობრები.

– ამიტომ გითხარით, ეს ნიშანია-მეთქი. ეს ღამე დღეს დგება, დღეს.

– ეს საქმე მე მომანდეთ! – დაიყვირა გახარებულმა ნიავმა, – ბაბუასგან ვიცი, სადაც იზრდება ეს სასწაულმოქმედი ყვავილი და არა მგონია, მე ნიავს, გამიჭირდეს ერთი ფოთლის მოწყვეტა.

– ძალინ კარგი. ნიავო, შენ წადი ფოთლის მოსატანად. ჩვენ კუს სახლში დაგელოდებით, მა-

გრამ იცოდეთ, სავარაუდოდ ჯადოქარმაც იცის ეს ამბები და მასთან შესაბრძოლებლად მზად უნდა ვიყოთ.

სამთავიანმა კუმ სახლს მიაღწია. ღრჭიალით გააღო ჩაჟანგებული კარი და ოთახში საწოლზე დააწვინა უჰაერობისგან შეწუხებული თოია. გვერდით, პატარა მაგიდაზე საჭმელი და წყალი დაუდგა და გარეთ ქვაზე ჩამოჯდა. ქვესკნელის ნაპრალიდან, რაც ადრე არ შეუმჩნევია, სინათლე აკიაფდა. კარგად დააკვირდა და უშველებელი ბადრი მთვარე დაინახა. რაღაც განსხვავებული გრძნობა დაეუფლა. ოთახში შევიდა, ძველისძველი სკივრიდან მტვერი გადაფერთხა, თავი ახადა და ალბომი ამოიღო. მერე ისევ ქვაზე ჩამოჯდა. მთვარის სხივი ალბომს დაეცა. კუ შლიდა ალბომს და ცრემლები ღაპაღუპით ცვიოდა. ეს მისი საოჯახო ალბომი იყო, რომელმაც ცოლ-შვილთან გატარებული ლამაზი წლები გაახსენა.

მთვარემ ჩასვლა დაიწყო თუ არა ცის და მიწის გასაყარზე მთვარის ყვავილმა დაიწყო ამოსვლა. ნიავი უყურებდა ულამაზეს, ოქროსფერ ნაზ ყვავილს, რომელიც გაშლილ უკიდეგანო ველზე დედოფალივით იდგა ყელმოღერებული და ცის ლურჯ ათინათს ეკეკლუცებოდა. ნიავი მოჯადოებული უყურებდა ბუნების საოცრებას, მერე გონს მოეგო. ციდან დაეშვა, დიდი სისწრაფით ჩაუქროლა მთვარის ყვავილს, ერთი ფოთოლი მოსწყვიტა და გაფრინდა.

ამ დროს, ლუჯა და მეგობრები დიდი წვალებით მიიკვლევდნენ გზას გიგანტური ხეების გადახლართულ ფესვებში და ბნელ ლაბირინთებში. ბევრი განსაცდელი შეხვდათ. ბევრჯერ გაუმკლავდნენ ყვითელთვალება ღამურების, შავი გველების, შხამიანი გომბეშოების თავდასხმას. იბრძოდნენ თავდაუზოგავად და გზადაგზა თოიას ეძახოდნენ. კუმ გაიგონა ხმა. თვალები ნაკვერჩხლებივით აენთო. ალბომი დახურა, სკივრში შეინახა, გარეთ გამოვარდა და სახლის კარებთან ყალყზე დამდგარი თავდასხმისთვის მოემზადა. როგორც კი გამოჩნდნენ დაიღმუვლა, წაგრძელებული ორკაპა ენა მოისროლა, წინა რიგებში მდგარი ზღარბი, ციყვი და ბუ დაიჭირა, ის იყო პირისკენ წაიღო გადასაყლაპავად, რომ ლუჯამ ხმალი იშიშვლა და კუს ენა გადაუსერა. გამწარებულმა უკან დაიხია, ახალი თავდასხმისთვის ემზადებოდა, როცა კალიების არმიამ ისკუპა და ცოცხალი კიბის საფეხურები შექმნა. ლუჯამ სწრაფად აირბინა კიბე, მსხვილი თოკით კუს თავები შეუკრა, შემდეგ მთელ სხეულზე შემოახვია და მიწაზე დასცა. ციყვი, ზღარბი და ბუ დააცხრნენ თავზე, ხმლები ჩასაცემათ შემართეს. უცებ ნიავის ზურგზე შემომსხდარი თოვლის ბაბუა და ფიფქია შემოფრინდნენ.

– შეჩერდით! – იყვირა თოვლის ბაბუამ, – არ მოკლათ, ყველაფერს აგიხსნით.

თოვლის ბაბუა მოუყვა მეგობრებს თუ როგორ და რატომ მოაჯადოვა ჯადოქარმა მწვანე კუ, როგორ ჩამოაშორა საყვარელ ოჯახს. მერე მთვარის ყვავილის ოქროსფერი ფოთოლი გადაუსვა ბაკანზე და უშველებელი, საშიში, სამთავიანი კუს ნაცვლად პატარა, საყვარელი, მწვანე კუ გაჩნდა.

ლუჯა სახლში შევარდა. გულწასული თოია ხელზე გადაიწვინა, ფიფქიამ კუ ხელში აიყვანა და ყველანი ლურჯი ყვავილებით განათებული ბილიკით სამშვიდობოს გავიდნენ.

მინდორზე დაბერებული, დაუძლურებული ჯადოქარი დახვდათ. დაგრძელებული ცხვირი და ნიკაპი წვერთან ერთად, ხის ფესვებად გადაქცეული მიწაში ჩაერგო. გრძელი, წვეტიანი ყურები სიცხისგან დამსკდარ მიწასავით დაბზარვოდა, შუბლზე ეკლის დიადემა ედგა, შხამიანი სოკოებით სავსე. დაკოჟრილი ხელის თითები ერთმანეთზე გადაეჭდო, თავი ზედ დაედო და ჩაწითლებული, დაღლილი თვალებით უცქერდა გამარჯვებულებს.

თოვლის ბაბუა მიაუხლოვდა, თავზე ხელი დაადო და ჯადოქარი ნორჩ ხედ გადაიქცა. ხის ფესვებიდან მწვანე კუს ოჯახი გამოცუცუხდა.

საათი თორმეტს უახლოვდებოდა. ახალი წელი დგებოდა. ლუჯა და თოია ცაში აფრინდნენ და ულამაზესი თოვლის ფიფქები ფრიალით დაეშვა მიწაზე. თორმეტჯერ ჩამოჰკრა

საათმა, საჩუქრებით სავსე ირმების მარხილი, ეჟვნების ჟღარუნით შემოსრიალდა მინდორზე. თოვლის ბაბუამ მიულოცა ახალი წელი ერთგულ მეგობრებს და ფიფქიასთან ერთად გაფრინდა ბავშვების გასახარებლად.

აგუგუნდა მწვანე კალიების ორკესტრი. ზღარბი, ციყვი და ბუ შვილებთან ერთად, ჟივილ-ხივილით გაიჭრნენ გადაფიფქულ მინდორზე და ერთმანეთს გუნდები დაუშინეს. ნიავმა კისკისით ჩამოუქროლა ლურჯ, კამკამა ყვავილებს, ცაში აიტაცა და ფეიერვერკებად დაუშვა მიწაზე.

ოდესღაც ხრიოკი, გადამწვარი მინდორი მეგობრებთან ერთად მთელი ღამე ახალ, ბედნიერ წელს ზეიმობდა.

თოია, თოვლის ღრუბლების დედოფალი ბარდნიდა და ბარდნიდა ულამაზეს, უსპეტაკეს თოვლის ფიფქებს.

მზია სალვარიძე

სამი მარაო

მსუბუქი ყოფაქცევის ქალი თქვენსკენ მოიკითხეთ.
მე თავისუფალი ქალი ვარ.
როცა თამამ ნაბიჯებს პირველად ვდგამდი,
მეც მეგონა რომ ბოზი ვიყავი.
არა უშავს,
მაშინ თქვენნაირად ვაზროვნებდი...
მეპატიება,
რადგან არასაკვირველს ვიკვირვებდი,
გრძნობები გარყვნილებაში მერეოდა,
ბუნებრივი მოთხოვნილება
მხოლოდ ტუალეტში მოსასაქმებელი მეგონა...
მხოლოდ მერე,
როცა თქვენი განვითარების ფაზებს გავცდი,
„პეროგაყრილი“ უკანალების ნაცვლად
რეალური სამყაროს კანონზომიერების წიაღში მოვხვდი,
მივხვდი,
რომ ე. წ. ტუალეტი
ჩემი ჩაცმულობისა და მოკაზმულობის სარკეებიან მაგიდასაც წარმოადგენდა.
ამ მაგიდაზე კი,
ფერუმარილთან ერთად,
ჩემი ცვედანი გრძნობების გასაფერთხ-გასანიავებელი მარაოებიც ელაგა.

ყველა მარაოს თავისი ისტორია ჰქონდა.

პირველი მარაო ჩემს მიერ დალეწილი ცოცხისგან შევკარი.
ეს ის ცოცხი იყო,
ჩემი კუდიანი დედამთილი,
ვითომ უნებურად,

მაგრამ ყოველთვის ჩვენს საწოლზე მიყუდებულს რომ ტოვებდა...
ჰოდა ერთხელაც,
როცა თავისი ქალიშვილი საგანგებოდ დაარიგა,
რომ საწოლზე ცოცხი არ მიაყუდო,
თორემ მასზე აბობღებული ეშმაკები
საწოლზე გადავლენ და ქმართან ურთიერთობა გაგიფუჭდებაო,
სიტყვის უთქმელად გამოვიტანე ცოცხი ჩემი საძინებლიდან
და დედამთილის თვალწინ,
სიმწრით გაღიმებულმა
მუხლზე გადავიმტვრიე...

ამას ჩვენში კატის გახლეჩას ეძახიან.
მართლა კატას ხომ არ გავხლეჩდი?
მაგრამ მისახვედრი მივახვედრე და მერე,
როცა მის შვილს გავცილდი,
დიდი ხანი იკვლევდა,
ეშმაკი თავიდან მყავდა შეჩენილი თუ თვითონ მომიჩინა საცდუნებლად...

ქმრისგან წამოსული,
ისევ გამზრდელი ბებიის კარზე მივედი.
ბევრისგან განსხვავებით,
პირდაპირ არ გავსულვარ ქუჩაში.
ეს თქვენ გამაგდეთ გარეთ.
თქვენ მიბიძგეთ საძრახისი ქცევისკენ.
თქვენ ამომგლიჯეთ ნამუსის ძარღვი შუბლიდან...
დიახ, თქვენ,
ყოვლისმცოდნე და არაფრისმაქნისო ბიძიებო,
ყოველმხრივ უზრუნველყოფილო და არაფრისმომცემო მამიდებო,
განსწავლულო, თუმცა უმეცარო დეიდებო...
დიახ, თქვენ!
რადგან ობოლ და უპოვარ გოგოს
მდიდარი ქმრის მიტოვება არ მაპატიეთ.
რადგან არ გაუწვდინეთ ხელი ჩემ მიერ უქმროდ გაჩენილ შვილს...
ეგ კიდევ არაფერი,
ჩემი შემფარებელი ბებია მოიძულეთ,
უარყავით და ჩემი უკეთურობის წამქეზებლად მონათლეთ...

ბებია რომ მოკვდა,
თქვენ მიერ მის გასასვენებლად გამოგზავნილ ფულებზე
თქვენი სახელები დავაწერე,
ჯოხებზე წამოვაცვი და
ასე შევკარი მეორე მარაო.
ახლა თქვენზე ფიქრებს, როგორც თაროზე დადებულ მტვერს, ისე ვიფერთხავ გულიდან.

...და კიდევ,
ყოველ ღამე სათითაოდ ვკითხულობ თქვენს სახელებს და
ლოცვების ნაცვლად,
წყევლებში მოგიხსენიებთ...

რაც შეეხება ბებიაჩემს,
იგი საეჭვო გზით,
მაგრამ ჩემს მიერ გამომუშავებული ფულით გავასვენე.
თქვენი ფულისგან განსხვავებით,
დამადლებული მაინც არ იყო და მწამდა,
მას უფრო შეიწირავდა ღმერთი...

მე ხომ არასოდეს მიმრუშია?
არც მეძავი ვყოფილვარ გათხოვებამდე.
უბრალოდ, მას შემდეგ გავბოზდი,
როცა შიშველი ხელებითა და მშიერი კუჭით შემატიეთ ცხოვრებას.
ჰოდა თქვენ,
ვისაც ჭკუის გარდა არაფერი დაგირიგებიათ,
ჰოდა თქვენ,
ვისაც არასოდეს გამოგიწვდენიათ დახმარების ხელი,
ჰოდა თქვენ, ვისაც თავი ჩემ მიერ შერცხვენილად მოგაქვთ,
იცოდეთ,
რომ ეს მე ვარ თქვენგან შერცხვენილი..
ეს მე მრცხვენია
თქვენი დიდი ხნის დასანგრევი,
მაგრამ „ხალხი რას იტყვის“ გამო დაუნგრეველი ოჯახების...
ეს მე მრცხვენია,
თქვენი შვილების გამო,
რომლებიც უსიტყვო მორჩილების „ფუფუნებაში“ იზრდებიან
და აზრად არ მოსდით მერე,
როცა თავადაც დაოჯახდებიან,
გასაპროტესტებელი გააპროტესტონ.

და ეს იმიტომ,
რომ თქვენ,
ქმრის ხელის შემყურე და უსიტყვოდ მორჩილო,
დედამთილის წინაშე თავდახრილო,
შვილებზე გადამკვდარო და მოსამსახურედ ქცეულო დედებო,
თქვენი განწირული თუ შეწირული ცხოვრება
მაგალითად მოგყავთ შვილებისთვის
და ბრძოლის ნაცვლად,
მორჩილებისკენ მოუწოდებთ...

მერე ქმრები არიან დამნაშავე ცოლების მკვლელობაში...

მერე ცოლები არიან დამნაშავე
ქმრებზე თავსლაფისდასხმაში და ა. შ. დაუსრულებლად...

ჩემი შვილი კი,
ჩემი შვილი,
არავისგან დამადლებული,
არავისგან კეთილმოწყობილი,
არავისგან გაწერილი ცხოვრებით ცხოვრობს.
შენი შვილისგან განსხვავებით,
მისი საძინებლის კედლის მიღმა
არ ტირის ნაღალატევი დედა,
არც სხვის ცოლზე ატორღიალებული მამა სცემს ბოლთას,
ზოგჯერ ცოლსაც...
მისი სამყარო სუფთაა და თავისუფალი...

...და შენ,
ჩემი საყვარელი მამაკაცის ცოლო,
დაიმახსოვრე,
რომ ჩემს შვილს ვერასოდეს უწოდებ ბოზიშვილს!
ვინაიდან თუ კარგად გავარჩევთ,
მასეთი შენი შვილები უფრო გამოდიან.
...და იცი რატომ?
იმიტომ რომ შენ,
მთელი ცხოვრება,
ბავშვობიდან დიდობამდე მოყოლებული,
გაფრთხილებდნენ,
რომ ერთი ადგილისთვის განსაკუთრებით უნდა მოგევლო...
გაფრთხილებდნენ და შთაგაგონებდნენ,
რომ შენი პატიოსნების ზღვარი
ჭიპზე გადიოდა,
ოღონდ არა ზემოდან ქვემოთ, არამედ პირიქით...
ჰოდა შენც,
„ჭკვიანურ“ შეგონებებზე ჩაციკლულს,
გავიწყდებოდა კი არა,
აზრადაც არ მოგსვლია,
რომ კანონიერად,
მაგრამ უსიყვარულოდ ქმართან წოლა,
ღალატის მოთმენა შვილების ხათრით,
სხვისკენ თვალის გაქცევა და მაინც ქმართან დაწოლა
კანონზომიერება კი არა, მრუშობაა...
მაგრამ შენ ამას როგორ გაიაზრებ?

როგორ გაისიგრძეგანებ მაშინ,
როცა მხოლოდ ერთი ადგილის პატიოსნება დაგავალეს?

მათ ხომ არ უთქვამთ,
რომ გულსაც უნდა მოუფრთხილდე,
რომ არავის უნდა აფათურებინო მასში ბინძური ხელი?
არც ის უთქვამთ,
რომ ნათელი გონებისთვის მშვიდი გარემო და ჭეშმარიტი სიყვარულია საჭირო...
არ უთქვამთ,
არა...

ამიტომაც მე გეტყვი,
როცა შენ დაქალებთან ვერ ყვები პირად უბედურებებზე
რეპუტაციის შელახვის მიზნით...
როცა ბედნიერი ოჯახის ილუზიის შექმნის მოტივით იგონებ ათას სისულელეს,
მაშინ,
ზუსტად მაშინ,
სხვებთან ერთად თავსაც იტყუებ და
ღვთისა და კაცის წინაშე
ისეთივე ცოდვილი ხარ,
როგორიც მე...
ოღონდ მე,
შენგან განსხვავებით,
ჩემი თავისუფლების სიდიადეზე მხოლოდ იმიტომ ვერ ვყვები,
რომ სხვებს შურით გული არ გავუხეთქო...
წარმოუდგენლად დიდი ფუფუნებაა თავისუფლება,
ნაღალატევო ცოლებო,
წარმოუდგენლად დიდი და
იცოდეთ,
რომ მესამე მარაო,
თქვენი ქმრების მიერ მოწერილი სასიყვარულო ბარათებით შევკარი,
რადგან არც ერთი მათგანი ღირდა ჩემი თავისუფლების დაკარგვად...

ახლა კი ვდგავარ და მათით თქვენზე ფიქრებს ვინიავებ...

განა, მე მსიამოვნებს იმაზე ფიქრი, რაზეც ახლა ვიბოდიალე?
განა, ვერ ვხდები,
რომ ტყუილუბრალოდ ვიგულიანებ თავს და დედამთილის შიშით
არათუ საწოლზე მიყუდებულ ცოცხს,
ასანთის ღერსაც ვერ გადავტეხ ამ ჭკუით?
განა არ ვიცი,
ივლის, ივლის და მაინც სახლში რომ მოვა ჩემი ქმარი?

განა ქმარზე გაცილებამდე არ უნდა ვიფიქრო იმაზე,
რომ არავის ვენდომები შვილებიანად?
განა, რა მიხვედრა უნდა იმას,
რომ ჩემი ქმრის მიერ
საყვარლისთვის ნაყიდი ბროლის ბროში ბევრად უფრო მნიშვნელოვანია,
ვიდრე ჩემს არათითზე წამოცმული რგოლის ბეჭედი? ...
ვიცი,
ყველაფერი ვიცი...
ისიც კი,
რომ მომაკვდინებელი ცოდვაა ყველაფერი,
რაც ამ ფურცელზე დავწერე,
რაც გულში გავივლე და უნებლიედ დავუშვი...
რაც წარმოვიდგინე და შესაძლო გეგმად დავისახე
და
ამიტომაც,
მუხლებზე დაცემული პატიებას გთხოვ
უფალო,
რომ ყველაფერ ამის გასაკეთებლად
ძალა არ შემწევს...

* * *

განა ყოველთვის ის ვიყავი რაც ვარ,
მაგრამ ადრე თმენის ვალდებულებას ვგრძნობდი,
ახლა ვერაფერს ვგრძნობ...
ეტაპობრივად ვემსგავსები ჩემს ოპონენტებს;
ოპონენტებსო,
რა თქმა უნდა,
მსუბუქი ნათქვამია,
რადგან არ მინდა ზუსტი ეპითეტები გამოვიყენო...
ძალიან ძნელია იმის აღიარება
რომ მასის წევრი ხდები,
რომ ყალბია ყველა კვარცხლბეკი და ვერ ხვდები,
ვის დაუკრა თავი თუ ტაში...
რომ მნიშვნელოვანია არა ის,
რას აკეთებ,
არამედ – ვისთვის...
რომ რთულია დამსხვრეული მითების ეპოქაში არსებობა,
შეკოწიწება – მითუმეტეს...
რომ აუტანელია მაცილ-ბაცილებით გასვრილი ჰაერის ჩასუნთქვა მაშინ,
როცა ჰაერსაც გამჟღავნებული ნეგატივის ფირივით აშუქებ
და არ იმჩნევ,

რომ ყველაფერს რეალურ ფერებში ხედავ.
წარმოიდგინეთ,
ამ უღიმღამო ყოფაში
ჯერ სხვისი დეგრადირების ყურება რა საშინელებაა
და მით უფრო – საკუთარის...
როგორ გინდა იჯდე და უემოციოდ უცქერდე იმას,
როგორ გეყრება ყურები,
გებრიცება ყბა და თვალი...
როგორ გეჩხირება და გახრჩობს ძვლის მკვნეტელს ფხა.
აუტანელი და ამაზრზენია
ვაი შემოქმედის
ვუი შედევრების აღიარების
თანაშემთითხვნელობა,
თანაშეხიბორკალება,
თანაშეშირმება...
ჰოდა, ყველაფერ ამის შემხედვარეს არაფერი გაკავებს და
მიდიხარ,
მიდიხარ
და ერთადერთი რაც გკლავს,
არ დაბრუნების სურვილია.
დიახ, არ დაბრუნების!
განა რეალობის შეცვლის,
განა ნიღბების ჩამოგლეჯის,
განა ყვირილის,
განა პროტესტის...
არამედ განრიდების!
თუმცა იცი,
რომ ეს განრიდებაც ისაა,
რაც გკლავს
გახშობს,
გაზიანებს
გამყიფებს და ასე მყიფეს გტოვებს თვალმაქცთა გარემოცვაში.
ამიტომაც ხვდები,
რომ რაც არ უნდა ეცადო,
რაც არ უნდა ეჯახირო,
ვერასდროს განერიდები,
გაექცევი,
გამოეყოფი იმას,
რაც გასულდგმულებს...
და ერთადერთი,
რაც შეგიძლია,
გამიჯნვაა.
ჰოდა, ემიჯნები!!!

ილუზიის ნეგატივი

ყველაზე მეტად ისეთი დღეების მეშინია
შეულამაზებელი თვალით რომ გიყურებთ,
გაჭრილად რომ გხედავთ,
ეპითეტებს რომ არ გიძებნით,
თქვენს შესაძლო იდეებსა და თემებს არ განვიხილავ,
მეტაფორებს არ ვკითხულობ თქვენს ყოველ მიმოხვრაში...
მხოლოდ ასეთ დღეებში ვხვდები,
რომ თურმე საკუთარი სივრცის დიაპაზონს
თავად ვიმრავალფეროვნებ,
ვიშინაარსებ
და ვიღრმავებ...
რომ თქვენ მხოლოდ ზღარბები ხართ...
და რომ არა ჩემი სული,
როგორც კუს ბაკანი,
ალბათ ისიც ისევე ადვილად გასკდებოდა,
როგორც ჩემი თქვენდამი გაბერილი წარმოდგენები სკდებიან ასეთ დღეებში.
არა, სრულებით არ ვარ ნეგატიური,
ზე რეალური ვარ და მხოლოდ იმ იმედით ვცხოვრობ,
რომ როცა იშვიათ შემთხვევებში საღად აზროვნების სურვილი გამიჩნდება,
ჩემს გვერდში,
იმ თითზე ჩამოსათვლელ ადამიანთა მსგავსად,
მოიძებნებიან კიდევ ისეთები,
ვის გამოც
პროზაული ცხოვრების
პოეტურ ჭრილში განჭვრეტა იქნება შესაძლებელი...

ბეწვის ხიდზე

ჩემი სუნამოს
უჩვეულოდ ნატიფი ქილა
შენი სხეულის
მონახაზებს მაგონებს თითქოს...
და ის,
რაც უკვე უკვდავების მანანად ქმნილა
ჩემი სისხლია
და შენს მკერდზე პკურებას ითხოვს!

მომეცი ხელი,
მთვარეულს ხომ ამ ბეწვის ხიდზეც

აღარ დამინდობს
ბედის ბორბლის პირუკუ რბოლა,
იზრუნე ჩემო,
რომ უეცრად არ გამოვფხიზლდე,
არ გადავიმსხვრე
თვალუწვდენელ უფსკრულზე ბროლად.

არ მინდა
ხევებს დავეღვარო კალთებზე ლალად,
ვიცი,
გვირილებს მეწამული წასკდებათ ცრემლი
და ჩემი სისხლიც
დაგედება უმალვე ვალად –
გამოგეშლება მჭედლობისას საყრდენი გრდემლი...

მომეცი ხელი!

წარმართულ ფიქრში

მოლაღურები მოფრინავენ,
მოლაღურები!
– ყვირიან ფერდზე ყვითელფერა გვირილები და
პაპის ზღაპრიდან მომზირალი ბიჭო გოგია
იკვნეტს ნისკარტებს...
ნადევარს დევის კლანჭნაფლეთში უყვავის ფური...
ფური კი არა – ფურისულა – სული ალისა,
დევკაცს აქ ქალის მდევარებმა მოუღეს ბოლო –
გამოუკვანტეს...
ელექტრო ბოძებს დასევიან ბუზანკალები,
სადღაა ის დრო ხმელ მორებს რომ ტოვებდნენ ტყეში...
ისე განათდა,
ისე უღვთოდ,
რომ აღარ ჩანან
ციცინათლები...
ჯვარი დაუდგამთ ჩემი სიყრმის უდაბურ ტყეში
გაუდევნიათ ავსულები კეთილ ზღაპრიდან
მეორედ მოვალ და არასდროს მოვინათლები
თუ კი მომიშლი მათ ნაკვალევს სულთან, უფალო!

გიორგი ტუღუში

საქართველოს

ჰე, საქართველოვ, ამ სივრცეში ერთი ციფრი ხარ,
ღმერთების მიერ ნაგვემი და გადასისხლული,
თან დედამიწავ, რომ იცოდე, ბეწვზე ჰკიდიხარ,
რატომ ჩაშალე დევგმირების დღესასწაული?!
მე ისევ მიწევს უტყვი ტანჯვის სევდით ატანა,
ჩემში მძვინვარებ, ვით გვემული ქეთელაური,
შენმა სიტურფემ გრიგალებზე გადამატარა,
მოვთაფლე დარდი, მღელვარების გადასატანად!
შემოვუძახე ამ სამყაროს იმედიანად,
ურჩო სამყაროვ, აღარ მაწყობს უმიზნო "არა",
მოგვმადლე მადლი, ვინავარდოთ ომახიანად,
შევსდექ ცაზედ და შემოვკარი გიჟთა ნაღარა!
შევისისხლხორცე ყოველივე, რაც კი გებადა,
კაციჭამიებს ნუ ჩაუგდებ პირმშოს სახრავად,
მომეცი ძალა, რომ მოვაშთო ხარბი სატანა,
გამაძლიერე, უძლეველთა მოსანუსხავად!
შენგან დევნილმა ჩემით ტანჯვა ვერ გაიქარვა,
იფრინე ახლა არწივივით და იცქრიალე,
ჩვენ ხომ ერთნი ვართ, სად მიჰქრიხარ დაუღალავად?!
ყურს რად არ მიგდებ?! გენიოსნი ავაწრიალე!
მე არ აგყვები, რადგან შენებრ ვარ ულმობელი,
შენებრ ვიწვები იდეათა უღმრთო ჭიდილში,
მეც სული მიდგას უხედნავი, მოულბობელი,
ვბეგრავ სიმხდალეს ვასალთა და გაუმაძღართა!

თეოდიცეა

(ეძღვნება სამყაროს)

ჩემთვის უნდოდათ, რომ დაეთმოთ ბრბოთა პარტერი,
მაგრამ არასდროს დამიკარგავს ღმერთთა ხილვები,
მივნავარდობ და დაიბადა ჩემში ბოდლერი,
შემდეგ აღმართა სფინქსები და გარიბალდები.
იკაშკაშე და იკაშკაშე, ცისკრის ვარსკვლავო,
თორემ სკვითებზე გავილაშქრე, სევდის მალამოვ,
იკაშკაშე და იდუდუნე, დაუღალაო,
არ გაგიტაცოს მოგონებამ, ძალზედ საამომ!
საყოველთაო დაღლილობამ შემაზარხოშა,
ძალა აღარ მაქვს, მაგრამ მაინც ვიწყებ აღდგომას,
შენი სულიდან ნეტარებამ თუ ამოთოშა,
ვნებას შემმატებს, განმიქარვებს მოწყენილობას!
და გაგიხსენებ შეუცნობელ მინდორ-ველებთან,
სადაც რიჟრაჟზე მზე კანს აძრობს უძველეს მიწას,
შენ, ხელთუქმნელო, დაგაბეზღებ გოლიათებთან,
რომ გადაეცი ურჯულოებს ზურმუხტის რიწა!
მე აქა ვდგავარ და ვიდგები, ვით ანაბაჯი,
აღარ ვაპირებ პართენონში განავარდებას,
თქვენ ნუ გგონივართ დავრდომილი, შეშლილი ბენჯი,
აბჯარს ავისხამ, გადავიტან მუჰაჯირობას!
რადგანაც გკვებავთ ტაძრები და რელიგიები,
ხოლო მე, კრძალვით მაგიზგიზებს ცისკრის ვარსკვლავი,
გადამიგდია სისხლისმსმელთა რეგალიები,
რადგან დავჩრდილე პოეტები, მომაჭრეს მკლავი!
და შენ, არსებობ შემოქმედო, ხარ ყოვლად ბრძენი,
ჰბადებ იმედებს, რომ გაგვხედნავს, ჩვენ, პანაცეა,
ხან გულაგში ვარ, ხანაც მხიბლავს ლაოკოონი,
მხიბლავს და მათრობს ჩახლართული თეოდიცეა!

გაგვარაზება

(ლექსი ჩემი საფლავის ქვისა)

მეტასტაზები სივრცითი კიბოს და შეუვალი ბეთლემის პირმშო,
ისე შემბოჭავს დოგმატიზმებით, რომ დავედევნო მაუზერებით,
მაგრამ ვიცი, რომ დაიგვიანებს შეუპოვრობა, რადგან დაჩაგვრა
კაცობრიობის შენი მცნებებით, შეგონებებით, ადრე დაიწყო.
არ იმრუშო და არა კაც ჰკლა – დამიბარე მტანჯველ ანდერძად,
მაგრამ როდესაც შენმა ქმნილმა ავხორცობა შემომთავაზა,

დავეწაფე, გარდაგქმენი, სულში ჩაგხერგე ახირებებად,
სისხლისღვრაში კი, გაავებამ, გადალახვამ გამავარაზა.
მეცოტავები, რადგან მხეცმა ცეცხლით დაგდაღა,
რომ ვერ ჩაახშე უძლეველი დასასჯელნი და გამოგროზგეს,
იყარე ჯავრი, ვერაგობით ვეღარ დამმოძღვრე,
შენზე დიდებმა უპოვართა დასათრგუნად გამოგაგორეს!
რომ გატირანდი უნიჭოთა აღზევების ტირაჟირებით,
მე შეგებრძოლე, ბედისწერამ ამაალმასა,
დაუძლეველი მონდომების აუხსნელი ამოჩემება,
გენიამ ერთხმად, სამუდამოდ გამავარაზა!
შენ ზარ-ზეიმში ფეხაკრეფით გამოგიგონეს,
რომ მდუმარება მოგენათლა უძლეველ ღმერთად,
მაგრამ გამოვჩნდი მყინვარწვერის დასალაშქრადა,
ჩემმა ლექსებმა დაგშალა და დაგტოვა ფეთქვად!

30.12.2022

საფიხვნოები

ისე დინჯად შეამზადა მძიმე
ჩახმახი შავი „სიმსონის“,
რომ ავკანკალდი, დავიბევე
შენი თვალები,
ისე ანაზდად მომეძალა
დანანება მეფისტოფელის,
ვინანე, რომ არ გადაგთელე
თეთრი ჰუნებით.
და შენმა ვნებამ გამიტაცა
გაცეცხლებით – ჰერკულანუმის,
სიმორცხვის ხახა ამოვქოლე
დაუნდობლობით,
ჩემში დემონმა გადახიზნა
მოკრძალება კაპერნაუმის,
სულს აღარ ვხედნავ, არ ვამწუხრებ
საგალობლებით!
ვერ დავიპყარი უნიჭო
და ხალხმრავალი საფიხვნოები,
ვერ ჩავანაცვლე უშენობა
მწარე „იზმებით“,
ინდიელებსაც შევარჩინე
სწრაფმავალი კანოეები,
ვერ მოგიტაცე, ვერ დავხოცე
შენთვის გმირები!

საფიხვნოები, ეს უსულო,
დამშეული საფიხვნოები,
გადავიმტერე გენიოსის
შეზანზარებით,
დავუტევე ხმელთაშუაზღვის
ეკლიანი კანიონები,
მომკლეს და შენკენ მომისროლეს
სოკრატესავით!

19.12.2022

ჩასაფრება

(ლევან ძნელაძეს)

ილაპარაკე, იტლიკინე, რამდენიც გინდა,
მე კი მოგიკლავ უბრძენეს და ურყევ თემიდას,
შენს სულში ბრძოლის ჟინი თუკი მაინც ადიდდა,
ვერას დააკლებ თვითმპყრობელურ სემირამიდას.
მოგართმევ ოქროს და წაგართმევ ღვთიურ პეიზაჟს,
მოგეჩვენება, რომ გაცხოვრებ, როგორც დედოფალს,
მაგრამ შეიგრძნობ აღმაფრენის გადამღლელ მირაჟს,
ნუ მომთხოვ, მსხვერპლო, ქრისტესმიერ, უზადო მორალს!
ხან მოგისყიდი, ხანაც შიშით დაგიმორჩილებ,
ან ურჩხულს შევქმნი ჩემი ბოღმის დასაფარადა,
გაესაუბრე არარსებულ, გროტესკულ ჩრდილებს,
შენი მოხრჩობა არ დამატყდეს დავიდარაბად!
მე ჩავსაფრდები ხევსურეთის უღრან ტყეებში,
რომ ეს სიშორე ჩამაცივდეს ლაზათიანად,
მერმე აღვსდგები და სიბნელის იზოტოპებში,
შენც შეგიტყუებ, გაგიტაცებ თავაზიანად!
შემომესტყორცნა მრისხანებით ცისა კამარა,
ხოლო სიდინჯით ჩამოვშალე მთელი სამყარო,
თუ მომივლინე საბოლოოდ ლაღი სამსარა,
აღარასოდეს და არასგზით აღარ გამყარო!
შენი ბრალია ყველაფერი, ჩემზე ახია,
რომ მოვითმინე ბოროტება უხვად სიავის,
ცივად შეეხო ჩემს კანს ლალის ცივი ჩახმახი,
გამაჩიჩინა ბრწყინვალებამ მძიმე მეტალის!
შემწყნარებლობა დავიჩემე და გავასმაგდი,
არადა, ჩემი ნიშა გახლდათ ანტითეზისი,
სტრატეგიებით ვულკანებად რომ ამოვვარდი,
წავედი მთაში, შევიმეცნე ბეთელგეისი!

ასე გადარჩი, უგუნურო და ახლა უკვე,
დაე, გასწიე, ითაღლითე, რამდენიც გინდა,
თავად არჩიე ზამთრის დამრწევს ბინძური ბუდე,
გაუმაძღრობით შებინდდება, თუკი შებინდდა!

22.12.2022

გიგანტომანია

მადლობა უფლის გონიერ მაცნეს,
რომ დაარწმუნა ჩვენი ავტორი,
რომ არ შეექმნა სიცოცხლის მუსუსს
მუდმივი ძრავა და მონიტორი.
თორემ დანიის თეთრ კაფე-ბარში,
უმანკო გოგო და ემიგრანტი,
დაიღლებოდა შიშების თვლაში,
შეგვაყენებდა რკინის გიგანტი!
როგორც მსრბოლელი, ფოტონის დარი,
როგორც ტვინმარდი აირტონ სენა,
ნულარ გაასწრებთ დროსა და სივრცეს,
თორემ დაგხლიჩავთ ცეცხლის გეენა!
პლაზმურ გისოსებს კოლონიების,
ველარ შელეწავთ ნაზი ხელებით,
მიხვრა-მოხვრებით ლოკოკინების,
უფრორე სწრაფად გაზვიადდებით!
მე უკვე სადღაც ვტელეპორტირდი,
ჩამოვიტოვე ციფრული ხანა,
სწორედ ამიტომ დალაი-ლამამ,
ყელზე მიმადო სპილენძის დანა!
დროა დიდებით და რაინდობით,
აღვკვეთოდ გაქვავების მანია!
უსულოდ ვცოცხლობთ, უსულოდ ვკვდებით,
ჩვენზე ახია, დასანანია!

10.12.2022

ემისარი

ისე შემიყვარდი,
შენში ამოვბრწყინდი,
ჯერ არგაჩენილი
გაუმაძღრობიდან,

მხდალი მონატრება,
ტლანქი მონდომებით,
უნდო მოტივებით,
მივეც გარინდებას.
შენი გაქრობით რომ
ცაში მენავარდა,
ბადეს ამოვქსოვდი
კუშტი სიბნელისგან,
მასში გაგახვევდი
გამოსადნობივით,
შემდეგ მოგისროდი
ყოფიერებიდან.
ჩემო დაფიონო,
ჩემო ატლანტიდავ,
შენ ხომ თავად იშვი
ცეცხლის ელენთიდან,
მაშინ მოკრძალება,
ნეტავ, რატომ გბინდავს,
რატომ მევლინები
ეიფორიიდან?!
თუკი უფალიც თრთის,
თავად ამპლიტუდაც,
მაშინ გადმოგხედავ
კილიმანჯაროდან,
ერთხელ გამიღიმებ,
როგორც ემისარი,
შემდეგ გადმოვდნები
სივრცის მეჭეჭიდან.
მიწვევს აღალმები
ეთიოპიიდან,
ბოლო აღმაფრენას
შემოეფანტები,
ჩემო მიზანთროპო,
უკვე გაგვიწვიმდა,
ვეწევი ოპიუმს,
მეძგერა მთაწმინდა!

ჩემთან ერთად ხარ
ახლა ღმერთებთან,
შთენილი სულად,
პირქუშ დენდებთან!

30.11.2022

მენავე

შესცურე, ნავო, შესცურე ჩემი სულის ტბასავით
მშვიდ ამონაზარდში,
ოღონდაც, მენავევ, თუ იხილავ უდაბნოურ,
გვემულ ვულკანებს,
ნუ გაიქცევი, ნუ დამტოვებ საკუთარ სულთან,
თორემ ნაკვალებს მსტოვრების და ასასინების,
წავშლი და ვეღარ ამოავსებთ გახელების ამო,
უძღებ ნაპრალებს!
მშვიდო მენავევ, გთხოვ, ნუ დამტოვებ, თორემ ვინატრებ
ციცინათელებს,
რომ განმიქარვონ ამ გათოშვის აშლილობები,
ზანტო მენავევ,
ეს სიზანტე კი აღარ მთრგუნავს, დამინანავე
და დავივიწყოთ უმოწყალოდ გადათელვები...
ეს შედუღებაც არის თითქოს მძიმე სასჯელი,
დასალიერში რომ დაგსრისე კატაპულტებით,
ურჩო მენავევ,
ეჰ, რომ იცოდე, რამდენი რამ გვაქვს განსასჯელი!
მე ახლა მტევნებს არ დავწურავ ალაზნის პირას,
მივალ ხევსურეთს, თან წაგიყვან გედად და გმირად,
ჩემო ზვარაკო,
რომ განვაცვიფროთ უტიფრობის დიდოსტატები,
ხევში მოგისვრი, მოგევლინე ჯალალედინად!

25.11.2022

ეკმაგიო დაფიონისა

ჩამომეძინა წვიმით დაღლილ ბათუმურ სახლთან
და ამ წვიმასაც ქვაფენილის სუნი სდიოდა,
აწ, ამ ქალაქში ვეღარაფერს ვეღარ მოვიმკი,
რადგან შევლესე ჩემი სული სხვა მასალისგან.

ბათუმს მოვედე, როგორც ქარი, როგორც გუნდრუკი
და როცა თოვდა, უკითხავად ძრწოლაც ქრებოდა,
ამ ქალაქიდან ვეღარასგზით ვეღარ ამომგვავთ,
რადგან უჩემოდ გაგაწამებთ მეზღაპრეობა!

ზაფხულის ერთ დღეს, როს სიმორცხვით გამოიდარებს
და თქვენი შვილნიც იგემებენ დილის ოხშივარს,

იმ ოხშივარში ამოვძვრები ორთქლის ხაოდან,
რომ ფილტვებს მათსა შემოვერტყა გენიოსურად!

მოდით, გამიგეთ, არ იფიქროთ, გეტრაბახებით,
მხოლოდ ბედს ვგეგმავ უზუსტესად, სტრატეგიულად,
თუ გინდათ ყოფნა ბათუმელად, დაე, იყავით,
მე კი ვიქეცი ბათუმად და ამოცისკრებად!

და ნუ იფიქრებთ, რომ მოვითხოვ ძეგლების დადგმას,
რომ არასოდეს დამივიწყოთ, მუდამ გახსოვდეთ,
როცა წავალ და დამწურავენ ცად საწნახელში,
აისად მოვალ, ოდეს მთაში ბაირამობდეთ!

ჩვენ ჰიპნოზში ვართ, ყველაფერი არის მირაჟი,
არც ცა არსებობს, არც სილურჯე მისი სინაზის,
უკვე გაჩარხეს ჯადოქრებმა ყველა პასაჟი,
მაგრამ გარდავქმნი ამ არაფერს ყოფნად ზამთრამდის!

და აღზევება დაფიონის მზის ნებას ებრძვის,
მაგრამ ამაოდ, ციკლურია სიკვდილ-სიცოცხლე,
თუ ხმა ჩაგესმათ გამთენიოს, თავნება ღელვის,
იცოდეთ, მე ვარ, ამ სიბნელეს რომ დავეხალე!

20.11.2022

ცვილის ფიგურები

და ოფლი მოსდით ცვილის ფიგურებს,
ამონაწური უსულოდ გლოვის,
ასე თავნებად ნუღარ მიყურებ,
მე ხომ სული მაქვს, თან სუნით თოვლის!

მე ვხედავ, უკვე, შეწკიპე თოფი,
დრო აღარ არის დანტეს და ბლოკის,
დასწიე თოფი, უნდა გაკოცო,
რომ გავაოცო შემქმნელი ხოტბის!

და შემოდგომა ნიუ-იორკის,
რომელშიც სძინავთ ანთროპოფაგებს,
მასწავლის ახალ ილეთებს როკვის,
შევაზანზარებ ნისლში ქოფაკებს!

შენ ამოძრავებ შეშლილ სამყაროს,
მეც და იმ მკვდართა სხეულთა დამრხევს,

უფლის ვნებების ამოძახილო,
გთხოვ, შემახვედრე წესების დამრღვევს!

დავეცი, თუმცა ვიცი, შემინდე,
დრო აღარ არის დანტეს და ბლოკის,
მსგავსად დამდნარი ფიგურებისა,
მეც შემიფარდე ცენზურა ოხვრის!

მოიწევს ჩვენკენ მეტალის ერა,
მოიერიშე და მოზანზარე,
ახალი სევდა ამოიბერა,
მოდი, სუნთქვაში ჩამეზიარე!

გაჰქრა სარკის წინ დგომის სურვილიც,
აღარ მაწუხებს უფრთო ამინდი,
გადავიწყებით და ქარაგმებით,
სულში მენავედ ამოტივტივდი!

24.11.2022

ამოკამკამდი

არ ვიცი, ახლა რა უნდა მითხრა,
რომ ვიგრძნო ის, რაც ვიგრძენი მაშინ,
როდესაც გრძნობა ახშობდა სიტყვას,
როცა ხელები მქონდა შენს თმაში.

და დაიჯერე, რომ დაგივიწყე,
სულის სიმშვიდე ჰპოვე ამაში,
მაგრამ ერთ ღამეს ისევ იგრძენი,
ჩემი კანკალი ბათუმურ ქარში.

მე კი ვეახლე ღმერთების ბუდეს
და შენთვის ძეგლი დავდგი ამ ქარში,
ეს სიყვარული რომ არ დადუმდეს,
ეს სიყვარული რომ დარჩეს დროში!

უეცრად შეგრცხვა თანამეცხედრის,
შუადღე იყო, ჰქროდა ხორშაკი,
ხელი დასტაცე დაჟანგულ ტეტეს
და სადღაც წყაროდ ამოკამკამდი!

23.11.2022

სულად მოვთრთივარ

რომ მიჯნურობის ესე ამბავი,
ამოუხსნელი დარჩეთ ხასიდებს,
მე მოვალ შენთან და მომაკვდავი,
ბოლოჯერ კიდევ წაგახალისებ!

უღრან ტყეებში გადათოშილი,
სულად მოვთრთივარ და სიცხეც მიწევს,
ეს ჩემი ნებაც გიჟის ქოშინით,
ღმერთისკენ არა, შენკენ მოიწევს!

სანამ უფალი ამომქოლავდეს,
შენ თვალწინ ბოროტ სამყაროს ვამხელ,
მოვგელავ შენკენ, მოვალ შენამდე,
ავღორძინდები ათი ათასჯერ!

და შედუღებას თუ ვერ მოვასწრებთ,
მოდი, ბოლოჯერ შემაფრთიანე,
რომ ამ შეხებით ქრომოსომები,
იქცნენ ამ ტრფობის მემატიანედ!

სულად მოვთრთივარ, სხეულს ვუტოვებ,
დროის და სივრცის უძღებ მთიბავებს,
მიღმურის კართან შენ უნდა დამხვდე,
რომ გავეცალოთ ვერაგ მჩხიბავებს!

12.11.2022

LA BELLA

გააქრეთ ის, რაც ჩემში მიყვარდა,
არასდროს აღარ შემაფრთიანებს,
ეპოქამ შთანთქა ჩვენი სინაზეც,
სიცარიელე ამოიზიდა.

რანიღა დავრჩით?! ბოდავდა ღამე,
ნეირონებში სხვა ჩაგვისახლდა,
მიქელანჯელო და დამიანეც,
მოავარაყა მავნე ისიდამ.

ყველა მომიკლეს და შენც დაგკარგე,
აღარ მაქვს სხვისი ტკივილის განცდაც,
ეს გამოფიტვა როს ჩამისაფრდა,
მას შემდეგ მშვიდად მივენდე ძილსაც.

ასე ვეჩვევი სიკვდილის აფრებს,
სიცარიელით და გაცივებით,
მადლობა, ღმერთო, რომ უძლურ ბავშვებს,
გვაწრთობ პირფერი ოვაციებით!

იმიტომ უნდა მელოდოთ მეხში,
თავნება სული რომ გადათელეთ,
ის, რაც მიყვარდა საკუთარ მეში,
გადაჯეკნეთ და გააცამტვერეთ!

ნათელი ბნელთან თუ შევაწყვილე,
გაიცრიცება ლურჯი La Bella,
მე მინდა კიდევ დიდხანს სიცოცხლე,
გავჯიუტდები, ვით სარეველა!

26.11.2022

სურნელი მკბობ

ოდეს ჩაგყლაპა მეხსიერებამ,
დავხიე შენი ბოლო სურათი,
რკინის მუშტებით ვამსხვრიე სადღაც,
პირამიდები და ზიქურათი.
თუ სიყვარული გაქრა სივრცეში,
თუ მაუწყებლობს მარსზეც ტირანი,
მაშინ გამოდის, რომ შემოქმედიც,
ყოფილა მავნე და ოროსანი!
ვიჯექი ტახტზე, მზეთა სამჭედლოს,
ვუცქერდი დინჯად, დიდი მისანი,
მზიურმა ქარმა გამომაჭენოს
და მიმომფანტოს, როგორც სოსანი.
ოსანა, ღმერთო, ნუღარ დამტანჯავ,
არც გმირობა მსურს და არც მეფობა,
მე მირჩევნია, რომ დაამკვიდრო,
დაუძლეველი მსოფლიო ტრფობა!
ამ სულს თუ ღელვა აღარ იტაცებს,
მხოლოდ იმიტომ, რომ დამეკარგე,

მე კი, ერთსა გთხოვ, სიზმრის შემქმნელო,
მინდა მიყვარდეს, მინდა მიყვარდეს!
სინაზეს რისხვა შეეკამათა,
მაგრამ პირველად იყო სითეთრე,
უმალ ვიგრძენი სურნელი მკათა,
ბნელი უდაბნო გადავათეთრე!

15.12.2022

ამირანის კვარცხლბეკი

შევეხო ახლა უნდა იმ ერას, ოდეს სიბილწემ გაინავარდა,
მაგრამ ვიტოვებ, მე, სასოებას, რომ დაიწყება გაფურჩქვნა ვარდთა.

წამოიზრდება ახალი კლანჭი, გაურკვეველი მომავალისა,
ჩვენ უნდა ვიყოთ ისეთი მყარნი, როგორ კვარცხლბეკი ამირანისა.

გამეფებული მოსილებითა, დავიწყოთ მომკა მოსამკელისა,
სადაც მოგახრჩვეს მოთმინებითა, გამიღეთ კარი იმ კელიისა!

მადლი კოლხური მუზარადისა, მოვა გიგანტის დასამარხადა,
არ მოუნდება ორმხრივ მიზიდვას, შეკოწიწება გასაფანტავთა!

შენ და სპარტაკი, ჩემო ამირან, აეზიდებით ცად დასაკლავთა,
რომ მომავალი გაზაფხულისთვის, სული გაათბოთ ღამით, მეძავთა!

მეც მარტოდმარტოდ, თქვენებრ დევნილი, დავენარცხები ღმერთების მაღლობს,
შეუზღუდავი ძალაუფლებით, ხელიც მოსჭრია ბატონთა დამნდობს!

თუკი გამოზრდით, დიდო ღმერთებო, სამყაროსა და ურჩხულთა დამხობთ,
ბატონთა თქვენთა მესაათენო, ჩვენს მეფობაზე ნუღარა დარდობთ!

01.12.2022

თეა ჭანტურიშვილი

ბოტეროს ფორთოხლები

1993 წელი იყო, დეკემბერი, ახალი წლის წინ. მოსკოვში ისე ციოდა, მინუს 30 გრადუსი იყო. დავდიოდი და მეგონა მარსზე ვიყავი. ჩემი სხეული და გონება ერთმანეთთან აღარ იყო კავშირში. ამ სიცივეს ქართველი ვერასოდეს შეეჩვევა. ჩემი ჩვეულებრივი მარშრუტი – უნივერსიტეტი, ბიბლიოთეკა და პუშკინის სახელობის ხელოვნების მუზეუმი იყო, რომელსაც დღემდე ვემადლიერები იმ განათლებისთვის, რაც მომცა. აუტანელ სიცივეში, რობოტივით გაყინული შევედი ჩემს მექაში, მუზეუმში, გამოფენაზე და დამხვდა მაშინ ჩემთვის უცნობი, მსოფლიოსთვის კი ძალიან ტრენდული და პოპულარული, კოლუმბიელი მხატვრისა და სკულპტორის – ფერდინანდო ბოტეროს გამოფენა. მეღიმებოდა მეგალომანიით შეპყრობილი პორტრეტების ყურებისას, მაგრამ ერთ დარბაზში ეს ნახატი ეკიდა, უშველებელი ფორთოხლები, რომლებმაც მზესავით გაანათეს და გამათბეს. ალბათ, ნახევარი საათი ვიჯექი ამ ნახატის წინ და წარმომედგინა აჭარაში ფორთოხლებით დახუნძლული ხეები და მათი სურნელი...

2022 წელია, პირველად გუშინ დავადგი ფეხი ნეაპოლის მიწას. მატარებლის სადგურშივეა მეტრო და ჩავედით მე და ფრენკი. პლებისციტის მოედანზე მივდიოდი, წარწერა ვერსად ვიპოვე და გვერდზე მდგომ ლამაზ ქერა ქალს შევეკითხე, რომელ გაჩერებაზე ჩამოვიდე-მეთქი. ქალმა დანგრეული იტალიურით და აშკარა ქართული აქცენტით მითხრა, მე უცხოელი ვარო, ყოველ დღე 19 სადგურს ვითვლი, რომ სახლში მივიდეო. ქართულად დაველაპარაკე. თბილისელმა ელიზაბეთმა, რომ გაიგო საქმეზე ვიყავი, გახსნა ჩანთა და 4 ცალი ლამაზი ფორთოხალი მოგვცა. ჩემს მოხუც დამქირავებელს ხეებზე ულპება ასეთი ფორთოხლები და ძალიან გამიხარდება, ბავშვი პირს თუ გაისველებსო. იტალიელებმა მითხრეს, თქვენი გაჩერებაა და გვირჩიეს, სასწრაფოდ ჩამოვსულიყავით. მაგრად ჩავეხუტე, ვაკოცე ქართველს და ფორთოხლებით ხელში ამოვედი მიწის ქვემოდან... ელიზაბეთს თვალები გაუნათდა. მე და ფრენკის ორივეს ცრემლები გვდიოდა.

ნეაპოლში პლიუს 20 გრადუსია, დეკემბერია და ელიზაბეთის ფორთოხლები რომ არა, სულ არ მახსოვდა ბოტეროს ფორთოხლები...

* * *

Era Dicembre 1993, pochi giorni prima del nuovo anno. Era freddissimo a Mosca, meno 30 gradi! Camminavo per le strade ghiacchiate della città e pensavo di essere su Marte. Il mio corpo e la mia mente non erano più collegati. Pensavo tra me che noi Georgiani non ci abitueremo mai a questo freddo. Il mio percorso abituale era l'Università, la biblioteca e il Museo d'arte Pushkin, museo cui, oggi, sono grata per l'educazione che mi ha dato. Nel freddo insopportabile, entrai nel mio santuario, nel museo, dove c era la mostra di Ferdinando Botero, artista e scultore colombiano, a quei tempi a me sconosciuto, ma molto di moda e popolare nel mondo. Sorrisi di fronte i ritratti megalomani, poi in una sala trovai esposto il suo quadro, quello delle arance che mi illuminarono e scaldarono come il sole. Sarò stata seduta davanti a quel dipinto per mezz'ora mentre immaginavo le arance del mio giardino e il loro profumo...

È il 2022, ieri per la prima volta ieri ho messo piede sulla terra napoletana. C'è una metropolitana proprio nella stazione dei treni ed io e mio figlio Francesco siamo scesi giu per arrivare al Piazza del Plebiscito. Non riuscivamo a trovare alcuna indicazione sicché ho chiesto a una bella donna bionda, che stava accanto a noi, a quale fermata dovevamo scendere. La donna mi ha risposto, in un italiano stentato e con chiaro accento georgiano, che era straniera ed ogni giorno contava 19 stazioni per tornare a casa. Allora le ho parlato in georgiano e la donna, di nome Elisabetta, da Tbilisi, appena ha saputo che ero a Napoli assieme a mio figlio per lavoro, ha aperto la sua borsa e ci ha regalato 4 bellissime arance dicendo che il suo anziano datore di lavoro non raccoglie mai tali belle arance dall albero e che sarebbe stata felice se mio figlio avesse assaporato quelle arance.

Poi gli altri passeggeri italiani, seduti accanto a noi ci hanno detto che era la nostra fermata e che dovevamo scendere subito. L'ho abbracciata forte, ho baciato la georgiana e sono risalita in superficie con le arance in mano... Mi ricordo che Elizabetta aveva gli occhi illuminati ed io e imio figlio eravamo entrambi in lacrime.

Ci sono piu di 20 gradi a Napoli, è Dicembre, e, se non fosse stato per le arance d Elisabetta, non mi sarei ricordata mai delle arance di Botero...

მირანდა ერისთავი

მირაბელ

მირაბელ,
თვალები მინაბეს
მტრედებმა, მზეებს რომ აყრიდი...
მირაბელ,
ოღონდაც მინატრე, –
შენს გამო სულსაც კი გავყიდი...

მირაბელ, შენს თვალებს მზიანებს
დავეძებ ყველგან ვით საკურას,
რადგანაც მე დავიგვიანე,
მოვიდა, სხვამ დაგისაკუთრა...

მირაბელ, შენღა თუ მიშველი, –
მივყვები ცარიელ ვაგონებს,
შენით მშიერი თუ შიშველი
სხვას დავდევ, ვინც შენს თავს მაგონებს...

მირაბელ, შენც იცი, რომ გნატრობ, –
„რა მიყავ სიმშვიდე წამართვი“,
მზადა ვარ ტაძრებში მოგხატო,
ან გავხდე შენს გამო წარმართი...

მირაბელ, ცხოვრებამ გამრიყა,
არ ჩანხარ მჭირდები მე როცა,
გაქციე ღმერთად და რა მიყავ (?!) –
დამტოვე, – რომ უნდა მელოცა...

ჩადრიან გოგონას

გრძნობა გადაეცი ანათემას, –
ჩადრში ისე ძლიერ იმალები,
მაგრამ მაგ თვალებით ანათებ და
მაგრამ მაგ ლამაზი ყვრიმალებით
ვიცი, გადაფარავ მაინც მნახველს
გინდა ჩადრში სულ მთლად ჩაიმარხე...
...მზეს სურს შენი მზერით პირს იბანდეს,
(შენი მსგავსი მხოლოდ ჭადრებია)...
გარეთ ახლა ისე ძლიერ ბარდნის, –
შენც კი გაგათეთრებს ჩადრებიანს...

სიყვარულის მათემატიკა

მინდა შენს თვალებთან გატოლება,
ვეძებ – რა ფორმულით აიხსნები,
მრავალცვლადიანო განტოლებავ –
პლიუს უსასრულო ხარისხებით...

შენი მზერის ყველა მახვილ კუთხე –
მართი კუთხითა მაქვს გაკვეთილი,
უკვე მერამდენედ დაგიზუთხე –
როგორც საზეპირო გაკვეთილი...

ახლაც შენი გულის წერტილიდან
ერთი რადიუსის ვხატავ წირებს,
ეს წრფე(ლი)ც ისეთი წყვეტილია
– უკვე მათ გადაბმებს შევეწირე...

ამდენ ხარისხებში აყვანილის
მიჭირს შენგან ფესვის ამოღება,
თავი ბევრჯერ ხელში აყვანილი
უშენოდ აღარსად არ მომყვება...

ჩვენი კათეტები რომ შეჯამდეს
გიწერ პითაგორის თეორემას,
შენ რომ მიმატოვო, ან შეგჯავრდე –
მე თავს შეგაყვარებ მეორედაც...

ტანგენს-კოტანგენსში ახლართული
ტანგო ვიცეკვოთ და გავაბოლებთ...
ვეძებ შენს თვალებში კვადრატული
ყველა განტოლების პარაბოლებს...

მოდი, უსასრულოდ გაქციო, ან
ამოგხსნა! მეტი არ გაგრითმო!
ჩემო სიყვარულის აქსიომავ,
ჩემო ერთადერთო ალგორითმო...

ფარაონს

გარეთ ცივა, მზეებს ფარავს თოვლი,
მე კი სულს კვლავ შენით ვიამინდებ,
ჩემი ფიქრების ხარ ფარაონი –
ჩვენთვის ვაშენებდი პირამიდებს.

ჩვენთვის ვაშენებდი პირამიდასს,
(ახლა იმ ადგილას თუთა ხარობს),
გყვარობდი ვნებით, მიამიტად
ვეტრფოდი შენში ტუტანხამონს...

მერე ქვიშებში თუ წითელ ზღვასთან –
ვხატავდით სხეულით ლაბირინთებს,
მერე გამექეცი ვიღაც სხვასთან, –
ცივი უარივით ამირიდე...

მერე იყო სფინქსთან კავშირები,
ვეძებდით საჰარის ოაზისებს –
კოცნები, სუნთქვის გახშირება –
ნეტავ, ის ვნება თუ მოვა ისევ...

მაგრამ დრომ წაიღო ნეტარება, –
ქვიშის საათები გამოცალა,
ვეღარ მოვდიოდი შენს თვალებთან,
როგორც ჩემს ერთადერთ სალოცავთან...

...ხომ გავცდით რამდენ ათასწლეულს,
(ჩვენი აჩრდილები ჰგვანან ცოცხლებს),
ახლაც მე მუმიად გადაქცეულს –
შენი სიყვარული გამაცოცხლებს...

კოსმოსში

თან მეძებ, თანაც მერიდები, –
ჰოდა, მასე იყოს, არ დაგიდევ,
მივყვებით სხვადასხვა მერიდიანს –
ვაშენებთ ჩვენს შორის
ანტარქტიდებს;

გიყვარს ჩემზე წყნარი ოკეანე,
მე კი მიზიდავენ ჩანჩქერები...
რას არ ვაკეთებდი, რომ გენახე, –
შენ კი დაშორებას მაჩქარებდი...

ეს გზები მაინც ფერადია, –
(აღარ დავიფარე ზღვით კერტები),
მივყვებით სხვადასხვა მერიდიანს
მერე პოლუსებში ვიკვეთებით...

მერე მზის სისტემის მაკეტებით
წავალთ, რომ შევხვდეთ ავატარებს,
აქ რომ სულ არაფერს ვაკეთებდით, –
იქ დროს ერთმანეთში გავატარებთ...

შობას გილოცავ, სიყვარულო

შობას გილოცავ, სიყვარულო,
ღმერთი დიდია...
დღეს ჩვენ თუ აღარ, – ადრე მისი მრავალს სჯეროდა,
შენით სავსე და ცარიელი შენგან მივდივარ –
რადგანაც უკვე გრძნობა გახდა მრავალჯერადი...

შობას გილოცავ, სიყვარულო...
„ქარის მოტანილს“, ქარის მაგივრად ახლა უკვე გიშვებ ქარიშხლით...
როგორ მჯეროდა, რომ გიყვარდი, –
(ალბათ, ბოდვამდის) –
როცა ჩაგჭიდე ხელი, სწორად მაშინ გამიშვი...

შობას გილოცავ, სიყვარულო,
შობა ჩვენია...
დღეს მე პირველად შობის ღამეს ღმერთთან ვიყავი...

ვლაპარაკობდი მასთან, როგორც შენთან მჩვევია,
თან მართალი და თან დაღლილი ყველა სიყალბით...

შობას გილოცავ, სიყვარულო, თუმცა მივდივარ...
(მე შენში მხოლოდ სიყვარულს და სინათლეს ვეტრფი),
შობას გილოცავ, სიყვარულო, ღმერთი დიდია...
შობას გილოცავ, შენს თვალებში ნაშობი ღმერთის...

ზღაპრის სასაფლაოზე

გუშინ ღილებს, ახლა ნერვებს,
ხვალ თქვი რაღას დამაწყვეტ,
შენზე ფიქრი კომბლესავით
ვთალე, ჭერში დავაწყვე...

იყავ არა, არც ყოფილხარ
ზღაპარი თუ არაკი,
როგორც ქოში კონკიასი –
ღამით სადღაც დაგკარგე...

უშენობის ნაცარს ვქექავ,
ვებრძვი დევს ცხრათავიანს.
სხვა მიყვარდი, ახლა ვხედავ
შენში სხვა ადამიანს...

იყავ არა, არც ყოფილხარ,
(თუმცა დღემდე მაოცებ),
ცხადში არ ხარ და დაგეძებ
ზღაპრის სასაფლაოზე.



ᲛᲘᲥᲐᲘᲚ ᲜᲐᲘᲛᲘ

ᲛᲘᲠᲓᲐᲓᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲘ

დიადი ნოსტალგია მსგავსია ნისლისა. გულიდან მომდინარე ის ფარავს მას, როგორც ნისლი, რომელიც აღიმართება ზღვიდან და ხმელეთიდან და თითქოს არბილებს, აქრობს ზღვასაც და ხმელეთსაც.

მსგავსად ნისლისა, რომელიც მხედველობიდან მალავს ხილულ რეალობას, ის საკუთარ თავს აქცევს ერთადერთ რეალობად, ასევე ნოსტალგიაც იმორჩილებს გულის ყველა გრძნობას და თავად იქცევა ერთადერთ შეგრძნებად. ასეთივე უფორმო, უმიზნო და ერთი შეხედვით ბრმაა, როგორც ნისლი და ისევე როგორც ნისლი ის სავსეა დაუბადებელი ფორმებით, კარგად დასანახი და ძალიან მიზანმიმართული.

კიდევ დიადი ნოსტალგია მსგავსია ციებ-ცხელებისა. როგორც ციებ-ცხელება, რომელიც მკვიდრდება სხეულში და რა დროსაც წვავს ყველა შხამს, პირდაპირი მნიშვნელობით იწოვს მთელ მის სასიცოცხლო ძალას. ნოსტალგია, რომელიც იშვა გულისმიერი ტანჯვების დროს, ასუსტებს გულს, სანამ წვავს მის შლაკსა და ზედმეტობებს.

ხოლო კიდევ, დიადი ნოსტალგია მსგავსია ქურდისა. როგორც ქურდი, რომელიც ჩუმად ეპარება საკუთარ მსხვერპლს, რათა ბარგი მოჰპაროს და სანაცვლოდ მწარე მწუხარებები დაუტოვოს, ასევე ნოსტალგიას პარვით მიაქვს გულის ტვირთი, რითაც მას კიდევ უფრო უნუგეშოდ ტოვებს, იმიტომ, რომ ჩვეული საზრუნავების გარეშე დატოვა.

განიერი და მწვანეა ნაპირი, რომელზეც კაცები და ქალები მღერიან და ტირიან, შრომობენ და გლოვობენ საკუთარ სწრაფმავალ დღეებს. და შემაძრწუნებელია ხარი, მფრქვეველი ცეცხლისა და კვამლისა, რომელიც ფეხებს უკრავს მათ, მუხლებზე ამხობს და უკან ხორხში ტენის მათ საკუთარ სიმღერებს, ხოლო ცრემლებით უვსებს მათივე იარებს.

განიერი და ღრმაა ნაკადი, რომელიც აცილებს მათ მეორე ნაპირისგან. ვერ გადაცურავენ მას ვერც ნიჩბებით და ვერც იალქნებით. იშვიათად, ძალიან იშვიათად თუ გაბედავს ვინმე გადალახოს ის საკუთარი ფიქრით. მაგრამ ყველა, თითქმის ყველა მიისწრაფვის დარჩეს საკუთარ ნაპირზე, სადაც ყველას აქვს საკუთარი რკალი ან ბორბალი, რათა დაუღლელად ატრიალოს ის. ეს არის დროის ბორბალი.

ადამიანს, რომელიც მონუსხულია დიადი ნოსტალგიით, არ გააჩნია ასეთი საყვარელი ბორბალი, რათა ატრიალოს ის. სამყაროს შუა-

გულში, რომელიც ასე მჭიდროდაა გახლართული საზრუნავებსა და დროში, ის ერთი რჩება უსაქმოდ, მხოლოდ მას არ ეჩქარება. ის აღმოაჩენს, რომ შიშველი, მოუქნელი, ენაბორძიკია ხალხის ნაკადში, სადაც ყველა საზეიმოდაა მორთული, მოხერხებული და მოლაყბე არის. მას არ შეუძლია იცინოს მათთან, ვინც იცინის და იტიროს მათთან, ვინც გლოვობს. ადამიანები ჭამენ და სვამენ უდიდესი სიამოვნებით. ხოლო ის ჭამს ისე, რომ გემოს ვერ გრძნობს და ნებისმიერი სასმელი მისთვის, თითქოს პირში წყალია.

ყველას ჰყავს მეგობრები, ან იმით არიან დაკავებულები, რომ ეძებენ მეგობრებს. ხოლო ის დადის ეულად, სძინავს მარტოს და ოცნებობს მარტოობაში. სხვები ასე უხვად არიან დაჯილდოებულები ამსოფლიური ჭკუითა და მახვილგონიერებით, მაგრამ ის ერთია ასეთი მოსაწყენი და არა ბრძენი. ყველას გააჩნია მყუდრო თავშესაფრები, რომლებსაც ისინი სახლს ეძახიან, ხოლო ის – უსახლკაროა. სხვებს გააჩნიათ მიწის მტკაველი, რასაც სამშობლოს ეძახიან და ხმამაღლა მღერიან მისი სილამაზის შესახებ, მაგრამ მხოლოდ მას არ აქვს ასეთი მტკაველი, რათა უმღეროდეს და სამშობლოს ეძახდეს. ამიტომაც მისი გულის ხედვა მიმართულია სხვა ნაპირისკენ.

ასე ჩანს, თითქოს ადამიანი, რომელიც დიადი ნოსტალგიით არის მონუსხული სიზმარში მოძრაობს იმ სამყაროში, რომელიც ფხიზელი და სრულიად გაღვიძებულია. ის მიჰყავს სიზმარს ან ოცნებას, რომლის ვერც დანახვას და ვერც შეგრძნებას შეძლებდნენ გარშემომყოფები. ამიტომაც ერთადერთი, რაც მათ შეუძლიათ არის მხრების აჩეჩვა და სახელოში ჩუმად სიცილი. მაგრამ როდესაც სცენაზე უეცრად შიშის ღმერთი გამოჩნდება, ეს ხარი, რომელიც აფრქვევს კვამლსა და ცეცხლს, მათ უხდებათ მტვრის ყნოსვა იმ დროს, როდესაც სიზმართა მხილველი და მეოცნებე, რომელზეც მხრებს იჩეჩდნენ და დასცინოდნენ, აღემართა მათზე და ხარზე რწმენის ფრთებით და მიჰყავს პირქუში მთის ფერდობზე.

უნაყოფო, საცოდავი, უდაბურია მიწა, რომელზეც დაფრინავს სიზმართა მხილველი. მაგრამ ძლიერია რწმენის ფრთები და ადამიანი სულ ფრენს, ფრენს...

მთა, რომლის ფერდობზეც ის ეშვება, ბნელია და იმდენად შიშველი, რომ ძარღვებში სისხლი იყინება. მაგრამ მოუთოკავია გულის რწმენა და ის განაგრძობს გაბედულად ცემას.

ქვიანი, სრიალა და ძლივს შესამჩნევია შარაგზა, რომელიც მიემართება მაღლა, მთაზე. მაგრამ თავდაჯერებულია ხელები, მტკიცეა ფეხები, მახვილია რწმენის თვალი და ადამიანიც იწყებს მაღლა სვლას.

გზად ის ხვდება ქალებსა და კაცებს, რომლებიც ჯიუტად აღემართებიან ფართო და გლუვი გზით. ეს ისინი არიან, რომლებიც შეპყრობილნი არიან მცირე ნოსტალგიით, ისინიც მწვერვალისკენ მიემართებიან, მაგრამ მათი წინამძღოლი კოჭლი და ბრმაა. რამეთუ მათი წინამძღოლი – ესაა რწმენა იმისა, რისი დანახვაც შეუძლია თვალს, მოსმენა ყურს, შეხება ხელს, დაყნოსვა ცხვირს და გასინჯვა ენას. ზოგიერთს შეუძლია მთის ძირიდან ასვლა არა უმეტეს კოჭებამდე. სხვები აღწევენ მუხლებამდე. უმნიშვნელო რაოდენობა აღწევს თეძოებამდე და მხოლოდ უმცირესი ნაწილი წელამდე. მაგრამ საბოლოოდ, ყველანი საკუთარ წინამძღვრებთან ერთად სრიალდებიან დაბლა ისე რომ ვერც ასწრებენ იმის დანახვას, თუ როგორ ბრწყინავს დიდებული მწვერვალი.

განა შეუძლია თვალს დაინახოს ყველაფერი, რაც უნდა დაინახოს, ხოლო ყურს მოისმინოს ყველაფერი, რაც უნდა მოისმინოს? განა შეუძლია ხელს შეეხოს ყველაფერს, რისი განცდაც მართებს, ცხვირს იყნოსოს, ხოლო ენას გასინჯოს ყოველივე, რაც მართებს? მხოლოდ მაშინ, როცა რწმენა, ღვთაებრივი გაგებით შობილი, მოვა გრძნობის ორგანოთა დასახმარებლად, მაშინ ისინი ჭეშმარიტად დაიწყებენ შეგრძნებას და გადაიქცევიან კიბედ, რომელიც მთის მწვერვალისკენ მიემართება.

გრძნობის ორგანოები, რომლებიც არ არიან რწმენით განსულიერებულნი – ყველაზე უვარგისი წინამძღვრებია. მიუხედავად იმისა, რომ მათი გზა ფართო და გლუვი ჩანს, მასზე უამრა-

ვი ხაფანგი და ორმოა. და ისინი, ვინც ირჩევენ მას თავისუფლების მწვერვალზე ასასვლელად, ან იღუპებიან, ან სრიალდებიან უკან მთის ძირას, საიდანაც დაიწყეს საკუთარი ზეაღსვლა. იქ მათ დიდხანს უხდებათ საკუთარი გადატეხილი ძვლებისა და შემაწუხებელი იარების მოშუშება.

მცირე ნოსტალგიის ადამიანები – ეს ისინი არიან, ვინც მსოფლიო საკუთარი გრძნობების საფუძველზე ააშენა და მალევე აღმოაჩინა, რომ ის პატარა და ჩახუთულია. და მათ ინატრეს უფრო დიდი სახლები, მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ გამოეძებნათ ახალი მასალა და ეპოვათ სხვა არქიტექტორი ისინი ეძახიან ძველს – საკუთარ გრძნობებს, რათა დააპროექტონ და ააშენონ თავისთვის უფრო დიდი სახლი. მაგრამ როგორც კი ახალი სახლის მშენებლობა სრულდება, ისინი აღმოაჩენენ, რომ ისიც ისეთივე პატარა და ჩახუთულია, როგორც ძველი. და ასე და ამგვარად, ისინი აშენებენ და ანგრევენ, მაგრამ ვერასდროს აშენებენ ისეთ სახლს, რომ მიიღონ სასურველი კომფორტი და თავისუფლება. მაგრამ ისინი ხომ მუდამ მატყუარებს მიმართავენ, რათა ტყუილისგან იხსნან. ისინი გაურბიან მცირე მირაჟს მხოლოდ იმის გამო, რომ ცდუნდნენ უფრო დიდით, რითაც ემსგავსებიან თევზს, რომელიც გახურებული ტაფიდან პირდაპირ ცეცხლში ხტება. მცირე და დიადი ნოსტალგიის ადამიანებს შორის უამრავია ისეთი, ვინც საერთოდ არ განიცდის არანაირ ნოსტალგიას. ისინი კმაყოფილდებიან იმით, რომ ამოთხრიან სოროს, იცხოვრებენ მასში, გამრავლდებიან და მოკვდებიან. ისინი თვლიან, რომ მათი სოროები ძალიან ელეგანტური, დიდი და მყუდროა და სამეფო სასახლეშიც კი არ გაცვლიდნენ. სწორედ ისინი დასცინიან ყველა მეოცნებეს და სიზმართა მხილველს, განსაკუთრებით მათ, ვინც ირჩევს ეულ შარაგზას ძლივს შესამჩნევი ნაკვალევით, ციცაბო და ძნელად ასავლელი აღმართით. დიადი ნოსტალგიის ადამიანი, როდესაც ახლობლებს შორისაა ძალიან ჰგავს არწივს, უკანა ეზოში ქათმებთან ერთად რომაა დამწყვდეული. მის ძმებ-წიწილებსა და დედა-კრუხს ჰგონიათ, რომ მასაც ისეთივე ბუნება აქვს, როგორც მათ, რომ ისიც ისე ცხოვრობს, როგორც ისინი. ხოლო ის ფიქრობს, რომ ისინი მისი მსგავსები არიან, რომ ისინიც უძირო ცის ქვეშ იძინებენ. მაგრამ მალევე ის აღმოაჩენს, რომ უცხოა მათ შორის და დასაჩაგრი ხდება. მას ყველა ტიკნის, საკუთარი დედაც კი. მაგრამ მის სისხლში სიმაღლეთა ძახილია, ხოლო საქათმის სიმყრალისგან გული ერევა. ასე იტანჯება დუმილში, სანამ დაფრთიანდება. ხოლო შემდეგ ის გაფრინდება მაღლა ცაში, საიდანაც უკანასკნელად გადმოხედავს მოსიყვარულე მზერით მშობლიურ საქათმეს, ძმა-წიწილებს და დედა-კრუხს, რომელიც კაკანებს და ცდილობს, რომ მისი შვილები სათანადოდ იქექებოდნენ ნარჩენებში ჭიებისა და მარცვლეულის საპოვნელად.

მთარგმნელი **დაჩი მეჯიდი**



მიხეილ მახარაძე

ქართველი ფილოსოფოსები ლიჯერაჯურისა და ხელოვნების შესახებ

მრავალსაუკუნოვანი ქართული ფილოსოფიის წარმომადგენლები აქტუალურად ეხმაურებოდნენ ეპოქის გამოწვევებს და კარდინალური საკითხების კვლევის პარალელურად ეწეოდნენ მთარგმნელობით საქმიანობას, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა ანალიზსა და შეფასებას, მეცნიერების მონაპოვართა მსოფლმხედველობრივ განზოგადებას. ამათგან, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების შესწავლა და ანალიზი. სამწუხაროდ, დღემდე ეს საკითხი სპეციალური კვლევის საგანი არ გამხდარა.

ნაშრომის პირველ წერილში წარმოდგენილია ლიტერატურასა და ხელოვნების შესახებ ანტონ ბაგრატიონის, სოლომონ დოდაშვილის, დიმიტრი უზნაძის, შალვა ნუცუბიძისა და შალვა ხიდაშელის შეხედულებათა ანალიზი და შეფასება; მეორე წერილი კი ეთმობა აღნიშნულ თემაზე სერგი დანელიას, კონსტანტინე კაპანელის, მოსე გოგიბერიძის, პეტრე შარიას, ალიოშა ქუთელიას, ზურაბ კაკაბაძის, თამაზ ბუაჩიძის, ედუარდ კოდუას, ავთანდილ პოპიაშვილისა და რაულ ჩანტლაძის შეხედულებებს.

ანტონ ბაგრატიონი (1720-1788)

ანტონ ბაგრატიონის შეხედულებები ქართველ მწერლებზე, სასულიერო მოღვაწეებსა და ფილოსოფოსებზე გადმოცემულია მისი „წყობილსიტყვაობის“ მეშვიდე ნაწილში, სადაც ის ჯერ საეკლესიო მოღვაწეებს და მათ შემოქმედებას ახასიათებს, შემდეგ კი საეროს (მწერლები, ფილოსოფოსები). ჩვენი ინტერესის სფერო ძირითადად ეხება ანტონ ბაგრატიონის მხრიდან მწერლების შეფასებას.

ანტონ ბაგრატიონი იამბიკოებს უძღვნის იოანე, ეფთვიმე და გიორგი ათონელებს (მთაწმიდელებს). ეს ჩვენი გამოჩენილი სასულიერო მოღვაწეები ამავე დროს იყვნენ მწერლები, ეწეოდნენ მთარგმნელობით საქმიანობას. იოანე ათონელს ის ახასიათებს, როგორც ღვთისმეტყველს, საღმრთო ფილოსოფოსს, სიბრძნის მარად მოყვარულს, რომელმაც სიბრძნე განფინა, წიგნები ამრავლა, შეამცირა უმეცრება (ბაგრატიონი, 1980: 260).

ეფთვიმე ათონელს (იოანე ათონელის შვილს) ახასიათებს, როგორც ღვთისმეტყველს, რომელიც წერდა ეპისტოლეებს, მოიხსენიებს მას ეპითეტით – „ოქრო-ტაკუკი“ (ოქროს სარწყული), რომელიც გმობდა ბოროტებას, იყო ათონის მამათა წინამძღვარი (ბაგრატიონი, 1980: 261).

ანტონი ასევე ქებას აღავლენს გიორგი ათონელისადმი. მას მოიხსენიებს, როგორც ბრძენ მამას, სახარების მქადაგებლად და ქრისტიანობის დამცველად, ფილოსოფიის მოყვარულად, წიგნების გამამრავლებლად, ქრისტეს მრევლთა მწყემსად და ობოლთა მზრუნველად (ბაგრატიონი, 1980: 264).

ანტონ ბაგრატიონი შავთელზე, შოთა რუსთაველზე, სარგის თმოგველზე, ჩახრუხაძესა და სულხან-საბა ორბელიანზე აღნიშნავს, რომ თვით შოთა რუსთაველი ლაპარაკობს იოანე შავთელზე, „უქესო ლექსი შავთელსა“, ასევე რუსთაველს იმოწმებს ანტონ ბაგრატიონი სარგის თმოგველზე („თჳთ შოთა იტყჳს: დილარგეთ უქია მას“) საუბრისას, ხოლო ჩახრუხაძეს მიიჩნევს პოეტად, სიბრძნის მოყვარულად, ვისი შაირიც უკეთესია რუსთაველისაზე („შოთას შაირთა, თუ სთქუა, უკეთესთაცა“). სულხან-საბა ორბელიანის შაირს აქებს, მაგრამ აკრიტიკებს იმის გამო, რომ ის განუდგა ქართულ ეკლესიას (ბაგრატიონი, 1980: 275-282).

ანტონ ბაგრატიონის აღნიშვნით, შოთა რუსთაველი იყო სიბრძნის მოყვარული, ფილოსოფოსი, საჭიროების შემთხვევაში მაღალი დონის ღვთისმეტყველი, გასაოცარი პოეტი, *„მაგრა ამაოდ დაჰშურა, საწუხ არს ესე“*. ამასთან, ანტონ ბაგრატიონი რუსთაველის შემოქმედების შეფასებისას ერთი იამბიკოთი კმაყოფილდება:

თჳთ შოთა რუსთაველისა
„შოთა ბრძენ იყო, სიბრძნის-მოყვარე ფრიად,
ფილოსოფოსი, მეტყუელი სპარსთა ენის;
თუ სამ სწადოდა, – ღმრთის-მეტყუელიცა მაღალ;
უცხო საკჳრელ პიიტიკოს-მესტიხე;
მაგრა ამაოდ დაჰშურა, საწუხ არს ესე“ (ბაგრატიონი, 1980: 281).

რუსთაველის მიმართ ანტონ ბაგრატიონის სწორედ ეს ნათქვამი – „ამაოდ დაჰშურა“ აჩენს კითხვას – რა იყო ამ საყვედურის მთავარი მიზეზი?

ამ კითხვაზე არსებობს ასეთი პასუხი: „რუსთაველიდან 500 წლის შემდეგ, კათალიკოსმა ანტონ პირველმა სცადა განეახლებინა ძველი რიტორიკული ტრადიცია, რომელიც მთლიანად დავიწყებულიყო და ადგილი დაეთმო სპარსული პოეზიის გავლენის ქვეშ მყოფი ქართული პოეზიისათვის. თავისი რიტორიკა, რომელსაც „წყობილსიტყვაობა“ დაარქვა, კათალიკოსმა დავიწყებული იამბიკოებით დაწერა. ანტონს უნდოდა, [...] *დაენგრია ის ლიტერატურული კანონი, რომელიც რუსთაველმა დაამკვიდრა და რომელიც 500 წლის განმავლობაში ქართულ ლიტერატურაში უკონკურენტოდ ბატონობდა“.*

აქ მე მხოლოდ ფაქტს აღვნიშნავ და ვერ შევალ ფილოლოგიურ კვლევა-ძიებებში. რაც შეეხება ჩემს პოზიციას, იგი ასეთია: რუსთაველის შემოქმედებაზე ანტონ ბაგრატიონის მაღალი აზრის მიუხედავად, მის სიტყვებს – „ამაოდ დაჰშურა“, თავისი სერიოზული მიზეზი აქვს. ვფიქრობ, ქრისტიანობის რელიგიური და მსოფლმხედველობრივი ზეობის ხანაში ისეთი საერო ნაწარმოების შექმნა, როგორიც არის „ვეფხისტყაოსანი“, სადაც ნახსენები არ არის იესო ქრისტე, სამება, მოციქულები და სხვ., საკმარისი იყო იმისთვის, რომ ანტონ ბაგრატიონს ეს სიტყვები ეთქვა. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ რუსთაველი, ვინც ერიდება ავტორიტეტების მოხმობას, იმოწმებს წარმართ პლატონს და საეკლესიო წრეებისთვის არც თუ ისე მისაღებ „ბრძენ დივნოსს“ (ფსევდო-დიონისე არეოპაგელს).

ჩემი აზრით, შოთა რუსთაველისადმი ანტონ ბაგრატიონის ასეთი მკაცრი შენიშვნის მთავარი მიზეზი სწორედ ეს უნდა იყოს, კერძოდ, ქრისტიანული რელიგიისადმი ასეთი, სასულიერო მოღვაწისთვის სრულიად მიუღებელი პოზიცია, რაც მოცემულია შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, იოანე პეტრიწი თავისი შემოქმედებით იმსახურებს ქართველ მწერალთა რიცხვში მოხსენიებას. პეტრიწის გარდა, ანტონ ბაგრატიონი ეხება, უფრო სწორად, იამბიკოებს უძღვნის, აგრეთვე, ეფრემ მცირესა და არსენ იყალთოელს. ორივე მათგანისადმი მიძღვნილ იამბიკოებში მათ მოიხსენიებს ბრძენებად, ლოგიკოსებად და სხვ. ეფრემ მცირეს მისამართით აღნიშნავს, რომ ის იყო მშვენიერი რიტორიკოს-მოუბარი, პაექრობაში უძლეველი, მთარგმნელი და ფილოსოფოსი (ბაგრატიონი, 1980: 270). აქ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მართალია ანტონ ბაგრატიონი ეფრემ მცირეს იხსენიებს, როგორც მთარგმნელსაც, მაგრამ არაფერია ნათქვამი მის მთავარ თარგმანზე – არეოპაგიტულ თხზულებებზე. მაშინ როცა, როგორც ამას ქვემოთ ვნახავთ, დაწვრილებით საუბრობს პეტრიწის მიერ პროკლეს შრომის თარგმანზე.

არსენ იყალთოელს კი ანტონ ბაგრატიონი უქებს ღვთისმეტყველებას, ფიზიკას, ანატომიას და ფილოსოფიას, აგრეთვე, მას ახასიათებს, როგორც პოეტს, ეს ყველაფერი არსენისა *„ყოვლად საკ-კრვოდ ჩანნ ყოველთადმი თემთა“* (ბაგრატიონი, 1980: 272).

იოანე პეტრიწის შემოქმედება განსაკუთრებულია ანტონ ბაგრატიონისთვის. შვიდი საუკუნის შემდეგ პეტრიწის დამსახურება ქვეყნისა და საკუთარი ხალხის წინაშე შეაფასა ანტონ ბაგრატიონმა და მას მიუძღვნა 12 იამბიკო. სავარაუდოდ ის არ ეთანხმება პეტრიწს, თითქოსდა ბოლომდე ვერ გააკეთა თავისი გასაკეთებელი. ანტონი ხაზგასმით აღნიშნავს მის როლსა და დამსახურებას ქართული ფილოსოფიის წინაშე, რაც გამოიხატა ფილოსოფიის **„მოქართულებასა“ და საქართველოს „ათინად“ ქცევაში:**

„შენ ფილოსოფოსთ საქმე მონასმინანი,
შენ სტოიკებრნი სიტყჳთ სპეკალ-მინანი,
შენ პერიპატოს ცნობანი სალხინანი,
მოაქართულენ, ქართლი ჰქმენ ათინანი,
ჭირნი წარგჴუადენ უმეცარ-საწყინანი“ (ბაგრატიონი, 1980: 270).

იოანე პეტრიწზე მსჯელობისას ანტონი თითქმის ყველა იამბიკოში ხაზს უსვამს მის ფილოსოფოსობას. ამ მხრივ საყურადღებოა პლატონთან პროკლეს მიმართებაზე ხაზგასმა და თავის მხრივ იგივე როლი შეასრულე პროკლეს მიმართო, აღნიშნავს ანტონი (ბაგრატიონი, 1980: 269).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ანტონ ბაგრატიონმა მაღალ დონეზე შეაფასა ქართველი სასულიერო პირების, მწერლების და ფილოსოფოსების ღვაწლი, მათი დამსახურება ქართული კულტურის წინაშე და ამით სათავე დაუდო ჩვენი სასიქადულო საერო და სასულიერო მოღვაწეების შემოქმედების ფილოსოფიურ ანალიზს.

სოლომონ დოდაშვილი (1805-1836)

მეორე ქართველი მოღვაწე, ვინც გააგრძელა ანტონ ბაგრატიონის საქმე იყო ფილოსოფოსი და საზოგადო მოღვაწე სოლომონ დოდაშვილი. იგი, როგორც მაღალი დონის ფილოსოფოსი, ქვეყნის პატრიოტი და საზოგადო მოღვაწე, საყოველთაოდ არის ცნობილი. წარსულის კულტურული მემკვიდრეობისადმი დამოკიდებულება, ანალიზი და შეფასება გადმოცემულია წერილში – „მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა ანუ სიტყვიერებისა“, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „ტფილი-

სის უწყებანის“ დამატებაში – „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“. სულ რამდენიმე გვერდიან წერილში დოდაშვილი მოკლედ, ლაკონიურად და ღრმასაფუძვლიანად ალაგებს და აფასებს ქართული ლიტერატურის, ფილოსოფიის და საერთოდ ქართული კულტურის განვითარების ძირითად ტენდენციებს.

დოდაშვილი დიდად სწუხს იმის გამო, რომ ქართულ ენას სათანადოდ არ იცნობენ, ქართულ ენას უიმედოდ უყურებენ თვით ქართველები (დოდაშვილი, 2001: 214).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დოდაშვილი მიზნად ისახავს იმ დროისთვის ჩრდილში მოქცეულ ქართული ლიტერატურის ფართო საზოგადოებისთვის გაცნობას (დოდაშვილი, 2001: 214).

დოდაშვილი XI-XII საუკუნეებში გამოარჩევს ილარიონ ქართველს, წმიდა მამა იოანეს, წმიდა მამა ექვთიმეს, იოანე პეტრიწსა და სტეფანეს. ხოლო XII საუკუნის ქართველები გამოირჩეოდნენ „სიმხნევითა, სიბრძნითა, სათნოებითა და პოეზიითა“.

დოდაშვილი ქართული კულტურის მოღვაწეთა შემოქმედების შეფასებისას რჩეულთა შორის რჩეულებს გამოარჩევს, ესენი არიან – იოანე პეტრიწი და შოთა რუსთაველი.

დოდაშვილის აზრით, საქართველოში ფილოსოფიური აზროვნების აღმავლობა პეტრიწით იწყება, მისი ღვაწლი აღიარებული იყო არა მხოლოდ თანამედროვეთა მიერ, არამედ განათლებული შთამომავლებისგანაც (დოდაშვილი, 2001: 216). ის შთამომავალთაგან სანიმუშოდ ასახელებს ანტონ ბაგრატიონს, რომელიც აღტაცებული იყო პეტრიწის აზროვნების სიღრმით. დოდაშვილს იმდენად მოსწონს ანტონის მიერ პეტრიწის შეფასება, რომ ამ პატარა წერილში სრულად იმოწმებს პეტრიწისადმი მიძღვნილ ანტონის იამბიკოებს (სულ 12).

დოდაშვილი ასე აფასებს ანტონს: *„ღირსება დიდისა მის მწერლისა იოანე პეტრიწისა შესაძლებელ არს ვჰსცნოთ ანტონი კათალიკოსის მიერ თქმულსა ლექსსა შინა, რომელიც აღტრფობილი თხზულებათა მიერ მისთა ჰსწერს შემდგომსა“* (დოდაშვილი, 2001: 216). ამის შემდეგ კი დოდაშვილი სრულად იმოწმებს პეტრიწისადმი მიძღვნილ ანტონის იამბიკოებს.

თამარ მეფის ეპოქაში, რომელსაც დოდაშვილი „ოქროვან საუკუნეს“ უწოდებს, გამოარჩევს მოსე ხონელსა და სარგის თმოგველს, რუსთაველსა და ჩახრუხაძეს. მისი მოსაზრება „ვეფხისტყაოსანზე“ ღრმასაფუძვლიანი და მრავლისმეტყველია: *„დასამტკიცებლად მისსა, რომელ სიტყვიერება ჩვენი ყოფილა მაღალსა ხარისხსა ზედა სრულებისასა, საკმაო არს წარვუდგინოთ განათლებულსა სჯასა ლექსი რუსთაველისანი „ვეფხისტყაოსანი“* (დოდაშვილი, 2001: 219).

დოდაშვილის ამ წერილს ქართველი ფილოლოგები მიიჩნევენ ქართული ლიტერატურის პერიოდიზაციის პირველ ცდად. ჩვენი აზრით, ეს წერილი ამავე დროს არის ქართული კულტურის ისტორიის ფილოსოფიური გააზრების პირველი ცდა.

დიმიტრი უზნაძე (1886-1950)

დიმიტრი უზნაძე პირველი ქართველი ფილოსოფოსია, ვინც XX საუკუნის პირველ ათწლეულში ლიტერატურული ნაწარმოებების ფილოსოფიური ანალიზი მოგვცა. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ უზნაძე განათლებით ფილოსოფოსი იყო და ამ დროისთვის პროფილ შეცვლილი. ლიტერატურული ნაწარმოებების ანალიზის გარდა, ალექსანდრე აბაშელის პოეზიაზე მსჯელობისას გვთავაზობს საინტერესო თვალსაზრისს ხელოვნების არსზე, მის სპეციფიკაზე, ხელოვანისა და ფილოსოფოსის დანიშნულებაზე. უზნაძის წერილები ნიკოლოზ ბარათაშვილის ლირიკის მოტივებზე, განდეგილობის პრობლემაზე ილია ჭავჭავაძესთან და ალექსანდრე აბაშელის პოეზიაზე, გამოქვეყნებულია შესაბამისად 1909, 1911 და 1913 წლებში.

უზნაძის აზრით, *„გრძნობა არარაობისა ან ამაღლებისა და ლტოლვა მარადისობისაკენ ყოველი ადამიანის არსში მარხია“* (უზნაძე, 1984: 80). ამასთან, უზნაძის აზრით, ასეთ ადამიანში „გრძნეული“ კი არ უნდა იყოს მთავარი, არამედ შემოქმედი მოაზროვნე. ამის გარდა, ამ შემოქმედ-მოაზროვნეში მყარად უნდა იყოს ბუნებრივი ელემენტი და გრძნება უნდა იყოს მყარი. გრძნება იწვევს ამაოების გრძნობას (განცდას), მაგრამ გონება მარადიული შემოქმედებაა და გრძნების წინააღმდეგობის ფონზე უფრო [მყარად] მიისწრაფვის მარადისობისკენ.

უზნაძე მის მიერ ჩამოყალიბებული თვალსაზრისის უტყუარ ილუსტრაციას ხედავს ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებში – „მერანი“ და „შემოღამება მთაწმინდაზე“. მერანის რბენა „მერანში“ სულის ლტოლვაა დასრულებულ აბსოლუტად იქცეს, ხოლო შავი ყორანი გარე გრძნებანია, დროული და წარმავალი ელემენტია (უზნაძე, 1984: 81).

უზნაძის აზრით, ბარათაშვილს უჭირს თავის გრძნებათა დაკარგვა, მაგრამ ამავე დროს არ შეუძლია მას დაუმორჩილოს, დაუმონოს აბსოლუტური სული: *„თუ აქამომდე არ ემონა მას, არც აწ ემონოს შენი მხედარი“* (უზნაძე, 1984: 81).

თუკი ბარათაშვილის შემოქმედების განხილვისას უზნაძე წინ წამოსწევს მარადიულისა და წარმავალის ბრძოლას, ილია ჭავჭავაძის „განდეგილს“ ღირებულებითი პოზიციიდან აანალიზებს.

უზნაძე ჯერ იძლევა ღირებულებათა კლასიფიკაციას (ფიზიკური, რელიგიური, ეთიკური, ესთეტიკური, ინტელექტუალური) და იქვე დასძენს, რომ ღირებულებათა ძიების გზაზე ადამიანი როდი კმაყოფილდება რომელიმე მიღწეული ღირებულებით. ადამიანი, „[...] *ისწრაფვის არა განსაკუთრებული ღირებულებისაკენ, არამედ სისრულისაკენ; და აი ეს სისრულეა სწორედ მისი მიზანი*“ (უზნაძე, 1984: 248). ამასთან, უზნაძის აზრით, ღირებულებათა ძიების გზაზე, ჩვენ ვესწრაფვით ჩვენი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და ვქმნით ღირებულებებს, მაგ., სიკეთის, ხელოვნების და ა.შ. *„და აი, სწორედ ასეთი ღირებულება არის მასალა, რომელშიც მჟღავნდება ჩვენი ნების მოქმედება*“ (უზნაძე, 1984: 249).

უზნაძე შენიშნავს, რომ სწორედ ამიტომაც ნება თავის აბსოლუტური აქტივობით „სრულყოფას ვერ წვდება“. ეს კი ზოგიერთი დიდბუნებოვანი პიროვნების არსებაში საშინელი ტრაგედიის სახეს იღებს.

უზნაძე სწორედ ასეთი ჩამოყალიბებული პოზიციით უდგება ამა თუ იმ მხატვრულ ნაწარმოებს, კონკრეტულ შემთხვევაში ილიას „განდეგილს“ და აქედან გამომდინარე აჩვენებს ნაწარმოებში მოცემული ტრაგედიის მიზეზსა და არსს: *„განდეგილი ხომ ისე ცხოვრობდა ერთ დროს, როგორც ყოველი ადამიანი. მასაც სურდა ადამიანური კეთილდღეობის, ადამიანური ბედნიერების დამკვიდრება, მაგრამ მისი ნება იმდენად ძლიერი იყო, რომ იგი არც ერთმა ჩვეულებრივმა ადამიანურმა ღირებულებამ არ დააკმაყოფილა და მან მწვავედ იგრძნო, რომ მთელი ხროვა ამ ღირებულებათა, რომელიც ამ ცხოვრებაში ხორციელდება, ამაოა, რომ იგი მხოლოდ თავის მოტყუებაა. და, აი სწორედ ამიტომ მოსცილდა იგი ამ ღირებულებათა სამკვიდროს – ჩვეულებრივი სოფლის ცხოვრებას და თავისი ძლიერი ნებით მხოლოდ ზეციურისაკენ იწყო ლტოლვა*“ (უზნაძე, 1984: 249-250).

უზნაძემ ილიას „განდეგილში“ მხოლოდ ქართველი კაცის სვე-ბედი კი არ ამოიკითხა, არამედ საკაცობრიო ტრაგედია. ეს კი ერთი მხრივ პოემის ღრმა აზრობრივი დატვირთვის, ხოლო მეორე მხრივ უზნაძის ხედვის განსაკუთრებული სიღრმისა და სიმაღლის მაჩვენებელია.

ალექსანდრე აბაშელის პოეზიის უზნაძისეულ შეფასებაში ყურადღებას იმსახურებს ფილოსოფიისა და ხელოვნების, ფილოსოფოსისა და ხელოვანის შედარებითი ანალიზი. მისი აღნიშვნით, „[...] *ფილოსოფიური ნაწარმოები და ხელოვნებითი შემოქმედების ნაყოფი, ორივე ერთ ღმერთს უკმევს გუნდრუკს*“ (უზნაძე, 1984: 253). მაგრამ, ამავე დროს, მათ შორის არსებითი განსხვავებაა, კერძოდ:

ფილოსოფოსი გამსჭვალულია შემეცნებისადმი ლტოლვით და დასახული მიზნის მიღწევას ლოგიკურ ფორმებში ცდილობს, ხელოვანი კი ამ ამოცანის გადაჭრას მხატვრულ სახეებში აყალიბებს.

ამასთან, უზნაძე ხაზს უსვამს ნამდვილ და მოჩვენებით ხელოვნებას შორის განსხვავებას. როცა ხელოვანი მოვლენების ზედაპირზე ტივტივებს და მასში სამყაროს ფარული ამოცანების განცდა არ არის, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა ხელოვნებასთან, არამედ თამაშთან. უზნაძის შენიშვნით, *„საზოგადოდ, ნამდვილად კი მორითმეობა კი არ ხდის ადამიანს ხელოვანად, არამედ გულწრფელი ღრმა განცდა სამყაროს იდუმალებისა, ტკივილის გამომწვევი სიძლიერე ჭეშმარიტებისაკენ ლტოლვილებისა“* (უზნაძე, 1984: 253-254).

უზნაძე უფრო აკონკრეტებს ფილოსოფოსისა და ხელოვანის ხედვებს შორის არსებულ განსხვავებას და გვთავაზობს მათი მიმართების შედარებით ანალიზს, სადაც სიახლე არის ხელოვანის, როგორც **ახლის შემოქმედის** წარმოჩენა.

უზნაძის აღნიშვნით, ფილოსოფოსისგან განსხვავებით, ხელოვანის ლტოლვა ვერ კმაყოფილდება სამყაროს ფარული არსის ლოგიკური არგუმენტაციით მიღებული ცოდნით. ხელოვანი ლოგიკის დაუხმარებლად სწვდება სამყაროს ფარულ არსს, *„ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ი თ ა ღ ფ რ თ ო ვ ა ნ ე ბ ა ს უწოდებენ იმ მომენტს, როდესაც ხელოვანი გონების დაუხმარებლად ლამობს ცხოვრების არსის წვდომას, და ი ნ ტ უ ი ც ი ა ს – იმ ძალას, რომლის საშუალებითაც იგი თავის ლტოლვას აკმაყოფილებს“* (უზნაძე, 1984: 265).

რაც მთავარია, შენიშნავს უზნაძე, ფილოსოფიისგან განსხვავებით, სადაც ფილოსოფიური აზროვნების შედეგია შემეცნება, ამის ნაცვლად ხელოვნებაში საქმე გვაქვს ცხოვრების იდუმალი არსის განცდასთან (უზნაძე, 1984: 265).

უზნაძის აზრით, თუკი ხელოვანის შექმნილი სახეები არსებული სინამდვილის სახეებს შეეფერებიან, მაშინ ჩვენ წინაშეა მსოფლიო ჭეშმარიტი არსის განცდა. თუკი პირიქითაა, მაშინ ხელოვანი ვერ ჩამწვდარა სამყაროს ნამდვილ არსს და არც ის განუცდია (უზნაძე, 1984: 266).

უზნაძის აზრით, ხელოვნების დანიშნულებაა ცხოვრების ფარული არსის განცდის ჭეშმარიტების გამოაშკარავება და *„ამგვარად, ხელოვნების ნაწარმოების ფორმას იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც ლოგიკურ არგუმენტაციას ფილოსოფიური ჭეშმარიტების სიმტკიცისათვის“* (უზნაძე, 1984: 266).

ამ შენიშვნების გათვალისწინებით უზნაძე განიხილავს აბაშელის პოეზიის რამდენიმე ნიმუშს. აბაშელის პოეზიაში უზნაძე გამოარჩევს იმ ლექსებს, *„რომლებიც პოეტის სულის იდუმალ ზრახვათა პირდაპირ, გულწრფელ ამოძახილს წარმოადგენს“* (უზნაძე, 1984: 254).

უზნაძის კვლევები და მიღებული შედეგები უფრო დაწვრილებით შესწავლას და მრავალმხრივ გამოკვლევა-განხილვას საჭიროებს.

შალვა ნუცუბიძე (1888-1969)

შალვა ნუცუბიძე „ქართული ფილოსოფიის ისტორიის“ პირველ ტომში (1956) განიხილავს „სიბრძნე ბალაჰვარიანის“ ავტორობის სკითხს და, აგრეთვე, ფილოსოფიური იდეების არსებობას ამ ძეგლში.

ნუცუბიძე „სიბრძნე ბალაჰვარიანისში“ ხედავს არისტოტელეს ფილოსოფიის კვალს. ამასთან, არ გამორიცხავს ძეგლში ინდური სიბრძნისა და ზოგადად, ბერძნული ფილოსოფიის გამოვლინებებს: *„მრავალი საკითხი, რაც ბალავარს აინტერესებდა იოდასააფის აღზრდისას, შეიძლებოდა ყოფილიყო ინდურ სიბრძნეშიც და ბერძნულ ფილოსოფიაშიც ელეელებით დაწყებული, ვიდრე ნეოპლატონიკოსებამდე“* (ნუცუბიძე, 1956: 329).

ნუცუბიძე განსახილველ ძეგლში აღნიშნავს სამ ნაკადზე – არისტიდეს, ნემესიოს ემესელისა და არეოპაგიტულ თვალსაზრისებზე. საბოლოოდ ნუცუბიძე „სიბრძნე ბალაჰვარიანის“, მიიჩნევს იმ მნიშვნელოვან ძეგლად, რომელშიც ერთგვარად შეჯამებულია ქართული კულტურის მიღწევები IV-VII საუკუნეებში (ნუცუბიძე, 1956: 331-332).

მეორე მწერალი ვისი შემოქმედებაც გახდა ნუცუბიძის კვლევის ობიქტი სულხან-საბა ორბელიანია. სულხან-საბას ფილოსოფიური მრწამსის გასაგებად იგი განიხილავს მის ლექსიკონსა და „სიბრძნე სიცრუისას“. ნუცუბიძე ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ სულხან-საბა თავის ლექსიკონში ფილოსოფიური ნაწილის მომზადება კი არა აქვს მიზნად დასახული, არამედ იღებს და განიხილავს იმ ქართულ ძეგლებს, რომლებშიც მოცემულია ქართული ფილოსოფიური საქმიანობა (ნუცუბიძე, 1958: 244).

ფილოსოფიაში სულხან-საბა ორბელიანის საქმიანობის მიმართულება განსაზღვრულია არსებული ვითარებით. ამ დროისთვის ფილოსოფიური კულტურა დამცვრობილი იყო და ნუცუბიძის აღნიშვნით, საქმე იქამდე იყო მისული, რომ საუკუნეების განმავლობაში საზოგადოება საზრდოობდა იოანე პეტრიწისა და შოთა რუსთაველის ირგვლივ ატეხილი დავით.

აღნიშნული საკითხის განხილვისას ნუცუბიძე ასეთ საყურადღებო დასკვნას აკეთებს: „*ს. ს. ორბელიანი მშვენივრად მიხვდა, რომ პირველი საქმე ამ პირობებში იყო ჯერ ისტორიული ფერფლისთვის სულის გადაბერვა, აქა-იქ მიმქრალი ნაკვერცხლების გამოჩენა და სხვ.*“ (ნუცუბიძე, 1958: 245). ნუცუბიძეს მიაჩნია, რომ სულხან-საბამ ასეთი მიდგომით ღირსეულად შეასრულა თავისი მისია და ამითაა მოხაზული მისი ისტორიულ-ფილოსოფიური ადგილი ქართული აზროვნების ისტორიაში.

ნუცუბიძე საკმაო ადგილს უთმობს სულხან-საბას „სიბრძნე სიცრუისას“ ანალიზს და მიდის იმ დასკვნამდე, რომ წიგნს სათაურად გამოტანილი სიტყვათშეთანხმებები – „სიბრძნე-სიცრუისა“ და „სიბრძნე სიცრუისა“ გადის ლიტერატურულ-ფილოლოგიური ფარგლებიდან და ფილოსოფიურ სიბრძნეს ეზიარება (ნუცუბიძე, 1958: 251).

ნუცუბიძის საბოლოო შეფასებით სულხან-საბას ფილოსოფიური საქმიანობა უნდა შეფასდეს ისტორიულად, რაც საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ მისი ადგილი ქართული აზროვნების ისტორიაში.

ნუცუბიძის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მთარგმნელობით საქმიანობას, რაც, აგრეთვე, ლიტერატურული მოღვაწეობის ნაწილია. მან რუსულად თარგმნა: შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, ჩახრუხაძის „თამარიანი“ და შავთელის „აბდულმესია“.

ნუცუბიძის ფილოსოფიურ-ლიტერატურული საქმიანობის მთელი სიღრმე-სიგანე გამომჟღავნდა რუსთველოლოგიაში.

რუსთაველის მრავალმხრივ შემოქმედებაში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს „ვეფხისტყაოსნის“, ნუცუბიძის აღნიშვნით, როგორც ფილოსოფიური პოემის, შესწავლა და ანალიზი.

რუსთაველის შემოქმედების კვლევისას ერთ-ერთი მთავარი საკითხია „ვეფხისტყაოსნის“ მსოფლმხედველობრივი წყაროების გარკვევა. ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობაა. შეიძლება ითქვას, რომ ამ მიმართებით მთავარი აქცენტი ნეოპლატონიზმზე, უფრო ზუსტად, მის ქრისტიანულ რედაქციაზე – არეოპაგიტულ მოძღვრებაზე კეთდება.

ნუცუბიძემ არაერთ ნაშრომში სპეციალურად გამოიკვლია არეოპაგიტიკის გავლენები ქართულ კულტურაზე და, კერძოდ, „ვეფხისტყაოსანზე“. მათგან უნდა გამოვყოთ ორი: „Руставели и восточный Ренессанс“ (Тб., 1947) და „Творчество Руставели“ (Тб., 1959), რომლებშიც სხვა საკითხებთან ერთად გამოკვლეულია ქართულ კულტურაზე არეოპაგიტიკის მრავალმხრივი გავლენა.

ნეოპლატონიზმში, არეოპაგიტულ მოძღვრებასა და XI-XII საუკუნეების ქართულ ფილოსოფიაში მთავარი საკითხი სიკეთისა და ბოროტების მიმართებაა. როგორც ერთ, ისე მეორე და მესამე შემთხვევაში ბოროტება უარსებოა, ის არასუბსტანციურია. ეს იდეა რუსთაველთან არეოპაგიტიკიდან გადმოდის და ამ საკითხში არეოპაგიტულ მოძღვრებასთან ქართული რენესანსის პოეზიის კავშირის თვალნათლივ მაგალითად ნუცუბიძეს მიაჩნია „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგი ცნობილი სტროფი:

„ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დივნოს გააცხადებს:
ღმერთი კარგსა მოავლინებს და ბოროტსა არ დაბადებს,
ავსა წამ-ერთ შეამოკლებს, კარგსა ხან-გრძლად გააკვლადებს,
თავსა მისსა უკეთესსა უზადო-ჰყოფს, არ აზადებს“.

ნუცუბიძის აღნიშვნით, *„ამ ოთხ ტაეპში რუსთაველი გვაძლევს ყველაფერს, რაც კი ქართულმა რენესანსმა აითვისა არეოპაგიტული იდეების შესახებ პეტრინის ნაწერებიდან“* (ნუცუბიძე, 1976: 179).

ნუცუბიძემ მონოგრაფიაში – „რუსთაველის შემოქმედება“ უფრო დააკონკრეტა არეოპაგიტული მოძღვრების გავლენა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანზე“. ეს საკითხი ავტორს განხილული აქვს გამოკვლევის მე-3 თავში – „რუსთაველის შემოქმედების ფილოსოფიური ძირები“, სადაც უკვე კონკრეტულად არის მსჯელობა არეოპაგიტული იდეების ასახვაზე „ვეფხისტყაოსანში“.

სხვა არსებით საკითხებთან ერთად, ახალ გამოკვლევაში ნუცუბიძემ გამოკვეთა რუსთაველის შემოქმედების სათავეები: ხალხური, ლიტერატურული და ფილოსოფიური ძირები. გამოკვლევის სწორედ ბოლო თავშია ჩვენთვის საინტერესო არეოპაგიტიკის გავლენებზე მსჯელობა.

ნუცუბიძე საკითხის განხილვას იწყებს იმით, რომ „ვეფხისტყაოსანს“ განიხილავს, როგორც ფილოსოფიურ პოემას და იქვე განმარტავს ამგვარი მხატვრული ნაწარმოების არსს: *„მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში არის ეგრეთ წოდებული ფილოსოფიური პოემები. მათი განმასხვავებელი ნიშანი ისაა, რომ ისინი აგებულია გარკვეულ მსოფლგაგებაზე, რომელიც გარკვეულ ეპოქაში შემუშავებულა, ფილოსოფიის სისტემაში გამოსახულა, ფილოსოფიის ცნობილ ძეგლებში აღბეჭდილა“* (ნუცუბიძე, 1980: 98).

გასათვალისწინებელია ისიც, რომ რუსთაველი არ არის ფილოსოფოსი, ხოლო მისი პოემა მხატვრული ნაწარმოებია და, ამდენად, რუსთაველთან ფილოსოფია სისტემის სახით მოცემული არ არის. ამიტომაც, რუსთაველის შემოქმედების ძირები პოემაში ჩაწნულ ფილოსოფიურ ელემენტებში უნდა ვეძიოთ, აღნიშნავს ნუცუბიძე. ამასთან, „ვეფხისტყაოსნის“ იდეური საფუძველია სიკეთისა და ბოროტების ბრძოლა, მიზანი კი იმის ჩვენება, თუ როგორ ამარცხებს სიკეთე ბოროტებას. მაგრამ ეს ბრძოლა შინაგანი სიმტკიცის, „ჭირთა თმენის“ საფუძველზე გვეძლევა, „უბედურება გზაა ბედნიერებისაკენ, ბოროტი კეთილის დადგინების საშუალებაა“ (ნუცუბიძე, 1980: 99).

ნუცუბიძე ახალ გამოკვლევაში კვლავ უბრუნდება „ვეფხისტყაოსნის“ იმ ცნობილ სტროფს, რაზედაც მას ვრცელი მსჯელობა ჰქონდა ამ თემაზე მიძღვნილ პირველ მონოგრაფიულ გამოკვლევაში – „Руставели и восточный Ренессанс“, სადაც სიკეთის აბსოლუტურობასა და ბოროტების არასუბსტანციურობას ეხება. ავტორი ყურადღებას ამახვილებს პოემის იმ ადგილზე, სადაც რუსთაველი პირდაპირ მიუთითებს ამ უმნიშვნელოვანესი თვალსაზრისის ავტორზე – „ბრძენ დივნოსზე“ (ფსევდო-დიონისე არეოპაგელზე):

„ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დივნოს გააცხადებს:
ღმერთი კარგსა მოავლინებს და ბოროტსა არ დაბადებს...“

ნუცუბიძე დაწვრილებით განიხილავს ამ საკითხს და ორ დებულებას გამოყოფს სტროფში, რომლებიც ღმერთის მიერ კეთილის მოვლინებასა და ბოროტების წარმოუშობლობას ეძღვნება (ნუცუბიძე, 1980: 121-123).

ნუცუბიძე, „ვეფხისტყაოსნის“ ამ საოცრად შინაარსიანი და ტევადი სტროფის დასაწყისში მოცემული „დაფარული საქმის“ („ამ საქმესა დაფარულსა“) სათავესაც არეოპაგიტულ მოძღვრებაში ხედავს. მას მიაჩნია, რომ რუსთაველმა თავისი ღრმა განსწავლულობის წყალობით ამოხსნა დივნოს-პეტრეს „დაფარული“ და ღმერთთან მიმართებაში გამოიყენა. კერძოდ, ეს კარგად ჩანს ავთანდილის ლოცვაში ტარიელთან მეორედ გამგზავრების წინ:

„ილოცავს, იტყვის: მაღალო ღმერთო ხმელთა და ცათაო,...
უცნაურო და უთქმელო, უფალო უფლებათაო“ (ნუცუბიძე, 1980: 126).

აქ, რუსთაველის შემოქმედების სიახლოვე და კავშირი არეოპაგიტულ მოძღვრებასთან ეჭვგარეშეა, რაც კარგად აქვს შენიშნული ნუცუბიძეს.

ნუცუბიძე ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ არეოპაგიტიკის გავლენები არის დანტეს შემოქმედებაშიც, თუმცა არაპირდაპირ, კერძოდ: დანტე თავის იდეურ მასწავლებელს (ფსევდო-დიონისეს – მ. მ.) მხოლოდ ზიგიერ ბრაბანტელის შემოქმედებით იცნობდა და აქედან აითვისა მისთვის საჭირო თვალსაზრისი. სწორედ ამის გამო დანტემ „ღვთაებრივი კომედიის“ მოქმედება „იმქვეყნად“ გადაიტანა (ნუცუბიძე, 1980: 151). ამიტომაც არიან, – ნუცუბიძის აზრით, – დანტეს გმირები უსიცოცხლონი და მკრთალნი.

ამ მომენტს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ნუცუბიძე, რადგანაც იგი მიუთითებს „ვეფხისტყაოსნისა“ და „ღვთაებრივი კომედიის“ როგორც იდეურ ნათესაობაზე, ისე განსხვავებაზე. ამ ორ ქმნილებას შორის იდეური ნათესაობის მიზეზია არეოპაგიტული მსოფლმხედველობის გამოყენება, ხოლო განსხვავება გამოწვეულია იმით, რომ რუსთაველი არეოპაგიტიკას უშუალოდ იცნობს, ხოლო დანტე – ზიგიერ ბრაბანტელის მეშვეობით.

ნუცუბიძის საბოლოო დასკვნით, არეოპაგიტიკასთან რუსთაველისა და დანტეს აქ აღნიშნულ დამოკიდებულებას შეუძლია პასუხი გასცეს იმათ, ვისაც არ სჯერათ არეოპაგიტულ მოძღვრებასთან წინარენესანსული და რენესანსული პოეზიის კავშირი. მისი აზრით, იმ ეპოქისთვის ეს კავშირი არათუ შესაძლებელი, არამედ აუცილებელიც იყო. შეიძლება ითქვას, რომ ნუცუბიძე სხვა ბევრ მეცნიერულ სიახლესთან ერთად, ქართულ კულტურაზე არეოპაგიტიკის გავლენის საფუძვლიანი კვლევის დამწყებია მეცნიერებაში.

როგორც ვნახეთ ნუცუბიძის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ლიტერატურულ-ფილოსოფიურ და მთარგმნელობით საქმიანობას. ამ საქმიანობის ცენტრი კი რუსთაველის შემოქმედებაა დაწყებული „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ ენაზე თარგმნით და რუსთაველის შემოქმედების რენესანსულობის დასაბუთებით დამთავრებული.

შალვა ხიდაშელი (1911-1994)

შალვა ხიდაშელის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მწერლების შემოქმედებისა და ხელოვნების ძეგლების ანალიზსა და შეფასებას. ამ მიმართებით თავისი მრავალმხრივობით ის ქართველ ფილოსოფოსთა შორის გამორჩეულია. შალვა ნუცუბიძის მსგავსად ხიდაშელთანაც უპირველესი განსჯის საგანია რუსთაველის შემოქმედება.

ხიდაშელის აზრით, „ვეფხისტყაოსანზე“, როგორც ფილოსოფიურ პოემაზე მსჯელობისას, არსებობს ერთი მთავარი საშიშროება, რომ რუსთაველზე ვილაპარაკოთ, როგორც ფილოსოფოს-

ზე. მაშინ როცა, რუსთაველისა და მისი შემოქმედების არსება და მთავარი ხიბლი მის მხატვრულ შემოქმედებაშია. ამიტომაც ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რუსთაველის მიზანს სულაც არ შეადგენს ფილოსოფიური თეორიის პოეტური განსახიერება და მის შემოქმედებაში ფილოსოფიური თეორია წინ არ უსწრებს მხატვრულ ასახვას. რუსთაველის „...*მთავარ მიზანს სინამდვილის ასახვა, მხატვრული განზოგადება შეადგენს და თავის მსოფლმხედველობას გამოხატავს, პირველ ყოვლისა, მხატვრული აზროვნების საშუალებით. შემოქმედების ამ სფეროშია რუსთაველის ადგილი და მისი გენიალობისა და ორიგინალობის ფარგლებიც უმთავრესად მხატვრული აზროვნებით არის განსაზღვრული*“ (ხიდაშელი, 1988: 247).

ხიდაშელის აღნიშვნით, „ვეფხისტყაოსანში“ ფილოსოფიური იდეებისა და მათი წარმომავლობის ძიება არ ნიშნავს პოემის ფილოსოფიური თეორიით „გალექსვას“. კონკრეტულად იგი იხილავს „ვეფხისტყაოსნის“ სტროფებიდან ისეთ ადგილებს, რომელთა კავშირი ნეოპლატონიზმის ქრისტიანულ რედაქციასთან – არეოპაგიტულ მოძღვრებასთან, ეჭვგარეშეა.

„არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა,
მით ვისწავლებდით, მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა წ ყ ო ბ ი ს ა“.
„არ ცოცხალ ვიყო, რას მაქნევ, რა დავრჩე, ხელსა მხდი რასა?
დამშლიან ჩემნი კავშირნი, შევრთვივარ სულთა ს ი რ ა ს ა“.

ხიდაშელის აზრით, ამ სტრიქონებში კარგად ჩანს რუსთაველის შეხედულების არსის, როგორც „მწყობრთა წყობის სირას“ ნეოპლატონურ-არეოპაგიტული წარმომავლობა.

„ვეფხისტყაოსანში“ ერთ-ერთი მთავარი საკითხია სიკეთის გამარჯვება ბოროტებაზე – „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია!“, ამბობს რუსთაველი. ამ საკითხის განხილვისას ხიდაშელი საინტერესო და ორიგინალურ თვალსაზრისს გვთავაზობს და ერთ სიბრტყეში წარმოადგენს ნეოპლატონურ ფილოსოფიას, არეოპაგიტულ მოძღვრებას, პეტრიწისა და რუსთაველის შემოქმედებას.

მთავარი აქ, ხიდაშელის აზრით, არის ის, რომ ნეოპლატონიზმში, არეოპაგიტიკასა და პეტრიწთან სიკეთე იგივე პირველსაწყისია – ღმერთია. „*პირველმიზეზის მიმართება სამყაროსადმი პირველყოვლისა სიკეთის მიმართებაა, რომელიც პირველმიზეზის არსებიდან გამომდინარეობს და სამყაროზე სიკეთეს ავრცელებს*“ (ხიდაშელი, 1988: 262). სწორედ იმის გამო, რომ სიკეთე ღმერთისგან მომდინარეობს, ის სუბსტანციურია და განაპირობებს ბოროტებაზე, როგორც შემთხვევითზე, არსის არმქონეზე გამარჯვებას. ეს აზრი, – აღნიშნავს ხიდაშელი, – გადმოსულია რუსთაველთან და იგი გამოხატულია გამოთქმებით – სიკეთის „არსება გრძელია“ და „ვცან სიმოკლე ბოროტისა“ .

ხიდაშელის შეხედულებებში ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც რუსთაველის „მზიანი ღამისა“ და „უჟამო ჟამის“ ცნების მისეული ანალიზია. მისი აზრით, რუსთაველი იმდენად ღრმადაა გაცნობიერებული მოძღვრებაში, საიდანაც „მზიანი ღამე“ მომდინარეობს, რომ ამოდის ამ თვალნათლივი სახის მოაზრების ყველაზე რთული და ამავე დროს თავისებური შეხედულებიდან ნათელისა და ბნელის, „მზიანისა“ და „ღამის“ გაერთიანების შესახებ.

ხიდაშელის აზრით, „*რუსთაველის „მზიანი ღამე“ არაა არც ცალკე აღებული ნათელი (მზე) და მისი წარმოდგენა, არც ცალკე აღებული ბნელი (ღამე) და მისი წარმოდგენა. ესაა ერთი მთლიანი წარმოდგენა, რომელშიც ნათელი და ბნელი ერთმანეთს ემთხვევა, ისევე როგორც ღმერთში ერთმანეთს ემთხვევა არსებობა და არარსებობა, ცოდნა დამყარებული მის არსებობაზე ყოველივეში, ცოდნას დამყარებულს არარსებობაზე არსად*“ (ხიდაშელი, 1988: 288).

ხიდაშელის აზრით, რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ მოცემული „მზიანი ღამე“ გამოხატავს ღმერთს, რომელიც, როგორც უმაღლესი არსება, თავის თავში მოიცავს დაპირისპირებულ მხარე-

ებს და საკუთრივ მაღლა დგას ყოველგვარ დაპირისპირებაზე. მსგავსი ვითარებაა არეოპაგიტიკაში, სადაც ღმერთი მაღლა დგას ყოველგვარი დადებითი და უარყოფითი დახასიათებით მიღებულ ცოდნაზე (პეტრე იბერიელი, 1961: 224). ამ საკითხში რუსთაველი ამოდის არეოპაგიტიკიდან და პოემის ცნობილ სტროფში ამბობს:

„ჰე, მზეო, ვინ ხატად გთქვეს მზიანისა ღამისად,
ერთ-არსებისა, ერთისა, მის უჟამოსა ჟამისად,
.....
ვ ი ს ს ხ ა ტ ა დ ღ მ რ თ ი ს ა დ გ ი ტ ყ ვ ი ა ნ
ფ ი ლ ო ს ო ფ ო ს ნ ი წ ი ნ ა ნ ი“.

რუსთაველი თვითონ მიუთითებს მისი ამ პოეტური მეტაფორების წყაროზე, „ფილოსოფოსნი წინანიზე“. საკმარისია, გავიხსენოთ, თუ ვინ იყვნენ ეს ფილოსოფოსები, რომლებიც მზეს ღმერთის ხატად თვლიდნენ, და ძნელი არ იქნება იმის გარკვევა, თუ ვინ იგულისხმებიან „ფილოსოფოსნი წინანიში“.

მზეს ღმერთის ხატად მიიჩნევდნენ ნეოპლატონიკოსები და მათ შორის, ქრისტიანული ნეოპლატონიზმის წარმომადგენელი ფსევდო-დიონისე არეოპაგელი. ამასთან, ღმერთისა და მზის ანალოგიის ცნობილი თვალსაზრისი ფსევდო-დიონისემ განსაკუთრებულ სიმაღლეზე აიყვანა. იმის გათვალისწინებით, რომ „ვეფხისტყაოსანში“ კარდინალურ საკითხზე დამოწმებულია „ბრძენი დივნოსი“ – ფსევდო-დიონისე არეოპაგელი – და არა სხვა ვინმე, საფუძველს გვაძლევს „ფილოსოფოსნი წინანიში“ ვიგულისხმოთ ნეოპლატონიკოსები, ზოგადად და ფსევდო-დიონისე, კერძოდ.

მსგავსი ვითარებაა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ „უჟამო ჟამის“ ცნებასთან მიმართებითაც. საერთო თვალსაზრისით, „ვეფხისტყაოსნის“ „უჟამო ჟამი“ არის ღმერთი და ამგვარად გაგებულ „უჟამო ჟამს“ პირდაპირი კავშირი აქვს არეოპაგიტიკასთან.

ხიდაშელის მრავალმხრივ საყურადღებო ბოლო წიგნებში – „ფიქრები საქართველოზე“ (1993) და „უსათაურო მოგონებანი“ (1994) სხვადასხვა რაკურსით არიან წარმოდგენილი მწერლები – დავით კლდიაშვილი, ტერენტი გრანელი, გერონტი ქიქოძე, ვლადიმერ მაიაკოვსკი, გიორგი შატბერაშვილი და ანა კალანდაძე. თოთოეულ მათგანზე ავტორს ნანახი აქვს მისთვის ინდივიდუალურად დამახასიათებელი შტრიხი.

ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს დავით კლდიაშვილისა და ტერენტი გრანელის პიროვნული განსაკუთრებულობის ავტორისეული ხედვა. აი მისი ცოცხალი შთაბეჭდილება დავით კლდიაშვილის საიუბილეო სხდომიდან: *„არავითარი პოზა, არც ფარული და არც გამოვლენილი; არავითარი ხაზგასმა მისი საზოგადოებრივი და სამწერლო დამსახურებისა. პირიქით, ქართული პროზის ეს შესანიშნავი ოსტატი თითქოს გაკვირვებული იყო იმით, რაც საიუბილეო სხდომაზე მოისმინა“.* დიდი მწერლის ასეთ პოზიციას ხიდაშელი ასე აფასებს: *„ეს სიტყვები იყო ხმა მეცხრამეტე საუკუნიდან, ხმა ილიას ეპოქიდან, რომელიც უკვე მაშინ ჟღერდა სრულიად უცხოდ (და მით უმეტეს, უცხოდ ჟღერს დღეს, როცა ეს სტრიქონები იწერება)“* (ხიდაშელი, 1994:101).

ტერენტი გრანელის შესახებ კი ხიდაშელი აღნიშნავს: მისი *„პირადი ტრაგედიის მიზეზი მისი ფსიქიკის თავისებურებიდან არ გამომდინარეობს. მისი „მე“-ობიდან მისი დიდი ტალანტი გამომდინარეობს, რომელიც მას დიდ პოეტად აქცევს“.* ტერენტი გრანელს, – წერს ხიდაშელი, – ერთი ლექსი რომ მიეძღვნა ამ ქვეყნის ძლიერთათვის, ინდუსტრიისთვის ან „ზაჰესზე“, მას არც პატივი მოაკლდებოდა და არც ყურადღება, *„მაგრამ არ დაწერა, ვერ დაწერა და ალბათ არც უფიქრია დაეწერა“* (ხიდაშელი, 1994: 105).

გერონტი ქიქოძეს ხიდაშელი ასე ახასიათებს: ის არც მეცნიერი იყო, არც მწერალი, არც მორალისტი და არც ხელოვანი. სამაგიეროდ, *„გერონტი ქიქოძემ შექმნა ერთი მთლიანი და განუყოფელი, ამავე დროს, ინდივიდუალური გერონტი ქიქოძისეული სინამდვილე, სინამდვილე აზრებისა და შთაბეჭდილებებისა, განცდებისა და სახეებისა, რომლებიც მის მრავალრიცხოვან ნაწერებში ამოიკითხება*". ამის საფუძველზე ავტორი ასკვნის, რომ გერონტი ქიქოძე ერთსა და იმავე დროს იყო მეცნიერიც, მწერალიც და ეთიკოსიც (ხიდაშელი, 1993: 30).

მაიაკოვსკიზე წერილში ხიდაშელი განიხილავს მის ლექსებს, უფრო სწორად, ცალკეულ სტროფებს მისი ლექსებიდან. ამ განხილვებიდან ნათლად ჩანს, თუ როგორ ღრმად იყო ჩახედული პოეზიაში ხიდაშელი. წერილში ხაზგასმულია მაიაკოვსკის პიროვნების არაორდინალურობასა და მისი პოეზიის სიღრმეზე.

გიორგი შატბერაშვილზე წერილში ხიდაშელი იზიარებს პროფესორ მერი ჭელიძის აზრს იმის თაობაზე, რომ „მკვდრის მზეში" მწერალი დასავლეთის თანამედროვე ფილოსოფიური აზროვნების დონეზე მაღლდება და ექსისტენციალიზმის მთავარი საკითხის – ადამიანის საზრისის გარკვევას უახლოვდება (ხიდაშელი, 1993: 55).

ახალგაზრდა ანა კალანდაძის ერთ შესანიშნავ ლექსს ხიდაშელი ასოციაციით მიჰყავს ვაჟა-ფშაველას შემოქმედებასთან, ტერენტი გრანელთან და გიორგი შატბერაშვილის მოთხრობასთან – „მკვდრის მზე". ხიდაშელი იმედოვნებდა, რომ ქართული ლიტერატურული კრიტიკა შესაბამისად შეაფასებდა ამ ბრწყინვალე ლექსს. მაგრამ მოხდა პირიქით. ლექსს მაშინ ასეთი გამოხმაურება ჰქონდა: *„ფორმალიზმი, უიდეობა და აპოლიტიკურობა ამაზე შორს ვერ წავა"*. იმავე ავტორის მიერ ანა კალანდაძის პოეზია შეფასებულია, როგორც *„სიმთვრალისა და ლოთობის აპოლოგია", „ასეთია ამ ქალის* (! შ. ხ.) *პოეტური ლექსიკა"* (ხიდაშელი, 1993: 252).

რუსეთში მსგავს ვითარებაში ყოფილა ანა ახმატოვა. უპირველესი საბჭოთა იდეოლოგის ანდრეი ჟდანოვის აღნიშვნით, ანა ახმატოვა დაავადებული იყო – პირად, ვიწრო სამყაროში ჩაკეტვის „სენით". აქვე ხიდაშელის მახვილი რეპლიკა: *„ან. ჟდანოვის სიტყვები ეხება „იმ ქალბატონს" (ანა ახმატოვას), ხოლო ჩვენი კრიტიკოსის სიტყვები „ამ ქალბატონს" (ანა კალანდაძეს)"* (ხიდაშელი, 1993: 254).

ასევე დასამახსოვრებელია ხიდაშელის წერილის ფინალი: ანა კალანდაძის ლექსები სწრაფად ვრცელდებოდა, მათ დაბეჭდვამდე, ამიტომ ადგილობრივმა ოფიციოზებმა მას ისეთი ზიანი ვერ მიაყენეს, როგორიც ჩრდილოეთიდან წამოსულ სუსხს შეეფერებოდა. ასე რომ, *„პოეზიის ქვეყანა,* – ხიდაშელის აღნიშვნით, – *ლმობიერი აღმოჩნდა თავისი შესანიშნავი და განუმეორებელი პოეტი ქალის მიმართ"* (ხიდაშელი, 1993: 256).

ხიდაშელს არც წარსულის ქართული ხელოვნება და ლიტერატურა გამორჩენია. ის განიხილავს ორ საპირისპირო მაგალითს. ერთ შემთხვევაში ეს არის მე-10 საუკუნის ჭედური ხელოვნების ძეგლი – „იშხანის ჯვარცმა", ხოლო მეორე შემთხვევაში გიორგი მერჩულეს – „გრიგოლ ხანძთელის ცხორება".

„იშხანის ჯვარცმას", ხიდაშელი დიოფიზიტური მოძღვრების დადებითი როლის პოზიციიდან განიხილავს. მას აინტერესებს ძეგლის იდეური შინაარსი, ჯვარცმული ქრისტეს განცდები, თუ როგორ არის გადმოცემული ეს განცდები ძეგლში. *„ქრისტე აქ გამოსახულია „დახუჭული, ჩაცვივნული თვალებით მახვილ სახეზე, რომელიც სავსეა სევდით, გადატანილი წამებით, დაქანცულობით. თავი მას მსუბუქად აქვს დახრილი, რაც კიდევ უფრო აძლიერებს გადატანილი სევდისა და ტანჯვის შთაბეჭდილებას"* (ხიდაშელი,1988: 95).

იშხანის ჯვარცმისგან სრულიად განსხვავდება მარტვილის ჯვარცმა, სადაც არ არის ტანჯვა, წამების ემოციური გამოხატულება, ხიდაშელი აკეთებს საყურადღებო დასკვნას: აქ საქმე გვაქვს

ჯვარცმის აქტის ორ განსხვავებულ ინტერპრეტაციასთან, *„იშხანის ჯვარცმის მქანდაკებელი ჯვარცმაში ბუნებრივ, ადამიანურ აქტს ხედავს – ქრისტეს სიკვდილს, გადატანილ ფიზიკურ ტკივილებს და სულიერ წამებას (ჩამოვარდნილი ფიგურა, დახუჭული თვალები); მარტვილის ჯვარცმის ოსტატისთვის, პირიქით, ქრისტეს ჯვარცმა გამოხატავს სიკვდილზე გამარჯვების საზეიმო აქტს (მოზეიმე, თავაწეული, თვალგახელილი ფიგურა)“* (**ხიდაშელი**, 1988: 95).

ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ იშხანის ჯვარცმა შესრულებულია 973 წელს, ხოლო მარტვილისა – 1050 წელს. რენესანსული თვალსაზრისით და ჰუმანიზმის პოზიციიდან სწორედ იშხანის ჯვარცმა იმსახურებს ყურადღებას, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ის უფრო ადრეა შექმნილი, ვიდრე მარტვილის ჯვარცმა.

ხიდაშელი მიიჩნევს, რომ იშხანის ჯვარცმის იდეური შინაარსი დროის მოთხოვნილებას შეესაბამება და ადასტურებს მისი შემქმნელის მხრიდან დოგმატური ინტერპრეტაციისგან გადახვევის შესაძლებლობას. აქვე ავტორის მრავლისმეტყველი დასკვნა: *„ხელოვნების ამ ძეგლის შემოქმედისთვის ქრისტე წარმოადგენს არა იმდენად ტრიუმფატორს, რომელმაც სიკვდილით სიკვდილი დათრგუნა და გამარჯვებულია, რამდენადაც ადამიანს, რომელმაც დიდი ადამიანური – ფიზიკური და სულიერი წამება გადაიტანა და მისი წამება დასრულდა ისე, როგორც ადამიანისთვის უნდა დამთავრებულიყო“* (ხიდაშელი,1988: 97).

რაც შეეხება გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას“, აქ ხიდაშელი აღნიშნავს, რომ ნაწარმოების ავტორს, როგორც ამას ივანე ჯავახიშვილი წერდა – „[...] *გულში უღვიოდა ბუნების მშვენიერების ტრფიალება, იგი აღტაცებით შეჰხაროდა ბუნების ლამაზსა და მომხიბლავ სურათებს“* და ეს თხზულება შეიძლება მცირე ჟანრის „საერო“ ნაწარმოებად ჩაითვალოს (ხიდაშელი,1988: 79-80).

მეორე მხრივ კი „გიორგი მერჩულეს თხზულების ერთ-ერთი ძირითადი მსოფლმხედველობრივი იდეა ზეცისა და მიწის დუალიზმი და მათი დაპირისპირებაა“. ამ ორი სამყაროს, ორი სამეფოს საფუძველს ხიდაშელი პლატონის ფილოსოფიაში ხედავს: *„ცნობილია, რომ ამგვარი შეხედულებების ანტიკურ წყაროს პლატონის მოძღვრება შეადგენს და გიორგი მერჩულეს, როგორც შუა საუკუნეების მოაზროვნის დამოკიდებულება ანტიკური მემკვიდრეობისადმი, მონოთეისტური და კრეაციონისტული პოზიციითაა განსაზღვრული“* (ხიდაშელი,1988: 81).

ასეთია ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების შეფასებები ქართველ ფილოსოფოსებთან.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბაგრატიონი, 1980. ბაგრატიონი ანტონ: – წყობილსიტყვაობა. თბილისი.

დოდაშვილი, 2001. დოდაშვილი სოლომონ: – თხზულებანი. თბილისი.

ნუცუბიძე, 1976. ნუცუბიძე შალვა: – რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი. შრომები. ტ. IV. თბილისი.

ნუცუბიძე, 1956. ნუცუბიძე შალვა: – ქართული ფილოსოფიის ისტორია. ტ. I, თბილისი.

ნუცუბიძე, 1958. ნუცუბიძე შალვა: – ქართული ფილოსოფიის ისტორია. ტ. II, თბილისი.

ნუცუბიძე, 1980. ნუცუბიძე შალვა: – შოთა რუსთაველის შემოქმედება. შრომები. ტ. VII, თბილისი.

პეტრე იბერიელი, 1961. პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი): – შრომები. თბილისი.

უზნაძე, 1984. უზნაძე დიმიტრი: – ფილოსოფიური შრომები. თბილისი.

ხიდაშელი, 1994. ხიდაშელი შალვა: – უსათაურო მოგონებანი. თბილისი.

ხიდაშელი, 1993. ხიდაშელი შალვა: – ფიქრები საქართველოზე. თბილისი.

ხიდაშელი, 1988. ხიდაშელი შალვა: – ქართული ფილოსოფიის ისტორია. თბილისი.

მაია ჯაღიაშვილი

როგორ ვასწავლოთ აკაკი წერეთლის „ქებათა ქება“ ღირებულებათა კონტექსტში?

აკაკი წერეთელი თავისი შემოქმედებით სამყაროს (წუთისოფლის) თავისებურ მოდელს ქმნის, რომელშიც განსაზღვრავს ადამიანის დანიშნულებას, არსებობის აზრსა და მიზანს. აკაკის „ქებათა ქების“ სწავლებისა და განხილვისას კარგი იქნება, თუ მასწავლებელი გააქტიურებს ღირებულებათა (ფასეულობათა) კონტექსტს, თავიდანვე დასვამს კითხვებს და გამართავს დისკუსიას:

1. რა ღირებულებები, ფასეულობები აქვს თანამედროვე ადამიანს? (მათ შორის, მასწავლებელს, მოსწავლეს და სხვ.).

2. რომელია მარადიული და წარმავალი ღირებულებები, რა განსხვავებაა მათ შორის?

3. დროთა განმავლობაში იცვლება თუ არა ღირებულებები?

ამ კითხვებზე პასუხისას მოსწავლეებს შეეძლებათ მოიხმონ მაგალითები ქართული და მსოფლიო ლიტერატურიდან, გაიხსენონ კონკრეტულ პერსონაჟთა ქცევა და შექმნან ერთგვარი მოდელები. მაგალითად, როგორც ამას აკეთებს ვაჟა-ფშაველა ლექსში „კაი ყმა“. ამ ლექსის შესახებ უფრო იოლია მსჯელობა შემდეგი კითხვების მიხედვით:

1. რა ღირებულებები აქვს კარგ ყმას (ე.ი. რას აფასებს, რის მიხედვით ცხოვრობს)?

2. პოეტის აზრით, რა ღირებულებებით ცხოვრობენ მისი თანამედროვენი (შეიცვალა თუ არა კარგი ყმის ქცევის მოდელები)?

3. დღეს რომელია ამ ღირებულებათაგან აქტუალური?

თემის გააქტიურებისათვის, კარგი იქნება „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა ღირებულებათა სისტემის შესახებ მსჯელობა. რუსთველი პროლოგსა და „ავთანდილის ანდერძში“ ფორმულებივით გამოკვეთს რაინდის ქცევის „კოდექსს“ და შემდეგ პერსონაჟები პრაქტიკულად ასხამენ ხორცს ყოველივეს, ასევე პოემის ცალკეულ აფორიზმშიც ხატოვნად და ლაკონიურად წარმოჩნდება ის იდეალები, რომლებისკენაც ისწრაფვიან პერსონაჟები, რათა იყვნენ კაცები და ადამიანები (კაცობა გააზრებულია, როგორც გარკვეულ ღირსებათა ქონა, ხოლო ადამიანობა, როგორც ღვთის ხატებისა და მსგავსების ხსოვნა, უკვდავ სულზე ფიქრი, თავისუფალი არჩევანის აუცილებლობა და სხვ.).

აკაკი წერეთლის ლირიკული გმირის პათოსიც ისეთივეა, როგორიც ვაჟას „კაი ყმისა“. აქაც ქებათა ქება შესხმულია იმ ღირსებებისთვის, რომლებიც ადამიანს უნდა გააჩნდეს, რათა სრულყოფილად იცხოვროს. როგორც ილია ურჩევს თავის პერსონაჟს: „ვითა მამა ზეცისა იყავ შენ სრულიო“. („კაცია-ადამიანი?!“)

ვინ არის აკაკის ამ ლექსის ლირიკული გმირი?

არსებობის აზრსა და მიზანზე დაფიქრებული, ინტელექტუალური, წიგნიერი ადამიანი, რომელიც საკუთარი იდეალების ღირებულებების გამოსახატავად მიმართავს ბიბლიურ ალუზიებს, რემინისცენციებს.

ზემოთ ნახსენები მცირე დისკუსიის შემდეგ შეიძლება ასეთი კითხვის დასმა:

რა ანიჭებს ადამიანს ბედნიერებას?

მოსწავლეები იმსჯელებენ, როგორ აღიქვამენ ბედნიერებას, მასწავლებლის დახმარებით გააფართოებენ ბედნიერების მნიშვნელობას. ილაპარაკებენ პირად გამოცდილებაზე, თვითონ მათ რა ანიჭებთ ბედნიერებას. გაიაზრებენ ამ ცნების ერთგვარ მოუხელთებელ ბუნებას, ფარდობითობას. შეიძლება რეიტინგის გაკეთებაც – ცნობილ ლიტერატურულ გმირებსა და თანამედროვეებს რა ანიჭებთ სიხარულს, ბედნიერებას.

აკაკის ლექსში შემოაქვს თრობის კონცეპტი, როგორც ბედნიერების სინონიმისა. თრობა ერთგვარი ექსტაზია, როდესაც ადამიანი ივიწყებს პრობლემებს, ყოველდღიურ წვრილმანებს, ტკივილს და მთელი არსით შეიგრძნობს იმ ნეტარებას, რასაც რაიმეზე ფიქრი, რაღაცის კეთება თუ ვიღაცასთან შეხვედრა ანიჭებს. ამ თვალსაზრისით, შეიძლება მოსწავლეებს წავაკითხოთ შარლ ბოდლერის „თრობა“, რომელშიც გამოკვეთილია, რომ ადამიანმა ყოველდღიურ რუტინას, დროს, წარმავლობას შეიძლება თავი დააღწიოს არა მხოლოდ ღვინით, არამედ პოეზიით, ქველმოქმედებით, სიყვარულით და კიდევ ათასი სხვა რამით (წადილისამებრ):

„სხვებმა სვან ღვინო, მე უღვინოდაც
მთვრალი ვარ პირად ბედნიერებით
და ნეტარებას მიმრავალკეცებს
მიდამო მისის მშვენიერებით“.

აკაკის ლექსში, რა თქმა უნდა, ლირიკული გმირი ისწრაფვის შეიმეცნოს საკუთარი თავი და სამყარო, გაიაზროს არსებობის აზრი და მიზანი. სწორედ ამ ეგზისტენციალურ კონტექსტში გაიაზრება ის ღირებულებები, რომლებსაც პოეტი წარმოაჩენს. ის „თვრება“ რწმენით, ბუნების მშვენიერებითა და სიყვარულით. ამ სამი კონცეპტის დახმარებით ეზიარება სამყაროს ჰარმონიულ ერთიანობას და თავს მის ნაწილად აღიქვამს.

მისთვის სამყარო ერთი დიდი საიდუმლოა, რომელიც ადამიანს გამოცნობისკენ უბიძგებს. პირველ რიგში, ამ საიდუმლოს ის ბუნებაში შეიგრძნობს. ამიტომ კითხვა შეიძლება დაისვას ასე:

ლირიკული გმირი რატომ და როგორ აქებს ბუნებას?

ლირიკული გმირისთვის ბუნებასთან სიახლოვე, მასში ჩაწვდომა არის უმნიშვნელოვანესი ღირებულება (ამ კითხვაზე პასუხისას მასწავლებელი გაახსენებინებს მოსწავლეებს იმ ლექსებსა თუ მოთხრობებს, რომლებშიც ასეთივე გზნებით არის წარმოჩენილი ბუნებასთან სიახლოვისას განცდილი სიამოვნება, ნეტარება (ბარათაშვილი, გრიგოლ ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე, ვაჟა-ფშაველა და სხვ.). მოსწავლეები იმსჯელებენ ლირიკულ გმირთა განწყობილებებზე, ფიქრთა ნაკადებზე, რომლებიც ბუნებასთან ურთიერთობისას უჩნდებათ.

რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, ბარათაშვილის „ჩინარი“ უნდა გაიხსენონ: რომელშიც პოეტი წერს:

„მრწამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო უასაკოთაც და უსულთ შორის,
და უცხოველეს სხვათა ენათა არს მნიშვნელობა მათის საუბრის!“ („ჩინარი“).

აკაკი წერეთელი არა მხოლოდ აქებს ბუნებას, არამედ ცდილობს მკითხველი კიდევ უფრო მნიშვნელოვანს აზიაროს, ეს არის შეგრძნება ღვთისა, რომელმაც სამყარო შექმნა „უთვალავი ფერითა“. ბუნება მისთვის ერთგვარი მედიუმია, რომელიც ღვთაებრივი სამყაროსკენ, საკუთარი სულის სიღრმეებისაკენ გზის გაკვალვაში ეხმარება.

ამგვარად, ლექსში გამოიკვეთება: ბუნება, როგორც თავისთავადი ღირებულება და, თანვე, დიდი საიდუმლოს მატარებელი. სწორედ ბუნება შეაგრძნობინებს ლირიკულ გმირს ღვთის არსებობას. ასეთი თვალსაზრისი პოეტურად გრიგოლ ორბელიანმა გამოთქვა „სადღეგრძელოში“: „ღმერთო, ვინ მისწვდეს შენგან ქმნილს ფერით უთვალავ მშვენებას“. თავის დღიურებში კი „მგზავრობა ჩემი ტფილისიდამ პეტერბურღამდის“ აღწერა, როგორ ჩამოვიდა ეტლიდან დარიალის ხეობის მშვენიერებით მოხიბლული, როგორ გაშალა ხელები და დაიწყო მხურვალე ლოცვა: „აროდეს არ მილოცნიეს ესრედ გულსმოდგინედ და ესრედ მხურვალებით, ვითარ მას წამსა“. ჩემთვის ეს შთამბეჭდავი ეპიზოდია, რომელიც მოწმობს პოეტის გულწრფელობას, როცა ის ამ თემაზე წერს თავის ლექსებში.

აკაკის ლექსში ლირიკული გმირი ამგვარად გამოხატავს თავის აღტაცებას:

„ვიშ, ამ საღამოს, მშვიდსა, საამოს,
ტკბილ ნეტარებით შეზავებულსა!..
რა უცნაურად, მაღლით ციურად
სამოთხისაკენ იტაცებს გულსა,
რომ საიდუმლო, სასიქადულო,
კაცსაც ბუნების შეატყობინოს
და, სადაც ჭკუა სცდება და სტყუა,
იქ მარტო მხოლოდ გულს აგრძნობინოს!“

რა არის ეს საიდუმლო? რა ქმნის ამ ჰარმონიას?

ამ ჰარმონიის წყარო უფალია. ადამიანს ბუნება ასწავლის გზას ღვთისაკენ. ბუნებაც „მახარებელია“ ღვთისა. ლექსში ბიბლიური დავითის 148-ე ფსალმუნის სტრიქონების რემინისცენციებია: „აქებდით მას მზე და მთოვარე, აქებდით მას ყოველნი ვარსკულავნი და ნათელნი; აქებდით მას ცანი ცათანი და წყალნი ზესკნელს ცათანი“.

მოსწავლეებისთვის ცხადი იქნება მარადიული ღირებულება ბუნებისა და ადამიანის ერთიანი ჰარმონიული არსებობის აუცილებლობასა. ე.ი. გამოიკვეთება ლირიკული გმირისთვის ამ ღირებულების მარადიულობა. ბუნებამ მას შეაგრძნობინა ღვთაებრივთან კავშირი:

„საიდუმლოდ ვცნობ,
რომ არის კაცში ღვთისა ხატება!..
რამ ამამაღლა? ვინ მაგრძნობინა
ეს საიდუმლო, ღვთიური ძალა?..
ადამის ცოდვით მკრთალი ბუნება
ძლევამოსილად გარდამიცვალა?!“.

ბიბლიური ალუზია დაეხმარება მოსწავლეებს, გაიხსენონ „შესაქმე“, სამოთხისეული არსებობა, ადამიანის უშუალო კავშირი ღმერთთან, ცოდვით დაცემა და ამ პარადიგმათა საშუალებით უფრო ღრმად გაიაზრონ ლექსის სამყარო.

თემა შეიძლება გაიშალოს და გაიმართოს დისკუსია თანამედროვეობის კონტექსტში, მოსწავლეებმა იმსჯელონ პირად დამოკიდებულებაზე ბუნებასთან. შეიძლება სწორედაც აკაკის ამ ლექსმა უბიძგოს განსხვავებული ფიქრისა და ინტერპრეტაციისაკენ.

აკაკი საგანგებოდ უსადაგებს სათქმელს ამაღლებულ სტილს, ლექსიკას, მხატვრულ სახეებს. ეს მასწავლებელს საშუალებას მისცემს იმაზეც იმსჯელოს, ზოგჯერ თემა როგორ უკარნახებს ავტორს გამოთქმის თავისებურებას, გარკვეული ლექსიკისა თუ ინტონაციის, რიტმის შერჩევას (ამ თვალსაზრისით, კარგი მაგალითია „თორნიკე ერისთავის“ ის ეპიზოდი, როდესაც თორნიკე კათალიკოსს ესაუბრება. ამ თავში პოეტი 8-მარცვლიან რიტმს ცვლის 10-მარცვლიანით, რათა მუსიკალური ფონის შეცვლით მკითხველმა უფრო ღრმად შეიგრძნოს განსასჯელ თემათა განსხვავებულობა).

ლექსის ფონად საღამოა შერჩეული, რომელიც უფრო ამძაფრებს იდუმალების შეგრძნებას. ღამით მთვარისა და ვარსკვლავების სინათლის ნაკადებით გამოიკვეთება ცა, დედამიწა კი ბნელდება, ე.ი. ზეციური უფრო შესამჩნევი ხდება. მძაფრდება სმენაც, თითქოს ლირიკული გმირი ისმენს კოსმიურ მუსიკას. ყოველივე ერთმანეთს ეხმიანება და იქნება ზეციური ქორალი. ორკესტრის ჰარმონიული მრავალხმიანობით იმსჭვალება ყოველივე. ეს მუსიკალურ-ფერწერული პოეტური ხატები ქმნიან ლექსის ენერგეტიკულ ველებს, რომლებიც მკითხველის წარმოსახვას ააქტიურებენ:

„ვარსკვლავნი ირგვლივ აბმენ ფერხულსა.
ძალთა დიდება, შექმნათა ქება,
არს საიდუმლო მათი ვედრება.
ქვეყნით ბუნება ბანს ეუბნება
და ეს ბანია „ქებათა-ქება“.

პოეტი ყურადღებას ამახვილებს „ყვავილთა ენაზე“ და ქმნის მშვენიერ მეტაფორას. ბუნება ცდილობს მასთან დალაპარაკებას იდუმალ ენაზე: „ყვავილთა ენა – არს სუნნელთ ფშვენა,/ საგალობელად აღმა კმეული“. ყვავილი სურნელის ენით ლაპარაკობს. ეს გვახსენებს ბარათაშვილის სტრიქონებს: „და ვით გუნდრუკსა სამადლობელსა, შენდა აღკმევენ სუნნელებასა!“ („შემოღამება მთაწმინდაზედ“).

ამგვარად, ბუნება წარმოჩნდება, როგორც გზა, ხიდი ღვთაებრივისკენ. ეს ღამეული ზეციური შუქი თითქოს განწმენდს ლირიკული გმირის დღისეული საზრუნავების მტვრისაგან დალაქავებულ გულს, გონებას, სულს და ისევ გაახსენებს: „საიდუმლოდ ვცნობ, / რომ არის კაცში ღვთისა ხატება!“

ეს არის „გაღვიძება“, რაღაც ისეთის დანახვა, რასაც დღის სინათლე უშლიდა ხელს. თუ ფიზიკური ძილი და გამოღვიძება ბუნებრივად მონაცვლეობს, სულიერ გამოღვიძებას ადამიანის ძალისხმევა სჭირდება. ასეთი გამოღვიძებული ლირიკული გმირი გამოკვეთს კიდევ ერთ მნიშვნელოვან ღირებულებას, ეს არის ღვთის რწმენა. ამ კონტექსტში შეიძლება აკაკის სხვა ლექსების გახსენებაც (მაგალითად, „სულიკოსი“).

არის თუ არა დღეს ღვთის რწმენა ისეთივე მნიშვნელოვანი ღირებულება, როგორიც იყო აკაკისთვის?

მოსწავლეები ამ თემაზე იმსჯელებენ ზოგადადაც და თავიანთი გამოცდილებითაც (თუ კლასში სხვა რელიგიის აღმსარებელნი ან ათეისტები არიან, ისინიც წარმოაჩენენ თავიანთ თვალსაზრისებს). კარგი იქნება რწმენის სიძნელეზე ილიას „განდეგილის“ ან სხვა ტექსტის მოხმობა (ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებების გახსენება).

ლექსში შემოიჭრება ლირიკული გმირის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ღირებულება – სიყვარული, რომელიც მისთვის რწმენისგან განუყოფელია („ღმერთი სიყვარულია“ (იოანე, 4,8). ლექსის ანალიზის დასრულებისას, როცა ეს ნაწილები ისევ უნდა შეერთდეს მკითხველის გონებაში – ერთგვარი სინთეზი განხორციელდეს – მოსწავლეები გაიაზრებენ ლირიკული გმირისთვის ამ სამივე ღირებულების განუყოფლობას.

როგორ შეიძლება ადამიანმა გამოხატოს ღვთის სიყვარული, ის ხომ გამოუთქმელია, როგორც რუსთველი ამბობს: „ენა დაშვრების, მსმენლისა ყურნიცა დავალდებიან“; ამიტომაც ლექსში შემოიჭრება სოლომონის „ქებათა ქების“ ალუზიები. მასწავლებელმა შეიძლება წაიკითხოს ფრაგმენტები, რომლებშიც სოლომონი ქალის მშვენიერების ხოტბა-დიდებით წარმოაჩენს ღვთის სიყვარულს: „აჰა, მშვენიერი ხარ, სატრფოვ ჩემო, აჰა, მშვენიერი ხარ! მტრედებია შენი თვალები“ (1, 15). პარალელი შეიძლება გაივლოს დავით გურამიშვილის „ზუბოვკასთან“, სუფიზმთანაც (მასწავლებელი თუ ნახავს, რომ მოსწავლეებს ეს თემა დააინტერესებთ).

როგორ განიცდის ლირიკული გმირი სიყვარულს და როგორ გამოხატავს?

„შენ და მხოლოდ შენ, ციურო ნიჭო,
გამოუთქმელო კაცთა ენითა...
შენგან მგოსანი ფრთებშესხმული ვარ
და მონავარდე აღმაფრენითა,
რომ მეც, გედივით, სიკვდილის წინეთ
უცნაურ ჰანგზე ჩავიხმატკბილო... “.

მასწავლებელი გაახსენებს მოსწავლეებს სიყვარულის თემაზე დაწერილ ლექსებს, მათ შორის, უპირველესად, ბარათაშვილისას („რად ჰყვედრი კაცსა“, „არ უკიჟინო სატრფოო“) და ისინი დაინახავენ, როგორ ეხმიანებიან პოეტები ერთმანეთს, როგორ ცდილობენ მსგავსი შეგრძნებების განსხვავებული ფორმით გამოხატვას.

საინტერესო იქნება გედის მეტაფორა-სიმბოლოზე ყურადღების გამახვილებაც, ამ ნატიფ, დახვეწილ, გრაციოზულ ფრინველზე არსებული პოეტური ლეგენდის გააქტიურება (შემდეგ ეს მსჯელობა გალაკტიონის პოეზიის შესწავლისას გამოადგებათ).

იმისთვის, რომ თავისი საყვარელი ქალის პოეტური ხატება შექმნას, მისი მშვენიერება შეაგრძნობინოს მკითხველს, ავტორი მისთვის იდეალური სამი ისტორიული პიროვნების სახეს აცოცხლებს. მისი იდეალები არიან: ნინო, თამარი, ქეთევანი. ამიტომაც შეყვარებულში სწორედ მათ ანარეკლებს დაეძებდა და ხედავდა (კარგი იქნება ისტორიული ექსკურსი სამივე პიროვნების გასახსენებლად):

„როცა ჭაბუკი გამოუცდელი
მას თაყვანს ვცემდი თავდადებულად,
ვხედავდი ნინოს, თამარს, ქეთევანს,
იმაში შენათხზ-შეერთებულად“.

საინტერესო იქნება იმაზე მსჯელობაც, მოსწავლეებს დღეს თუ ჰყავთ იდეალური ისტორიული პიროვნებები, რომელთა მიბაძვაც სურთ. მათი რომელი ქცევა ხიბლავთ და სხვა ამგვარი.

ფინალში პირველი სტრიქონების გამეორებით აქცენტირდება სამების ერთიანობა (ბუნება, ღმერთი, სიყვარული) (რა თქმა უნდა, „სულიკოს“ ეხმიანება – აკაკი ბაქრაძის ინტერპრეტაციით, ამ ლექსშიც ბუნება მიუძღვება ღვთისაკენ, ლირიკული გმირი სწორედ ვარდის, ბულბულის, ვარსკვლავის მშვენიერ სახეებში აღმოაჩენს სიყვარულის ღვთაებრივ კანონსა და ღმერთს).

აკაკის ამ ლექსის ესთეტიკის, ფილოსოფიურ-საღვთისმეტყველო, შინაარსობრივი თუ სხვა ტიპის კონტექსტის ანალიზის გზით მოსწავლეები კარგად გაიაზრებენ, დროთა განმავლობაში რა ღირებულებები რჩება და რა იცვლება. რა არის ის საბაზისო, ფუნდამენტური ფასეულობები, რომლებიც ადამიანის ღირსეულ არსებობას განსაზღვრავენ და განაპირობებენ.

ტყის მითოპოეზია

(უილიამ ფოლკნერის „დათვი“)

ფოლკნერის შემოქმედებაში ადამიანური „გულის ჭიდილის“ პრობლემები მორალურ-ზნეობრივ კონტექსტშია წარმოჩენილი. მწერლისთვის მნიშვნელოვანია იმის ჩვენება, რა ცვლილებებს იწვევს ადამიანში სინდისის ხმის მინავლება, ნებითი თუ უნებლიე წაყრუება იმ შემაშფოთებელი, გამომაფხიზლებელი იმპულსისთვის, რომელიც გულგრილობის ძილს არ გვაცდის და გამაღიზიანებლად რეკავს, როდესაც შეამჩნევს რამეს, რასაც ადამიანის სულის შემღვრევა შეუძლია.

ფოლკნერის „დათვი“ მრავალმხრივ გამორჩეული ნაწარმოებია, მაგრამ მასში მთავარი განგაშის ხმაა, რომლითაც მწერალი ცდილობს, მკითხველი მოახლოებული კატასტროფის შესახებ გააფრთხილოს. მწერლობასა და მეცნიერებაში დიდი ხანია დარისხებულია ზარები, რომლებიც ეკოლოგიურ საფრთხეთა შესახებ გვამცნობს. მიუხედავად ამისა, გრძელდება ბუნების გაჩანაგება-გაპარტახება, მისთვის სულის წართმევა. ხელოვნურად გაშენებული ტყეები და ბაღები დედამიწის ფილტვებს თითქოს შვებას აძლევენ, მაგრამ უმთავრესი მაინც ბუნებრივად არსებული მდიდარი გარემოს შენარჩუნებაა.

მითოპოეტური მოთხრობა „დათვის“ მთავარი გმირი ტყეა და მისი კითხვისას, რა თქმა უნდა, უპირველესად ვაჟა-ფშაველას შემოქმედება გაგვახსენდება, მის პოეზიასა და პროზაში დახატული ბუნების ცოცხალი სულით. ფოლკნერისთვისაც უმნიშვნელოვანესია, გიგანტური ნაბიჯებით წინ მიმავალ მატერიალურ-ტექნიკურ პროგრესს გამოკიდებულმა ადამიანმა არ დაკარგოს კავშირი პირველყოფილ სამყაროსთან. მართალია, ღმერთმა ადამიანის სახით „სამყაროს გვირგვინი“ შექმნა, მაგრამ მასზე ადრე ცა და მიწა, მცენარეები, ფრინველები და ცხოველები გააჩინა. „ზემხედველი“ ადამიანები, რომლებსაც არ დავიწყებიათ ენა, რომელზეც ბუნება ლაპარაკობს, ცდილობენ გახლეჩილ-გაორებული ადამიანური ბუნების გამთლიანებას, იმის ჩვენებას, რომ ბუნებას მოწყვეტილი კაცი საბრალოა და დაღუპვისათვის განწირული.

მოთხრობაში მწერალი იმ ზნეობრივ იდეალებს წარმოაჩენს, რომლებიც ადამიანის ცხოვრებაში გზამკვლევებად უნდა იქცეს. მთავარ პერსონაჟად ის ხატავს გონიერსა და უშიშარ დათვ ბენს, ტყის მეუფეს, რომელიც თავის სამეფოს მონადირეებისაგან იცავს. ის გრძნობს, რომ მთავარი საფრთხე სწორედ ადამიანებისგან მოდის, ამიტომ მედგარ წინააღმდეგობას უწევს, შეტევებს სასტიკი შურისძიებით უპასუხებს და უკან არ იხევს. ადამიანსა და დათვს შორის გამართული ორთაბრძოლების ასპარეზი კი ტყეა, ნაირ-ნაირი ხმითა და იდუმალი სურნელით. მოვლენები თექვსმეტი წლის ბიჭის, აიკის, გადასახედიდან იხატება. ბიჭისთვის დიდებთან ერთად ნადირობა საინტერესო, სახიფათო, გულისშემძვრელი თავგადასავალია, რომელიც ცხოვრებისეულ გამოცდილებას სძენს. მწერალი კი ამ ნადირობას მოზარდის თვითჩაღრმავების იმპულსად აქცევს. დათვ ბენზე ფიქრი, მასთან მეტოქეობა ბიჭს ეგზისტენციალურ საკითხებზე დააფიქრებს, ისეთ კითხვებს გაუჩენს, რომლებზეც პასუხის მოძიებას ერთი სიცოცხლე არ ეყოფა, მაგრამ კითხვების დასმა სიცოცხლეს აზრს სძენს. ბებერი დათვი ბენი თავისი უცნაური ქცევით და მამაცი ძაღლი ლომა მას ბუნების საიდუმლოთა სიღრმეებისკენ მიუძღვებიან და სამყაროს უზოგადესი ჭეშმარიტებისა თუ უნივერსალური, ფუნდამენტური კანონების აღმოჩენისკენ უბიძგებენ: „ბებერი ბენი განსაკუთრებული დათვი იყო (ქომპსონი მას დათვების მეფეს ეძახდა) და ამიტომ მას მეტსახელი კი არ შეერქვა, არამედ ნამდვილი სახელი ეწოდა, ისეთი სახელი, რომელსაც თვით კაციც კი არ იუკადრისებდა“.

ნადირობა მითოლოგიურად გააზრებულია როგორც დემონურ ძალთაგან განწმენდის გზა. ასეა უძველეს მხატვრულ ნაწარმოებებში, მათ შორის „ვეფხისტყაოსანშიც“. ბიჭისთვისაც დათვზე ნადირობა საკუთარ სულზე ნადირობად იქცა. ამიტომაც: „ბიჭს ეგონა, რომ ისინი მიდიოდნენ არა ირმებისა და დათვის მოსაკლავად, არა სანადიროდ, არამედ ყოველწლიური შეხვედრისათვის ბებერ დათვთან, რომლის მოკვლის იმედი სრულიადაც არა ჰქონდათ. ორი კვირის შემდეგ ისინი ხელცარიელნი ბრუნდებოდნენ“. აიკმა დაინახა ის, რასაც დიდების გაუხეშებული სული ვეღარ ხედავდა და აღიქვამდა, რადგან სულისა და გონების თვალი ჰქონდათ დახშული. ბიჭი მონადირეთა საუბრებს გაფაციცებით უგდებდა ყურს და გრძნობდა კანონზომიერებას, რომ ძაღლებს, დათვებს, ირმებს, თითქოს ტყის გონიერი სული მოიხმობდა და ყველას თავის ადგილს მიუჩენდა „მუდმივი და შეუპოვარი შეჯიბრებისთვის (ამ შეჯიბრებათა ურღვევი წესები არც არავის იწყალებდა და არც არავის იბრალებდა), თამაშთა შორის საუკეთესო თამაშისთვის, ყველა სხვა სიცოცხლესთან შეუდარებელი სიცოცხლისთვის“.

ბიჭი მთელი არსებით გრძნობდა და „თითქოს უკვე ჭვრეტდა იმას, რის მიწვდომასაც ჯერ კიდევ ვერ შეძლებდა ვერც გრძნობით, ვერც გონებით: დასაღუპავად განწირულ უღრან ტყეს“. მწერალი გულისტკივილით აღწერს, ადამიანები კიდეებიდან როგორ ღრღნიან ამ ტყეს, განუწყვეტლივ როგორ აქუცმაცებენ მას სახნისებითა და ნაჯახებით, „თითქოს ეშინიათ მისი იმიტომ, რომ იგი უღრანი და უდაბურია“.

მოთხრობის მიხედვით, გასაოცარი ის არის, რომ ამ მხარეში მრავლად არიან ერთმანეთისთვის უცნობი და უსახელო ადამიანები, მაგრამ ბებერი დათვის სახელი ყველამ იცის. მათთვის „ეს დათვი უბრალო მოკვდავ მხეცად კი არ დათარეშობს ტყეში, არამედ გარდასულ დროთაგან მოღწეულ დაუოკებელ ანაქრონიზმად, ძველი ველური ცხოვრების სიმბოლოდ, აპოთეოზად“. ამ ველური ცხოვრების წიაღში შემოჭრილი ადამიანები ზიზღითა და შიშით გაცოფებული იქნევენენ ნაჯახებს და ისე ირევიან, „როგორც ჯუჯები მთვლემარე სპილოს ფეხებთან“. „ბებერი დათვი გამოიყურებოდა დაუძლეველ და მარტოსულ არსებად, უშვილო ქვრივად, უკვდავ მოხუც პრიამოსად, ვინც მეუღლე დაკარგა და ყველა თავის შვილზე მეტხანს იცოცხლა“.

რა თქმა უნდა, ადამიანების გაშმაგებული სურვილი, როგორმე მოიხელთონ დათვი ბენი, ჰერმან მელვილის მობი დიკს ადევნებულ, ლამის ჭკუიდან შეშლილ კაპიტან აქაბს გაგვახსენებს. თეთრი ვეშაპიცა და დათვიც ღრმა და მრავალმნიშვნელოვანი სიმბოლოებია იმ ღვთაებრივისა, რომელსაც ასე სდევნიან თანამედროვე ადამიანები თავიანთი ყოფიდან.

ერთადერთი, ვინც აიკის თანამზრახველია ამ სულიერ თავგადასავალში, ბებერი სემია, რომელმაც იცის, რომ დათვ ბენის სიკვდილთან ერთად დასრულდება რაღაც მისთვისაც და სამყაროსთვისაც ძალიან მნიშვნელოვანი. მართლაც, დათვს მოკლავენ თუ არა, სემიც კვდება: „მერე დათვი სულ წამოდგა უკანა ფეხებზე, კაციც და ქოფაკიც თან აზიდა, შემობრუნდა, ორჯერ თუ სამჯერ ადამიანივით გადადგა ნაბიჯი ტყისაკენ და მიწას დაენარცხა. დათვი არ მოღვენთილა, ქედი არ მოუხრია, დაეცა როგორც მოჭრილი ხე“.

მოთხრობაში მკითხველის მოლოდინის ჰორიზონტი განუწყვეტლივ იძაბება. ბებერი სემი ბიჭს ასწავლიდა, რომ შიში სამარცხვინო კი არა, ბუნებრივი იყო, მაგრამ სიმხდალე არ უნდა გამოეჩინა: „ტყის მხეცი შენ ხელს არ გახლებს, სანამ მას გასაქცევი აქვს ან სანამ არ იგრძნობს, რომ შენ მხდალი ხარ“. თუ პირველი წლებიდან მისი მასწავლებელი იყო სემ ფადერსი, ხოლო ტყის პირის კურდღლები და ციყვები მისი საბავშვო ბაღი, უღრანი ტევრი – ბებერი დათვის სამყოფელი – მის უნივერსიტეტად იქცა. „ხოლო ეს ხვადი დათვი, ოდითგანვე უცოლო და უშვილო, უმემკვიდროდ გადაგებული, მისი ალმა მატერი გახდა“.

განსაკუთრებით დასამახსოვრებელია ეპიზოდი, როდესაც ბიჭი მარტო წავიდა ტყეში, კომპასი და საათიც გზაში დატოვა, გზა დაებნა, მაგრამ, რაც ყველაზე გასაოცარია, გზის გაკვლევასა და გადარჩენაში მოთვალთვალე დათვი დაეხმარა. ბიჭმა მიწაზე ვიღაცის მიერ საგანგებოდ აღბეჭდილი კვალი, ორკაპა ანაბეჭდები შენიშნა. წყნარად, დინჯად გაჰყვა ამ „თითქოს ციდან ჩამოცვენილ ღრმულებს, სანამ ისინი არ წაიშალა და სამუდამოდ არ დაიკარგა მათი ნასახი. მიდიოდა დაუღლელად, უყოყმანოდ და უშფოთველად, ოდნავ სული ეხუთებოდა, გული მაგრად უცემდა, თითქოს ჩაქუჩივით ურტყამდა. ბიჭი უეცრად პატარა მდელოზე გავიდა. უღრანი ტყე უხმაუროდ დაიძრა მისკენ და შექუჩდა, ხეებად და ბუჩქებად ჩამოყალიბდა. მზის სხივებზე საათი და კომპასი აბრჭყვიალდა. ამ დროს ბიჭმა დაინახა დათვი. არა, დათვი არსაიდან არ მოსულა, იგი იქ იყო და ახლა, შუადღის პაპანაქებაში, მზის ლაქებში გამოჩნდა უძრავი, გამოჩნდა არა საოცრად უზარმაზარი, როგორიც ესიზმრებოდა, არამედ ისეთი, როგორიც ცხადად ესახებოდა, შესაძლოა, რამდენადმე უფრო დიდიც (სიდიდეს საერთოდ ამცირებდა აჭრელებული ჩრდილოვანი ფონი). დათვი იდგა და შეჰყურებდა ბიჭს, მერე გაინძრა, აუჩქარებლად გაემართა მდელოსკენ“. ამ პასაჟის წაკითხვის შემდეგ ძლიერდება განცდა, რომ შესაძლებელია, დათვის მრავალმნიშვნელოვან სიმბოლოში ღვთის სახეც დავინახოთ, რომელიც ეხმარება ადამიანებს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მას გამუდმებით დევნიან და ჯვარს აცვამენ.

მოთხრობაში ფოლკნერის საყვარელი თემა ტყის ფონურ სიმღერასავით გუგუნებს, ყრუდ, მაგრამ გასაგონად. სად იკარგება დრო? თუ მხოლოდ იმისთვის უჩინარდება, რომ გაგვეთამაშოს, მეხსიერებაში მუდმივად ამოყვინთოს და შეგვახსენოს თავისი მარადიულობა? ბიჭი გრძნობს, რომ ყველაფერი ისე გაქრება, როგორც სემის საყვარელი შაქარყინული. მწერლის საფიქრალი ფილოსოფიურ სიღრმეს იძენს: „ბიჭი უკან გამობრუნებასაც ვერ მოასწრებს, რომ ყოველივე ეს გაქრება, არა, კი არ გაქრება, გარდაიქმნება იმად, რასაც აითვისებს აურაცხელი სიცოცხლე, სიცოცხლე, რომელმაც ჯადოსნური ბილიკებით დაქარგა ამ უმზეო ადგილების ბნელი ნიადაგი. ეს აურაცხელი სიცოცხლე, განაბული, ჩასაფრებული, ყოველი ტოტიდან და ყოველი ფოთლიდან უთვალთვალებს, როგორ ბრუნდება ბიჭი უკან, როგორ ტოვებს გორაკს“.

ბიჭი და მასთან ერთად მკითხველიც გრძნობს სამყაროს კანონზომიერებას, რომლის მიხედვითაც, სიკვდილი არ არსებობს – ის გარდაქმნა და გარდაცვალებაა, გამუდმებული მეტამორფოზაა ყოველივესი, რაც სუნთქავს: „აქ აკლდამა არ არის, არც სემი, არც ლომა. მკვდრები არ არიან, ისინი უძრავად კი არ წვანან მიწის ქვეშ, არამედ თავისუფლად მოძრაობენ მიწაში და მიწასთან ერთად. ისინი უთვალავ დანაწევრებულ, მაგრამ ცოცხალ ნაწილაკად შედიან ფოთლებსა და ტოტებში, იმყოფებიან ჰაერსა და მზეში, წვიმასა და ცვარში, წყვდიადში, რკოში, მუხაში, ფოთოლში და ისევ რკოში, დაისში, განთიადში, კვლავ დაისსა და ისევ განთიადში; უკვდავნი და მთლიანნი თავიანთ სიმრავლესა და დანაწევრებულობაში; ასევეა ბებერი ბენიც. ისინი დაუბრუნებენ მას თათს, უეჭველად დაუბრუნებენ და კვლავ გამოიწვევენ ორთაბრძოლაში“.

მოთხრობის მითოპოეტურ სივრცეს გამოარღვევს ბუნების ხმები და საგაზაფხულო განახლების იმედი მკითხველსაც გადაედება, რომელიც გრძნობს, მწერლის ერთგვარი ნიღაბი – დათვი, ამხელს დაუმორჩილებელი ადამიანის მოუთოკავ ენერგიას, სიცოცხლის წყურვილსა და თავისუფლებისკენ სწრაფვას. ეს თავისუფლება კი სამყაროსთან, ბუნებასთან განუყოფელ ერთიანობაშია.

ᲨᲝᲠᲔᲜᲐ ᲛᲐᲮᲐᲭᲐᲫᲔ

ᲤᲠᲐᲒᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲒᲔᲜᲠᲘ ᲓᲝᲚᲘᲫᲘᲡ „ᲛᲔᲮᲡᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲠᲐᲓᲘᲝᲓᲐᲜ“

„იტყვიან, ჩვენ დროს პოეტობა როგორ ძნელოდა,
იტყვიან როგორ დავმაჭრდით და როგორ ვღვინობდით“ –

ეს სტრიქონები 21-ე საუკუნის მეტამოდერნისტული ქართული პოეზიის ერთ-ერთ ნიჭიერ და კოლორიტულ წარმომადგენელს – გენრი დოლიძეს ეკუთვნის და ის ახალთაობელი პოეტების 2010 წელს დაბეჭდილი პირველი საერთო კრებულიდან „ა, ბ, გ, დ“ არის მოტანილი. შემთხვევითი არაა, რომ მასში მრავლადაა მიძღვნითი ლექსები, პოეტების ახალი თაობა, საუკუნის წინანდელი წინაპრების, ცისფერყანწელების მსგავსად, რუსთველური მოყვრობის ფიცითაც არის შეკრული. ამის მაჩვენებელია მათი შემოქმედებაცა და მეგობრობაც, რომელმაც წლებს გაუძლო და დღემდე შეუბღალავად მოვიდა. მე თვალს ვადევნებ 2010 წლიდან დღემდე ამ ნიჭიერი ახალგაზრდების „დაღვინების“ პროცესს და უნდა გითხრათ, რომ შედეგები, მართლაც, შესანიშნავია: მათ მოიპოვეს თავიანთი ადგილი თანამედროვე ქართულ პოეზიაში, შეძლეს ახალი, მეტამოდერნისტული ეპოქის შესატყვისი პოეტური სიტყვის თქმა.

„და დაიწყება“ – ასე ჰქვია გენრი დოლიძის როი აბუსელიძისადმი მიძღვნილ ლექსს და მასში ნათლად ჩანს პოსტპოსტმოდერნისტული ხანის შემოქმედის პოზიცია, მისი დამოკიდებულება პოეზიისადმი, წინარე ეპოქის საყოველთაო ნიჰილიზმისა და ირონიის, გულგრილობის, ურწმუნობისაგან დისტანცირება. გული, ემოცია, ტკივილი – უკვე ნამდვილი პოეზიის თანამდევია, რომელიც სწორედ ამ გულწრფელი გრძნობების მეშვეობით დროს გაუძლებს:

„მერე ჩვენს ცრემლსაც გამოიწერს ვინმე წიგნებით,
როცა თვით უფალს ცაში მეკვლედ დავებედებით,
იქნება წვიმა, ბათუმი და ჩვენ არ ვიქნებით,
იქნება ლექსი, ტკივილი და ფოსტის მტრედები“.
(გენრი დოლიძე, „და დაიწყება“, „ა, ბ, გ, დ“, 2010:დტ).

[შემდგომში ციტატებს მოვიყვანთ გენრი დოლიძის კრებულებიდან, მივუთითებთ მხოლოდ გამოცემის წელს და გვერდს].

რთულია ხელოვანის ხვედრი, ის ხომ „გულის სისხლს მოითხოვს საფასად“, ამიტომაც ხშირად გაჭრილი ლექსიდან სისხლივით წვეთავს გულისთქმა *(„ნაავდრალდი“, 2010:დქ)* და პოეტი ბოლო ამოსუნთქვასაც სტრიქონს ატანს:

„ქარმა, ჩემი სუნთქვის მოცულობის,
ლექსზე ბოლო ტოტი მიმაღლიტა“.
(„ვხტები სვეტიცხოვლის სიმაღლიდან...“, 2022:)

გენრი დოლიძისთვის „ლექსი? ლექსი ფურცელზე მოქნეული ბადეა, თევზი – სტროფის ბადეში მოფართხალე ბწკარები...“ *(„თურმე შავ ზღვას წუხელის ...“, 2022:),* მაგრამ ზოგჯერ ბადეს ისეთი თევზი არ ამოჰყვება, როგორსაც ელი, ეს კი შემოქმედებითი კრიზისის მაუწყებელია პოეტისთვის:

„ხელში უჭირავს ამინდს კარტებად,
ლექსები – ჩემი ცხოვრების საჭე,
ზოგჯერ სათქმელი მაშინ მთავრდება,
როცა უბრალოდ სათაურს დაწერ“.
(„ზოგჯერ...“, 2022)

მუზის მოლოდინი საკმაოდ დამღლელია, უფლის მადლი პოეზიის სახით ხშირად ისე არ მოდის, როგორც შემოქმედს სურს, ამიტომაც ასეთი მტანჯველია მისი ძებნის პროცესი, ასე მძიმეა პოეზიის ჯვრის ტარება, ასეთი მოუთმენლობა იპყრობს პოეტის სულს, რომელიც ელოდება ლექსების მატარებელს თავისი ლექსების სადგურში:

„ღმერთო ჩემო, ამ სადგურზე ოცი წელი გელოდი!
ასე არის – თუ უფალი ლექსის შხეფებს გაპკურებს –
ვერ ასცდები მოლოდინებს,
თანამგზავრებს,
სადგურებს...
მომავლიდან წარსულისკენ წლები ერთურთს ცვლიან და
შორს მივყავარ, შენთან ერთად, პოეზიის ლიანდაგს!...“
(„ლექსის მატარებელი“, 2009:98)

ყველა ჭეშმარიტი ხელოვანი ორ საწყისს აერთიანებს: ღვთაებრივსა და მიწიერს, ამიტომაც არის პოეზია მათი ჭიდილი, ჯვარცმის ტოლფასი ტანჯვით იბადება თითოეული სტრიქონი:

„სიმწრის ცრემლივით ყლაპავ ტაეპებს,
გაჭრილი ციდან ჟონავს მუსიკა...
დაეძებ შენში რაღაც ღვთაებრივ
ექოს და მაინც კაცის პულსი გაქვს...“
(„ხალხმა რა იცის?“, 2022)

ნამდვილი შემოქმედი მარტოსულია, მისი ერთადერთი უღალატო მტერიცა და მეგობარიც მისი „მეა“, ვისაც უშიშრად ანდობს თავის წუხილსა და სიხარულს, ფიქრსა და განცდას, ვინც „ტკივილებს

მარტოობის ენაზე მითარგმნი და ცხოვრებას მიმარტივებ“ („მშვიდობით, თავო ჩემო...“), მაგრამ ეს გამუდმებული დიალოგი, ხშირად კამათიც საკუთარ თავთან დამქანცველია, განსაკუთრებით, როცა გრძნობს: „დუმს პოეზია ჩემი ბედის ჩაწყვეტილ სიმში“ *(„სიჩუმე შტორმის წინ“, 2022:),* ამიტომ:

„დამღალე, გადავწყვიტე,
შევახტე მატარებელს, ბაქანზე მიგატოვო,
ან სადმე, მარტოსულთა პოეტთა პანსიონატს მიგაბარო,
მშვიდობით, თავო ჩემო, შენ ჩემო ერთადერთო მტერო და
მეგობარო“.

(„მშვიდობით, თავო ჩემო...“, 2022:)

უღალატო მხოლოდ უფალია, თუმცა „ნა(პოეტარ)პოლიტიკარი“ ხელოვანი ვერც მასში პოულობს სულის სიმშვიდეს, რადგან ვერც მისი ნათელი გზებით სიარული შეძლო ბოლომდე, თავს ისე გრძნობს, როგორც ცოდვის დოქში დამწყვდეული ჯინი:

„შენ ისევ შენ ხარ, მე კი – მე – არ ვარ, არა!
რა ვქნა, მწარეა მუდამ სიმართლე?!
ბედმა ნათელი გზებით მატარა,
და ახლა სადღაც ბნელში მიმათრევს...“

(„ცაო“, 2010:დგ)

ერთ დროს ტაძრის სტიქაროსანი ახალგაზრდა პოეტი „მამაო ჩვენოს“ მაგივრად „ფამილარულ ლოცვასაც“ ჰკადრებს უზენაესს, რომელსაც ადრე, ბავშვური გულუბრყვილობით, უამრავ წვრილმანზე აწუხებდა, ახლა კი მხოლოდ „ერთ ნერვზე დაკიდული სულის“ გადარჩენასღა ევედრება; მას ხშირად ზეცისთვის თვალის გასწორებაც უჭირს. მსგავსი გაორება, მერყეობა რწმენასა და ურწმუნობას, ეჭვსა და გულწრფელობას შორის სწორედ მეტამოდერნისტული ეპოქის გამორჩეული ნიშანია და შემთხვევითი არაა, რომ გენრი დოლიძის პოეზიაში ასეთი განწყობა გვხვდება.

განსაკუთრებით შთამბეჭდავი და ექსპრესიულია გენრი დოლიძის შემოქმედების ის ნაწილი, რომელიც წარსულის მოგონებებს, ნოსტალგიურ გრძნობებს აცოცხლებს. თბილი იუმორი, სევდიანი განწყობა, ფერადოვან მხატვრულ სახეთა მიმზიდველი მრავალფეროვნება, გულწრფელი, ხალასი გრძნობები ამ ციკლის ლექსებს მკითხველისათვის გამორჩეულად ახლობელს ხდის. აქ ყველაფერია: დაწყებული ბავშვური პირველი სიყვარულის ტკბილ-მწარე მოგონებიდან – „ღიმილ-ტირილი ერთად მიპყრობს, რომ მაგონდები“, სათაყვანო არსების ბაფთებიან გოგონასთან შეხვედრით გაცოცხლებული „საოცნებო, ტკბილი წუთები“, რომელიც „შენს პირველკლასელ შვილს ებნია თმებზე ბაფთებად...“ *(„ბაფთები“, 2009:85)* და „ვერმოსწრებული წინაპრით“ დამთავრებული, რომლის წინაშეც მისი შთამომავალი მოკრძალებით ხრის თავს და სწორედ მას აბარებს ანგარიშს:

„და კედლიდან გადმომზირალ ვერმოსწრებულ წინაპარს
ვეუბნები: – აქ ვარ, ბაბუ! მოვედი და აქ ვარ!“

(„ბაბუ“, 2022:)

ფესვებთან ეს კავშირი, თაობათა შორის სულიერი ჯაჭვის უწყვეტობა მნიშვნელოვანი შტრიხია მეტამოდერნისტული ეპოქის პოეზიის დასახასიათებლად, ეს აღარ არის უკვე წარსულისადმი

ირონიულ-ნიჰილისტურად განწყობილი ახალგაზრდის პოზა, პირიქით, იგრძნობა უდიდესი პასუხისმგებლობა წინაპრის სახელისა და საქმის წინაშე:

„მზე ჰკიდია ზღვების გაღმა გაღვივებულ ბუხართან,
როგორც ახლადგამომცხვარი ცხელი კეცის მჭადი...
ძველ ნაბადზე წაწოლილი წარსულებზე ვწუხვარ და
მთვარე, როგორც წველა ყველი, მყინვარწვერში ჩადის“.
(„ბაბუ“, 2022:)

მოგონებათა კრიალოსანს ემატება ბაბუდას ნამზითვი სკივრის საგანძურის ჩამონათვალი *(„ანტიპანდორა“ 2022:),* რომელიც წარსულს ჩაბარდა და ძველი შელოცვების წიგნი უცხო სიტყვათა რვეულმა ჩაანაცვლა. გენრი დოლიძე ახერხებს მკითხველს დაუხატოს ქართველი ბებოს კოლორიტული პორტრეტი: მუდამ მოფუსფუსე, კერიის თბილი ღადარისა და ტრადიციების შემნახველი, შვილიშვილის თითოეული წარმატებული ნაბიჯით ათასმაგად გაამაყებული, უანგაროდ სიყვარულიანი, ტკბილი და სიკეთით სავსე, რომელიც მზადაა, ყველას დარდი და ტკივილი თავად იტვირთოს, ბებოსი, რომელიც ისევე მშვიდად გადადის იმქვეყნიურ სამყაროში, როგორც ეს წუთისოფელი გაატარა:

„როდესაც
ჭირხლი ჩამოიფრქვა მინდორზე შაქრად,
და ვარსკვლავები ამოცვივდნენ სოფლის ჭებიდან,
დილის თბილ სიოს შეერია საკმევლის და მისი სულის სპეტაკი ჭავლი,
სკივრის სიმძიმით ტანმოხრილი მიდიოდა და თან მიჰქონდა,
ოჯახის, ქვეყნის, სხვისი, ჩემი და,
ჩემი ვერ მოსწრებული შვილების ჯავრი“.

ლექსში იქმნება იდუმალი ატმოსფერო სიძველისა, მკითხველამდე მოდის:

„წვიმის გემო და რეჰანის ფერი,
დარიჩინი და სუნელები,
ათასი ბალახის და მიწის სურნელება“.

გურული დიალექტით განსაკუთრებული ელფერით ცოცხლდება:

„უძილო ღამეებში გახვეული ძველი ამბები,
ჭაში ჩაცვენილი სიზმრის ახსნები“.

სამწუხაროდ, ასეთი – ტრადიციების, კერიის შემნახველი ბებია-ბაბუები სულ უფრო ნაკლებად რჩებიან ქართულ სოფლებში: ბებერ ოდას უბეს ვეღარავინ უთბობს... დაცარიელებული სოფლების, ღვთის ანაბარად მიტოვებული სახლების პრობლემა 21-ე საუკუნეში კიდევ უფრო აქტუალური გახდა, ამიტომაც ბევრისმთქმელია გენრი დოლიძის ლექსის მიძღვნა: „ვუძღვნი სოფლად აქა-იქ შემორჩენილ უკანასკნელ მოჰიკანებს“ *(„მეხსიერების რადიო“, 2022:).* დიდი სევდითა და წარსულის

მონატრებითაა სავსე ამ ლექსის თითოეული სტრიქონი, თუმცა ეს განწყობა განზავებულია გურული იუმორითა და კილოთი შეფერილი სოფლის მცხოვრებთა დიალოგებით:

„აქ იდგა ხე და ბებია მანდილს უქნევდა აგვისტოს...
ბოლოფოთლიან ტოტს ჰგავდა, სიმებდაწყვეტილ საკრავს.
სიბერესავით მძიმე და ბავშვობასავით მსუბუქი
ხელისგულივით ნაცნობი გზები ამბებად ყოფენ...
სამი „მობრძანდის“ იმედად,
ორი მოსწავლის იმედად,
თავისი თავის იმედად,
მარტოდ დარჩენილ სოფელს“.

ასე უსმენს დღემდე პოეტი „იმ დროის მეხსიერების რადიოს, ბავშვობის ფირზე აღბეჭდილ სოფლის ხმებსა და ფრაზებს“. ისინი სულში ღრმად გვწვდება და მძიმე საფიქრალსაც გვიტოვებს.

გენრი დოლიძის პოეზიაში გვხვდება პურის რიგში ბავშვობადაკარგულ 80-იანების და 90-იანების თაობათა მოგონებები, ასი გრამი პური და ბავშვობა რომ ერგოთ წილად, სამშობლოს დაყოფა-დანაწილების ტრაგედიის მომსწრენი რომ გახდნენ:

„ვთამაშობდით ქვიშაში და ბავშვობა წაგვგლიჯეს,
(ეგებ ვინმე თუ არა ქარი მაინც მომიტანს)...
ვიჯექით და ვუთვლიდით საქართველოს ნაბიჯებს.
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს – გაქცეულს აფხაზეთის ომიდან“.
(„ათას ცხრაას ოთხმოც და“, 2022:)

გენრი დოლიძემ შეძლო ამ ლექსში ოსტატურად გადმოეცა 90-იანების ტრაგედია როგორც პიროვნებების, ისე – ქვეყნის მასშტაბით; ტრაგედია, რომელმაც უდიდესი დაღი დაასვა თითოეული ქართველის სულს და კოშმარულ სიზმრად დღემდე მოჰყვება ჩვენს ქვეყანას. მხოლოდ მეოცნებე პოეტი არ იტეხს გულს და კვლავ და კვლავ იმედიანი სიტყვებით ამხნევებს სამშობლოს:

„მომენატრა ირმის ჩლიქთა ხორუმი და
ბულბულების იავნანა ქართული,
ბათუმისკენ გამოვცურავ სოხუმიდან
გამარჯვების სიმღერებში გართული!“
(„მომენატრა“, 2010:გჯ)

გენრი დოლიძემ კარგად იცის, რამ მიიყვანა უფსკრულამდე საქართველო. ის ახალგაზრდული მაქსიმალიზმით, ფხიზელი კრიტიკული თვალით, მამულიშვილური პირუთვნელობით საუბრობს ჩვენი ხალხის დაუძლეველ მანკზე – ურთიერთშუღლზე, შეუთავსებელ თვისებათა: გმირობისა და ლაჩრობის, ერთგულებისა და ღალატის, მაღალზნეობრივისა და მდაბალის – ამ ბინარულ ოპოზიციათა თანაარსებობაზე ქართულ ხასიათში:

„ცალი ხელით ზარებს ვრეკდით, იალბუზი დავძარით,
მეორეთი დავანგრიეთ სამრეკლოც და ტაძარიც...
მეორდება ისტორია თავიდან და ბოლოდან
ალბათ ჯობდა თავიდანვე ცალი ხელი გვქონოდა“.
(„ერთი ხელით ცოტნე ვზარდეთ“, 2009:87)

ამიტომაც დარჩა დღემდე სისხლმდინარე ჭრილობად საქართველოს სხეულზე აფხაზეთი, გენრი დოლიძეც მოუწოდებს თანამოკალმეთ:

„სისხლად ჩვენი ლექსები გადავუსხათ აფსაროსს,
რომ მოუჭრას მოკლე გზით გონიოსთან მედეას...“
(„ორი კოლხური იარა“, 2022)

როგორც ვხედავთ, გენრი დოლიძის პოეზიაში მძლავრად იგრძნობა ის ფესვები, საიდანაც ამოზრდილია მისი პოეზია: ამაზე მიგვანიშნებს ილიასადმი მიძღვნილი ლექსიც, რომელშიც პოეტი დიდ წინაპარს ათქმევინებს:

„და რომ მოვკვდები, ქართველთა გულში
მომავლის რწმენად დავიბადები!...
დახურეთ კარი, დახურეთ კარი! –
ღმერთს სამშობლოზე ვესაუბრები...“
(„დახურეთ ზეცა“, 2020:დყ)

უფალთან სამშობლოზე საუბარი ქართველ პოეტს მემკვიდრეობით ერგო დიდი წინაპრებისაგან, ამიტომაც ისმის მისი სტრიქონები საქართველოსთვის აღვლენილ ლოცვად, ამიტომაც ეჩვენება, რომ „სადღაც, ჩვენში ყვირის დავითი...“ *(„ნაავდრალი“, 2022),* ამიტომაც ქვეყნის ყველა ჭრილობას საკუთარივით განიცდის და თვალნათლივ ხედავს: „შორს, ზღვის გაღმა, აფხაზეთში, ღვთისმშობელი ტიროდა“ *(„ანგელოზის ცრემლები“, 2009:93).*

პოეტის „მეამბოხე, ფეთქვა-ნებადართული“ გულიც მხოლოდ სამშობლოსთვის ძგერს:

„ჩემს გულს ჩემზე გაცილებით ტრაგიკული ბედი აქვს,
ჩემს გულს ჩემზე გაცილებით ვაჟკაცური ბედი აქვს,
ჩემს გულს ჩემზე გაცილებით საამაყო ბედი აქვს
ჩემი ბედი რთულია და მისი უფრო ქა-რთული...“
(„ქა-რთული“, 2022)

ეს „ქა-რთული“ გულის ფეთქვა მკაფიოდ ისმის გენრი დოლიძის ლექსებში, თუნდაც იმათში – ბათუმსა და მისი წვიმების მომღერალ ვახტანგ ღლონტს რომ უძღვნა:

„ბათუმი არის წვიმის აფიშა,
და ღმერთის გულის ფეთქვა, მკაფიო
ლექსამდე სველი ვზივარ კაფეში,
ფინჯანი ყავის ორთქლთან ვკაფიობ...“
(„სევდიანი სალაღობო ბათუმს“, 2022:)

მსუბუქი შტრიხებით და მომხიბლავად იხატება ბათუმის უმშვენიერესი პეიზაჟი, „მზის სიმფონია, ზღვა“, ფერადი ქალაქი, რომელიც „მზეს შემოიდებს ლომის თათივით და ზღვაში სიზმრებს ააციმციმებს“. პოეტს არც ის ავიწყდება, რომ ბათუმი აქ მცხოვრებთა საერთო სახელია, მათი ერთიანი სიხარულებისა და ტკივილების ნაწილია, მათი წარსული, აწმყო და მომავალია:

„მე მქვია ბათუმი,
შენ გქვია ბათუმი,
ჩვენ გვქვია ბათუმი,
ჩვენ ერთად ჩვენივე ქალაქის აწმყო ვართ“.
(„მე მქვია ბათუმი“ , 2022:)

მეტამოდერნისტული პოეზიის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი ე. წ. „ახალი, პრაგმატული რომანტიზმია“. გენრი დოლიძის პოეზიის გამორჩეულ ციკლს სწორედ ქალისა და სიყვარულისადმი მიძღვნილი ლექსები ქმნის. მისი გრძნობები მიწიერ-ვნებიანი, ახალგაზრდული ჟინითა და ცეცხლითაა სავსე, ზოგჯერ თვითირონიული ინტონაციებითაცაა გაზავებული და ეს განსაკუთრებულ ხიბლს სძენს მათ *(„ერთი ქალი შემიყვარდა“, 2010:დე):*

„ზღვამ მზეს მობანა პირი – ვნებიანს
და ცეცხლს უკიდებს შენს ბავშვურ თვალებს,
ამ ქვეყნად რაც კი ოცნებებია,
დაგიკრეფ, მერე მიდი და თვალე...“
(„ზღვამ მზეს მობანა პირი ვნებიანს“, 2022:)

გენრი დოლიძე თავის ემოციებს, ფიქრებს გამოხატავს ნატიფად და უშუალოდ, მისი სატრფიალო ლირიკა თავისუფალია ყოველგვარი სანტიმენტალურობისა და პათეტიკურობისაგან. მას აქვს უნარი, თავისი განწყობა გადასდოს მკითხველს. იუმორით, ხალისით, ენერგიითა და მაჟორული მელოდიებით სავსეა მისი ლექსები:

„კაცი – გაცრეცილი ლექსის რვეულია,
ქალი – ამ ლექსებზე ცეცხლის წაკიდება“.
(„ქალი – მოვარდნილი ღვარი მდინარიდან“, 2010:დჩ)

გენრი დოლიძე თამამად ლაპარაკობს მიწიერ გრძნობებზე, ვნებაზე, იმ თრთოლვასა და ფორიაქზე – ქალის ჭეშმარიტ სიყვარულს რომ თან ახლავს და მისი სატრფოსთან „შეთამამამებაც“ მამაკაცური ჟინითაა სავსე, მაგრამ ვულგარულობაში არასდროს გადადის:

„ტალღასავით ეს ლექსიც გაგწუწავს და ჩაივლის,
როცა გულზე პეპლებად ატმის რტოებს დაისვამ...
მერე მოვალ, სველ ტანზე ჩამოგიკრებ პეპლებს და...
მერე მზესაც დავიჭერთ ზღვაში მთვარის კაუჭით“.
(„პეპლებს“, 2022:)

საოცრად გულწრფელია პოეტი, მას უყვარს მგზნებარედ, თავდავიწყებით და მისი ხმა ჟინითა და ყმაწვილური ტემპერამენტითაა გამორჩეული, ყველა გრძნობა გულის გავლით მიდის, მისი ლექსებიც სულიდან ამოხეულ ფურცლებზეა შექმნილი, თუმცა ზოგჯერ ამითაც ვერ აჯერებს სატრფოს:

„ძირს ვაზნებივით ყრია კვირტები, მარტის დაცლილი ჯერის,
სულიდან ლექსი ამოგიხიე, მაინც მიყურებ ყალბად...
ამბობ, რომ ლექსის დაიჯერე და ჩემი ნაკლებად გჯერა...
(ეს იგივეა, ლოცულობდე და ღმერთის არ გწამდეს, ალბათ...)“

(„ძირს ვაზნებივით ყრია კვირტები“, 2022:)

როგორც ვხედავთ, გენრი დოლიძის შემოქმედება ერთ-ერთი საინტერესო ფურცელია ქართული მეტამოდერნისტული პოეზისაა. მასში თბილი, რბილი კონტურებით იხატება 21-ე საუკუნის ახალგაზრდის სულიერი სამყარო, მისი ეჭვები და ტკივილები, მისი ძიებები ჭეშმარიტებისა, მერყეობა ღმერთსა და უღმერთო სამყაროს შორის, ცხოვრების პრაგმატულ საჭიროებებსა და იდეალებს შორის. თავის ემოციურ-ინტელექტუალურ განსჯას კი გენრი დოლიძე გადმოგვცემს არადეკლარაციული თხრობითი ინტონაციებით, სასაუბრო მეტყველებით, ყოფითი დეტალებით, აღწერებით, რაც განსაკუთრებით ახლობელს ხდის მის ლექსებს და იზიდავს მკითხველს. მას აქვს უნარი, კუთხური კოლორიტის შესაქმნელად ოსტატურად გამოიყენოს დიალექტური ფორმები, სიტყვის მოქცევა, ინტონაცია. მის ლექსებს, ასევე, ახასიათებს პოეტური ფრაზის მოქნილობა, სიტყვის ეფექტურობა, რითმის დინამიკურობა.

ორიგინალური და ნაციონალური ელფერითაა გამორჩეული მის მიერ შექმნილი ტროპებიც: შედარებები, მეტაფორები, ეპითეტები მეტ გამომსახველობას ანიჭებენ მის ფრაზას: „და ექაჩება ბუხრის პაპიროსს ჩხავერით მთვრალი ღამის გურია...“; „გურიის დილამ, როგორც ახალბედა დიაკონმა, თეთრი ნისლები უხვად უსაკმევლა ხეობებს...“; „და კვამლი როგორც „დაპწნილი ყველი“ ნისლების რძისგან ამოჰყავს დილას..“; „განთიადმა ღრუბელი ცივი ოფლის წვეთებზე მოისვა და პერანგი გადაიცვა ხმაურის...“; „მიედგა ქალაქს ზღვით სავსე კათხა ნაპირთან ქაფით დასვროდა ტუჩი“...

გენრი დოლიძის პოეზია ძალიან ახლობელია მისი თაობის მკითხველისთვის, რადგან მის ლექსებში ზუსტადაა დაჭერილი და გადმოცემული მათი განწყობა, შიშებიცა და მოლოდინებიც, ახალგაზრდული გიჟმაჟი, მზიანი გრძნობები და, იმავდროულად, ალაგ-ალაგ გაელვებული სევდიან-უიმედო ემოციები. რაც მთავარია, გენრი დოლიძის პოეზიაში მოძებნილია ამ შავნაღვლიანობიდან განთავისუფლების გზა: ესაა წინაპრებთან გაწყვეტილი სულიერი კავშირის აღდგენა, მათ ნათელ, სიყვარულიან, ქართულ ნაკვალევში ჩადგომა და ახალი გზებით მომავლისაკენ სვლა. მინდა ვუსურვო ამ გზაზე გენრი დოლიძესა და მის თაობას დიდი შემოქმედებითი გამარჯვებები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დოლიძე გენრი, ლექსები, იხ. კრ. „დაუსრულებელი წერილი“, ს.ს. „გამომცემლობა აჭარა“, ბათუმი, 2009.

2. დოლიძე გენრი, ლექსები, იხ. კრებული „ა, ბ, გ, დ“, ს.ს. „გამომცემლობა აჭარა“, ბათუმი, 2010.

3. დოლიძე გენრი, პოეზია, იხ. https://poetry.ge/poets/genri-dolidze/poems/2-zgvam-mzes-mobana-pirivnebians. 2022.



ოთარ
გოგოლიშვილი

რუსეთის რელიგიური პოლიტიკა XVIII საუკუნეში

რუსეთის რელიგიური პოლიტიკა XVIII საუკუნეში იღებს სათავეს, როცა იგი იწყებს ერთმორწმუნეობის მოტივით მეზობელი ქვეყნების საქმეებში ჩარევას და მათზე ზემოქმედებას. პირველად ეს 1768-1774 წლებში რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს მოხდა, როცა ომში დახმარება ქართლ-კახეთის და იმერეთის სამეფოებს სთხოვა. 1774 წელს ეს ომი რუსეთის გამარჯვებით დასრულდა, რაც 1774 წლის 10 ივლისს სოფელ ქუჩუკ-კაინარჯიში ამავე სახელობის ზავით დამტკიცდა. ზავის 23-ე მუხლის თანახმად, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შესუსტდა ოსმალთა გავლენა, მაგრამ საპასუხოდ გაიზარდა რუსეთის ხელისუფლების შესაძლებლობა – გაეკონტროლებინა მთლიანი ამიერკავკასია. ამრიგად, ხელს ვეღარავინ შეუშლიდა გაეტარებინა ამ ტერიტორიებზე თავისი რელიგიური პოლიტიკა, როგორც მესამე რომს.[1]

მოგეხსენებათ, ბიზანტიის იმპერიის განადგურების შემდეგ რუსეთი თავს მესამე რომად თვლიდა და მოსკოვს მართლმადიდებლური ეკლესიის ცენტრად მიიჩნევდა. ამიტომ არ იყო გასაკვირი ის ფაქტი, რომ რუსეთი, თითქოსდა რელიგიის დამცველი და მისი გამავრცელებელი, ცდილობდა ირგვლივ ტერიტორიების შემოერთებას და რუსეთის გუბერნიად გადაქცევას.

XVIII საუკუნეში რუსეთსა და საქართველოს შორის საკმაოდ მჭიდრო რელიგიური კავშირი არსებობდა. მეტიც, ქართველი სასულიერო პირები ხშირად იგზავნებოდნენ რუსეთის სასულიერო სემინარიებში სასწავლებლად და სამოღვაწეოდ. ზოგიერთს რუსეთის ეკლესიის კათედრაც კი ჩააბარეს, მაგალითად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ანტონ პირველს, რომელსაც ვლადიმირის საარქიეპისკოპოსო კათედრა ჰქონდა ჩაბარებული.

რუსეთისა და ქართლ-კახეთის რელიგიური ურთიერთობა კიდევ უფრო გაღრმავდა გეორგიევსკის ტრაქტატის შემდეგ, რომელიც 1783 წელს შეადგინა რუსეთის იმპერატორმა ეკატერინე II და შესთავაზა ქართლ-კახეთის იმჟამინდელ მეფეს ერეკლე II-ს. ტრაქტატის თანახმად საქართველო შედიოდა რუსეთის მფარველობის ქვეშ, მაგრამ ამასთან ერთად ტრაქტატში არსებობდა მერვე მუხლი, რომელიც ეხებოდა კონკრეტულად ქართლ-კახეთის რელიგიურ

[1] გურული ვ., რუსეთ-ოსმალეთის დაპირისპირება სამხრეთ კავკასიაში, გვ. 1-5.

მდგომარეობას. მერვე მუხლის თანახმად, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ I უნდა გამხდარიყო რუსეთის წმინდა სინოდის წევრი და დაეკავებინა სინოდში მერვე ადგილი ტობოლსკის არქიეპისკოპოსის შემდეგ.[2]

ტრაქტატის მერვე მუხლი არღვევდა მსოფლიოს საეკლესიო კრებების დადგენილებებს და საქართველოს ეკლესიის სამართალს, რომლის მიხედვითაც არ შეიძლებოდა კათოლიკოს-პატრიარქი ყოფილიყო რომელიმე სხვა ქვეყნის ეკლესიის წევრი. ამავდროულად, ეს მუხლი ამცირებდა კათოლიკოს-პატრიარქის ღირსებას და მოვალეობას, რადგან სინოდში ერთი შეხედვით არ იყო მასზე მაღალი თანრიგის სასულიერო იერარქი, თუმცა სინოდში შვიდი პირი იყო მის ზემოთ მყოფი და მასზე მეტი უფლების მქონე.

ტრაქტატის პროექტში ეკატერინე მეორე არ აპირებდა რაიმე მუხლი შეეტანა ეკლესიის შესახებ. თუმცა ტრაქტატის შემდგენელი ალექსანდრე ბეზბოროდკო თვლიდა, რომ ქართლ-კახეთის ეპარქიები უნდა დაქვემდებარებულიყო რუსეთის წმინდა სინოდს და კათოლიკოს-პატრიარქი გამხდარიყო სინოდის წევრი. ეს ჩანაფიქრი შეიტანა კიდეც მერვე მუხლში, რომლის მიხედვითაც კათალიკოსს სინოდში მეხუთე ადგილი უნდა დაეკავებინა. მაგრამ შემდეგ ესეც შეცვალა და მეხუთე ადგილი მერვეთი ჩაანაცვლა. ქართველმა ელჩებმა ამ ცვლილებაზე პროტესტი კი გამოთქვეს, მაგრამ ამაოდ, ბეზბოროდკომ მაინც თავისი გაიტანა.[3]

1784 წლის 24 იანვარს, ერეკლე მეორემ ხელი მოაწერა ტრაქტატის რატიფიცირებას, რის შემდგომაც ტრაქტატი ძალაში შევიდა. იქედან გამომდინარე, რომ არც ტრაქტატის შედგენაში და არც მისი ხელმოწერის დროს სასულიერო პირები არ მონაწილეობდნენ, ტრაქტატი ეკლესიისათვის იურიდიულ ძალას არ წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ ტრაქტატით წამოყენებული მოთხოვნები არღვევდა საეკლესიო წესებს, კათალიკოს-პატრიარქმა ანტონ I მაინც უყოყმანოდ მიიღო რუსეთის წმინდა სინოდის წევრობა და გაუადვილა რუსეთის ხელისუფლებას საეკლესიო საქმეებში ჩარევა.

გეორგიევსკის ტრაქტატი არ აუქმებდა ქართლ-კახეთის ეკლესიის ავტოკეფალიას, მაგრამ რუსეთის ხელისუფლებას გზას უხსნიდა ჩარეულიყო ეკლესიის საქმეებში, რის შემდგომაც უფრო მარტივად შეძლებდა ეკლესიის თვითმწყემსობის გაუქმებას.

მიუხედავად იმისა, რომ გეორგიევსკის ტრაქტატის მერვე მუხლმა კიდევ უფრო დაახლოვა რუსეთის და ქართლ-კახეთის ეკლესიები, განსხვავება მაინც დიდი იყო. მოგეხსენებათ, ქართლ-კახეთში უმაღლეს სასულიერო წოდებას კათოლიკოს-პატრიარქი წარმოადგენდა. იგი განაგებდა ეკლესიის საქმეებს. კათოლიკოსს საეკლესიო საქმეების განსახილველად და მოსაგვარებლად ეხმარებოდა საეკლესიო კრება, რომელსაც თვითონ პატრიარქი კრებდა ხოლმე. ამავდროულად, უნდა აღინიშნოს, რომ ეკლესია სახელმწიფოსგან დამოუკიდებელ ორგანოს წარმოადგენდა და მხოლოდ უმნიშვნელოვანეს საქმეებს ათანხმებდა სახელმწიფოს მეთაურებთან.

რაც შეეხება რუსეთის ეკლესიის მოწყობას, 1721 წლიდან თითქმის მთლიანად შეიცვალა რუსული ეკლესიის სტრუქტურა, რადგან იმპერატორ პეტრე I სურდა ქვეყნის ყველა მნიშვნელოვანი ორგანო, მათ შორის ეკლესიაც, მის დაქვემდებარებაში ყოფილიყო. ამიტომაც, როცა 1700 წელს პატრიარქი ადრიანე გარდაიცვალა, ახალი პატრიარქი პეტრემ აღარ აირჩია და დანიშნა პატრიარქის მოვალეობის შემსრულებელი. 1721 წელს კი სრულიად გააუქმა უმაღლესი სასულიერო წოდება და შექმნა სინოდი, რომელიც განაგებდა ეკლესიის საქმეებს. ამავდროულად მეფემ შექმნა ობერ-პროკურორის თანამდებობა, რომელიც სინოდის საქმიანობას კონტროლს უწევდა და მეფისთვის აკეთებდა

[2] როგავა გ., რელიგია და ეკლესია საქართველოში., თბილისი, 2000, გვ. 91.

[3] გურული ვ., საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება (1801-1814) წელი, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2010, გვ. 9-10.

მოხსენებებს, თანაც ობერ-პროკურორს ჩაბარებული ჰქონდა სინოდალური დაწესებულებები: კანცელარია, სასწავლო კომიტეტები, სტამბები და სხვ. ეკლესიის ასეთი გარდაქმნის შემდეგ მონარქი გამოცხადდა ეკლესიის ხელმძღვანელად და სამღვდელოებას დაევალა ეკლესიის დოგმატების ნაცვლად მონარქზე დაეფიცა, ამიტომაც უწოდებენ ამ პერიოდს სინოდალურ პერიოდს.[4]

რუსეთის ეკლესიაში საკმაოდ დიდი რეფორმები გატარდა 1784 წელს ეკატერინე II მმართველობის პერიოდშიც, როცა მოხდა საეკლესიო მიწების და სხვა უძრავ-მოძრავი ქონების სეკულარიზაცია, ანუ მთლიანი ქონების სახელმწიფოს მფლობელობაში გადასვლა. მიუხედავად იმისა, რომ ეკატერინემ გამეფების დროს უარი განაცხადა ამ რეფორმის განხორციელებაზე, საბოლოოდ საეკლესიო პირთა წინააღმდეგობის მიუხედავად ეს მაინც მოხდა. სამღვდელოებას დაენიშნა ჯამაგირი, რითაც ისინი სახელმწიფო ჩინოვნიკებად გადაიქცნენ.[5]

ეკლესიის მმართველობის წყობაში ასეთი განსხვავება რუსეთის ხელისუფლებას საშუალებას ნაკლებად მისცემდა გაეკონტროლებინა და მის დაქვემდებარების ქვეშ მოექცია ქართული ეკლესიაც. ამიტომაც არ იყო გასაკვირი ის ფაქტი, რომ როცა საქართველო რუსეთის უბრალო გუბერნიად გამოცხადდა, მაშინვე დაიწყეს აქტიური პოლიტიკა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გასაუქმებლად და რუსულ ყაიდაზე მოსაწყობად.

[4] ვაჩნაძე მ., გურული ვ., რუსეთის ისტორია უძველესი დროიდან 1801 წლამდე, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2004, გვ. 130-131.

[5] იქვე, გვ. 155-159.

ჭოროხი 1 2023

მალხაზ ფაღავას
პირადი ციფრული
ბიბლიოთეკა
2023 malkhaz.pagava@gmail.com